



ქართველური ცივილიზაციის კვლევის ცენტრი (ქცკც)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტი

CENTER FOR RESEARCH OF KARTVELIAN CIVILIZATION (CRKC)

ანა მესხი

ქართველური და შუმერული ენობრივი მსგავსებანი

ნიგნი პირველი

თბილისი

2009

ნიგნი ეძღვნება ქართველურ-შუმერული ენობრივი ურთიერთობის პრობლემებს. იგი შედგება ხუთი სტატიისაგან, რომლებშიც ხუთი შუმერულ-ქართველური ლექსიკური ერთეულის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია აღნიშნული ენების ნათესაობის მამხილებელი საყურადღებო ფაქტები.

ნიგნი გამიზნულია ენათმეცნიერების, ასირიოლოგიების, ისტორიკოსებისა და ქართველური და უძველესი შუმერული კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

The book discusses Kartvelo-Sumerian language contacts and consists of five articles that examine five Sumero-Kartvelian vocabulary units. The study throws light on a number of significant facts supporting the view on the genetic relations of the two languages.

The book may be interesting for linguists, Assyriologists, historians, and for the general public interested in the culture of ancient Georgia and Sumer.

რედაქტორები:

იზა ჩანტლაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის
დირექტორის მრჩეველი, ილია ჭავჭავაძის სახ.
უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ქეთევან მარგაიანი-სუბარი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი:

ნუგზარ არჩემაშვილი

ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა თუ საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, ფოტოპირზე გადაღებული თუ მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩანერილი, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლების წერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved. No part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any way or by any means, electronic, mechanical, photocopying or otherwise, without the prior written permission of the copyright holders.

	UDC (უაკ) 811.341.1-115+811.353-115 მ-587
© ანა მესხი	ISBN 978-9941-0-1976-0 (ყველა ნიგნის)
© დავით მესხი	ISBN 978-9941-0-1977-7 (პირველი ნიგნის)
გამომცემლობა „მნიგნობარი“	დ. აღმაშენებლის 40, თბილისი ტელ.: 94 05 71

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	4
სტატია 1 : კაკალი – kakkala	9
სტატია 2 : კაკაბი – kabkab	37
სტატია 3 : უგულო – ugula	60
სტატია 4 : გუბე – gub	84
სტატია 5 : კარი – kar	95
დასკვნა	128
Summary	134
მითითებული ლიტერატურა	139
დამატება	146
1. ქართველური წარმომავლობის მესოპოტამიური ენობრივი ერთეულები	146
2. შუმერული ფონოლოგია	149
3. ქართველურ-შუმერულ-აქადური ბგერათმიმართებები	149
4. გამოვლენილი ბგერათშესატყვისობა ქართველურში	149
5. ქართველური ეტიმონები	149
ინდექსი	150

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი დაწერილია როგორც მცირე გზამკვლევი, ერთგვარი შემაჯავებელი ეტაპი უფრო დიდი მონოგრაფიისა *ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვო-კულტუროლოგია*. კრებულში განხილულია იდენტური ან დიდი მსგავსების მქონე ცალკეული ქართველური და შუმერული ლექსემები, რომლებშიც ამ ენებს შორის არსებული გენეტიკური ურთიერთობაა დავანებული. მათი დანახვა, როგორც მკითხველი შეამჩნევს, არც თუ ისე მარტივია, რის გამოც ზედაპირზე „მოტივიტივე“ ენობრივ იგივეობებს მეცნიერები შემთხვევითობას მიაწერენ. უფრო მეტიც, სიტყვით თუ საქმით ეწინააღმდეგებიან სხვა მკვლევრების მცდელობას, თავიანთი სიტყვა თქვან ამ სფეროში.

ქართველურ-შუმერული ნათესაობის გარშემო შექმნილი ამგვარი უარყოფითი განწყობა აღნიშნულ ენათა შედარებითი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა არ გახლავთ; იგი ორ საყრდენზე დგას: ერთ-ერთი მათგანი იმ ასირიოლოგების მიერ გამოტანილი დასკვნებია, რომლებმაც ქართველური ენები არ იცოდნენ, ხოლო მეორე – საბჭოური წყობილების დროს ეროვნული კულტურის კვლევაში გაბატონებული აკრძალვები. ბუნებრივია, რომ მსგავსი მიდგომა არც მეცნიერულია, არც ობიექტური და, დღევანდელი გათვალისწინებით, მოძველებულ-უარსაყოფიც. ქართველურ-შუმერული ნათესაობის თეორიის საფუძვლიანი გადასინჯვა ეპოქის სამართლიანი მოთხოვნა და აუცილებლობაა. კრებულის მიზანიც ეს არის – განახლდეს შუმერული და ქართველური ენების ნათესაობის ძიებისკენ მიმართული ლინგვისტური და კულტუროლოგიუ-

რი კვლევა, რისთვისაც შევეცდები ვაჩვენო ის, რასაც ვხედავ მე, წამოვწიო ის, რაც ჩემთვის ხილვადია და სხვისთვის დამალული, შევეწინააღმდეგო იმას, რასაც ფაქტები უარყოფენ და დავიცვა ის ჭეშმარიტება, რომელიც ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე დასტურდება.

გამოცდილება მკარნახობს, რომ მეცნიერული თუ მკითხველი საზოგადოების რეაქცია არაერთგვაროვანი იქნება. ეს არ მიკვირს, ვინაიდან ჯერ კიდევ ხელშესახებია საბჭოური განათლების სისტემის გადმონაშთი – განსხვავებული აზრის მოსმენის დათრგუნული უნარი. დასაბრუნებელია ჩუმი „კონსენსუსის“ თანახმად **თეორია ნონ-გრატა**-დ გამოცხადებული ქართველური ძირების კვლევა უძველეს ცივილიზაციებთან მიმართებაში; დასაბრუნებელია სტუდენტთა უფლებაც, ეზიარონ იმ მკვლევართა ნაშრომებს, რომელთა კალამი დაუნერვლი ქართველური კულტურისა და ისტორიის ფურცელზე გადმოტანას ემსახურება. ამ ამოცანების განხორციელება დიდ გამოწვევებს სთავაზობს როგორც თანამედროვე ქართველ მეცნიერებს, ისე სტუდენტ-ახალგაზრდობას განსაკუთრებით ახლა – ტექნიკური და კულტურული გლობალიზაციის ეპოქაში.

სამადლოხელი

ნაშრომის შესრულებაში მრავალმა ადამიანმა, მე ვიტყვოდი, მთელმა თაობებმაც კი მიიღო მონაწილეობა, ვინაიდან ვერ დაიწერებოდა იგი, თუ არა ასირიოლოგების დაუღალავი მცდელობა, ამოეცნოთ უძველესი შუმერული ენის საიდუმლოებები. ამიტომ მე მსურს, დიდი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ასობით მკვლევარი, მოქმედიც და აწ გარდაცვლილიც, რომელთა შრომის ნაყოფი დღეს ინტერნეტულ სივრცეში შუმერული ენის ლექსიკონების, თემატური სიების, ისტორიული ნარკვევების, სამუზეუმო ექსპონატებისა და ათასობით გამოქვეყნებული სტატიისა თუ ტომის სახითაა დაფიქსირებული.

მსურს აგრეთვე დიდი მადლობა ვუძღვნა ჰარვარდის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის ენებისა და ცივილიზაციების ფაკულტეტის პროფესორს პიოტრ სტაინკელერს, რომელმაც უფლება მომცა, დავსწრებოდი მის ლექციებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და ამეწრულებინა დიდი ხნის ოცნება – შემესწავლა შუმერული ენა.

ჩემი გულწრფელი მადლობა ეძღვნება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს იზა ჩანტლაძეს, რომელმაც საოცარი დაკავებულობის მიუხედავად, პირადი სამუშაო გვერდზე გადადო და შესაშური გულისყურითა და ყურადღებით წაიკითხა წინამდებარე ნაშრომის ხელნაწერი, რომელშიც მისი მრავალი შენიშვნაა გათვალისწინებული. მეტიც, მადლიერების გრძნობით მსურს მოვიხსენიო ქ-ნ იზას მეცნიერული თავდადება და შემწყნარებლობა განსხვავებული აზრისადმი, რომელიც სანიმუშოდ უნდა იქცეს მრავალი მკვლევრისთვის.

დიდი მადლობა ქეთევან მარგიან-სუბარს, ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორს, იმ ხანგრძლივი საუბრებისა და განხილვებისთვის, რომლებშიც სვანურ მასალასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი დაიხვეწა.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მსურს აღვნიშნო ჩემი ვაჟის, დავით მესხისა და მეუღლის, მირიან მესხის დიდი თანადგომა და ფინანსური თუ სულიერი მხარდაჭერა ნაშრომის წერისას.

რა ვქნისა ციხე ავაგე,
ჯავრი შავაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
იმ ციხის სანახავადა,
ბევრი უარეს გარშემო —
კარ ვერ უპოვეს ძალადა...
მერმე თქვეს: უამი მოვალის,
კარ გაიღების თავადა...
(ხალხური)

ნაშრომი ეძღვნება ყველა იმ მეცნიერს,
ვინც დაუზოგავი შრომის ფასად
შუმერული ენა კვლავ სამზეოზე გამოიტანა

*The book is dedicated to all scholars
who have brought the Sumerian language out of darkness
at the expense of their indefatigable labor*



კაკალი – kakkala

თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობა უძველეს შუმერულ ენას იზოლირებულ სისტემად მიიჩნევს. უამრავი სპეციალური ლიტერატურა დუმს ასირიოლოგიის პირველ ეტაპზე გამოთქმულ მოსაზრებაზე ქართველურისა¹ და ახლო აღმოსავლეთის მკვდარი ენების ნათესაური კავშირის შესახებ.

ქართველურის ანალოგიური ბედი გაიზიარა შუმერულსა და თურანულს (ურალურ-ალთაური, ანუ უნგრულ-ფინური) შორის არსებული გენეტიკური კავშირების თეორიამაც, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ასირიოლოგიური კვლევის დასაწყისში. ჰ. როულინსონისა (Henry Rawlinson) და ე. ჰინკსის (Edward Hincks) მიერ სკვითური ენის თურანულთან დაკავშირების შემდეგ ასირიოლოგებმა დაინყეს შუმერულის თურქულთან, უნგრულთან და ფინურთან შედარება. 1875 წელს გამოვიდა ფრანსუა ლენორმანის შუმერულისა და ურალურ-ალთაური ენების შედარებითი გრამატიკა, რომელიც იმ დროისათვის უნგრულ-ფინური ენების ორმა ცნობილმა სპეციალისტმა, ავგუსტ აჰლქვისტმა (August Ahlqvist) და ოტო დონერმა (Otto Donner) გააანალიზა და უარყოფითი დასკვნაც გამოიტანა. ეს დასკვნა საბედისწერო აღმოჩნდა შუმერულ-თურანული ურთიერთობების კვლევისათვის და, როგორც ცნობილი შუმეროლოგი სიმო პარპოლაწერს, აღარავის, გარდა არასპეციალისტებისა, აღარ გაუბედავს აღნიშნულ თემაზე კვლევა (Parpola, 2009:2).

¹ ტერმინი „ქართველური“ გამოიყენება „ქართველური ენების“ მნიშვნელობით. ფუძე ენის მნიშვნელობით „საერთოქართველურია“ გამოიყენებული.



თავიდანვე საინტერესოდ გადაიხლართა თურანულისა და ქართველურის ბედი. ამ უკანასკნელს თურანულ ენათა ჯგუფში აერთიანებდნენ, რადგანაც თურანულად თვლიდნენ ყველა იმ არაარიულ და არასემიტურ ენას, რომელიც ამ ტერიტორიების უძველეს მცხოვრებთა ენებს შეადგენდა (წერეთელი, 1912:29). რასაკვირველია, ეს შეცდომა იყო. მის. წერეთელი თავის ქართულ თუ ინგლისურ პუბლიკაციებში („სუმერული და ქართული“, *Sumerian and Georgian, A Study of Comparative Philology*, JRAS, 1913, 1914, 1915, 1916)² სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ქართულისა და შუმერულის ნათესაობის დამტკიცებას ცდილობდა და, ალბათ, წარმატებითაც განახორციელებდა მას, სხვადასხვა გარემოებებს რომ არ შეეშალა ხელი.

დაახლოებით საუკუნენახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა უარყვეს შუმერულ-ქართველურისა თუ შუმერულ-თურანულის ნათესაობა და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრი ურალურ-ალთაურ ენებს ამ დარგის სპეციალისტებმა გამოუტანეს, დღეს აღნიშნული ჰიპოთეზა ასირიოლოგიური კვლევის დღის წესრიგს კვლავ დაუბრუნდა. ამ საქმეს სათავეში უდგას ფინეთის მეცნიერებათა აკადემია ცნობილი ასირიოლოგის ს. პარპოლას ხელმძღვანელობით. მკვლევარი შემდეგნაირად აღწერს საკუთარ დამოკიდებულებას ამ პრობლემის მიმართ: „როგორც ასირიოლოგსა და ერთ-ერთ ურალურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს, შუმერულ-ურალურ-ალთაური მსგავსებების შესახებ რაღაც შიზოიდური დამოკიდებულება მქონდა. ისინი ძლიერ მიზიდავდნენ, მაგრამ რაიმე მნიშვნელობის მინიჭებას გაუფრბოდი. ენებში მიმდინარე ცვლილებების ტემპისა თუ შუმერულსა და დღევანდელ ურალურ ენებს შორის არსებული უზარმაზარი დროითი ან გეოგრაფიული მანძილის გამო, როგორ შეიძლებოდა ამ ურთიერთკავშირის დაშვება? რომც ყოფილიყვნენ ერთმანეთთან კავშირში, როგორ შეიძლებოდა ამის დამტკიცება?“ (Parpola, 2009:2).

² JRAS – Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland.



2004 წელს ფინურსა და შუმერულს შორის რეგულარული ბგერათშესატყვისობების შემჩნევამ ს. პარპოლას მოღვაწეობაში გარდატეხა შეიტანა; მისი დამოკიდებულება უნგრულ-ფინურ და შუმერულ ენებს შორის შესაძლო ნათესაობის მიმართ რადიკალურად შეიცვალა; 2005 წლის ნოემბერში მან ფინეთის აკადემიაში წარადგინა პროექტი „ენობრივი ურთიერთობა შუმერულსა და ურალურ-ალთაურ ენებს შორის“; მას შემდეგ ს. პარპოლა დაუღალავად მუშაობს ამ საკითხზე.³

ასე დაუბრუნდა ასირიოლოგიური პრობლემატიკის წრეს ასზე მეტი წლის წინ მეცნიერთა მიერ უარყოფილი და მას შემდეგ მიტოვებული შუმერული და ურალურ-ალთაური ენების (თურანული) ნათესაობის ჰიპოთეზა.

ახლა მივიწყებულ და უგულებელყოფილ ქართველურ-შუმერულ ურთიერთობაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რადგანაც იმ დასავლეთელმა მკვლევრებმა, რომლებიც ამ ენათა ნათესაობის შესახებ უარყოფით აზრს გამოთქვამდნენ და გამოთქვამენ, **არც ერთი ქართველური ენა არ იცოდნენ და არ იციან**. იშვიათი გამონაკლისი გახლდათ ერთ-ერთი პირველი ინგლისელი ასირიოლოგი და ლინგვისტი არჩიბალდ ჰენრი სეისი (გაბაშვილი, 2001:28). უფრო მეტიც: ისინიც კი, ვინც დადებითად წყვეტდნენ ქართულ-შუმერული ურთიერთობის საკითხს, საკუთარ დასკვნებს, ძირითადად, გრამატიკული სისტემების ზოგადი თვისებების (ერგატიული კონსტრუქცია, ქვემდებარე-დამატება-შემასმენლის სინტაქსური პოზიცია, სულიერი და უსულო საგნების კლას-კატეგორიების არსებობა და ა.შ.) მსგავსების საფუძველზე აკეთებდნენ. შესაბამისად, სავსებით სწორი იყო მიხ. წერეთელი, როდესაც ასირიოლოგების მიერ შუმერულ-ქართველური ურთიერთობების უარყოფის მიზეზად ქართული ენის არცოდნას ასახელებდა (წერეთელი, 1912:29). ამ თვალსაზრისით დღესაც არაფერი შეცვლილა და ერთი საუკუნის შემდეგ ჩემი სათქმელიც იგივეა: დასავლეთის მეცნიერებმა რომ ქართველური ენები

³ 2007 წლის „53-ე რენკონტრე ასირიოლოგი ინტერნეშენალ“-ზე (რაი-53) ს. პარპოლამ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც იგი უბრუნდება შუმერულსა და ურალურ-ალთაურის (უნგრულ-ფინური) ნათესაობის საკითხს. ავტორმა უფლება მისცა პროფ. პ. სტაინკელერის შუმერული ენის შემსწავლელ ჯგუფს გამოგვეყენებინა მისი ხელნაწერი. სტატია დაიბეჭდება რაი-53-ის მოხსენებათა კრებულიში 2009 წელს.



და მათი კულტურა „ზედმინევნიტ იცოდნენ“, არ გაუჭირდებოდათ შუმერულ ენაში ქართული სიტყვებისა თუ გრამატიკული, სემანტიკური და ფონეტიკური მსგავსებების გამოვლენა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკას ერთ დასკვნამდე მივყავართ: თუ **სპეციალისტების** მიერ უარყოფილი უნგრულ-ფინურ და შუმერულ ენათა ნათესაობის სისწორე არ გამართლდა, მით უფრო მცდარი უნდა იყოს ქართველურ-შუმერული ენების ნათესაობის უარყოფა-მივიწყება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის უნივერსიტეტებსა თუ მუზეუმებში თავმოყრილი უამრავი თიხის ფირფიტა თუ სპეციალური ლიტერატურის ფრიად უმნიშვნელო რაოდენობა მოიპოვება საქართველოში, კვლევა ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს. ეს მით უფრო საშურია დღეს, რადგანაც ასირიოლოგების დიდი რუდუნების შედეგად შედგენილი ელექტრონული მასალის გამოყენებას ინტერნეტული კავშირი ძლიერ აადვილებს.

წინამდებარე სტატია სწორედ ასეთი მცდელობაა, სადაც რთული ლინგვოკულტუროლოგიური მეთოდოლოგიის მეშვეობით გამოვლენილი ქართველურ-შუმერული ნათესაობის კოდირებული (მე სიტყვა არ შემშლია) კონტაქტები სპეციალისტების სამსჯავროზე იქნება გამოტანილი. დარწმუნებული ვარ, იოლად გასაიგივებელი ბგერითი თუ სემანტიკური მსგავსებების მიღმა მკითხველს ღრმა და დაფარული კავშირების ამოკითხვაც არ გაუჭირდება.

ლინგვისტური ანალიზი. ქართველურ-შუმერული მსგავსებების ანალიზს ვიწყებთ შუმერული სიტყვით **kakkala**, რომელიც პენსილვანიის უნივერსიტეტის ელექტრონული შუმერული ლექსიკონის მიხედვით „მცენარესაც“ აღნიშნავს და „მცენარეებსაც“ ([~PLANT] (4x: ED IIIa, ED IIIb) wr. kakkala(KU₇); kakkala "a designation of plants" (ePSD)⁴. **kakkala** ადრედინასტიური III ხანის ლექსემაა (ძვ.წ. 2600-2350)⁵. იგი

⁴ ePSD - პენსილვანიის უნივერსიტეტის შუმერული ელექტრონული ლექსიკონი.

⁵ შუმერის ისტორიისა და შუმერული ენის პერიოდიზაცია განსხვავებულია. ნაშრომში ისტორიის პერიოდიზაციას ვიყენებთ: ურუკი IV-III, რომელიც გრძელდება ძვ.წ. 3300-2900 წლამდე; შემდეგ მოდის ადრედინასტიური ხანა, რომელშიც სამი ეპოქა გამოიყოფა: ადრედინასტიური I ძვ.წ. 2900-2750 წლები; ადრედინასტიური II ძვ.წ. 2700-2600 წლები და ადრედინასტიური III ძვ.წ. 2600



სულ ოთხჯერ არის დაფიქსირებული. მიუხედავად იმისა, რომ **kakkala** სულ ცოტა 4600 წლის წინ „ცხოვრობდა“ ჩვენგან შორს, შუმერის ქვეყანაში, მასში ქართველებისთვის ქართული **კაკალ**-ის ამოკითხვა მარტივია. უფრო მეტიც, ქართულში სხვა, მათ შორის **ა**-სუფიქსიანი ფორმებზე მოგვეპოვება: **კაკალა**, **კაკალაი**, **კაკალეი**, **კაკალო** (ღლონტი, 1986:138), **კაკი**, **კაკავ** (ნიჟარაძე, 2007:258), გვარი **კაკალაშვილი** (ახუაშვილი, 1991:390), **კაკალაძე** და საზოგადო არსებითი სახელი **კაკალა** მცირე ზომის გამტკიცული პურის მნიშვნელობით. ფონეტიკურ ერთგვაროვნებას, რომელსაც ხუთიათასწლოვანმა პერიოდმა ვერაფერი დააკლო, სემანტიკური ასპექტი ავსებს და აზუსტებს, რადგანაც შუმერული **kakkala**-ს გაურკვეველ მცენარეზე მითითება კონკრეტული მცენარის მნიშვნელობით ზუსტდება – **kakkala** ქართული **კაკალი** უნდა იყოს. ბგერითი და სემანტიკური მხარეების მსგავსება-იდენტურობა გასაანალიზებელი ერთეულების გენეტიკურ ნათესაობაზე უნდა მიუთითებდეს. ეს საშუალებას გვაძლევს ქართველური **კაკლ**-ის ხნოვანება 4600 წლით განვსაზღვროთ და ქართველური ენების უნიკალური მდგრადობის კიდევ ერთი საოცარი ფაქტი დავაფიქსიროთ. გამოვლენილი ქრონოლოგიური კავშირები გასაანალიზებელ სიტყვებს შორის არსებულ დაფარულ სიღრმისეულ ურთიერთობებზე მიუთითებენ, რომელთა გამოსავლენად, უპირველეს ყოვლისა, ქართველური ენების მასალას უნდა მივმართოთ:

სულხან-საბას მიხედვით, „**კაკალი** ეწოდების ნიგოზთა და ხულთა ხილთა; **კაკ(ა)ლად** უწოდენ მრგვალთა რას(ა)მე; **კაკლად** იტყვიან იმერელნი მარცვალთა; **კაკლად** ითქმის თვალის(ა) სიმგრგვლე, გინა ყვერის(ა) კაკალნი“ (საბა, 1991:347). ო. ქაჯაიას *მეგრულ-ქართულ ლექსიკონშიც* იდენტური ბგერითი შემადგენლობის ფორმებია დაფიქსირებული: **კაკა-**

2350 წლები (ადრედინასტიური IIIa ძვ. წ. 2600-2500, ადრედინასტიური IIIb ძვ. წ. 2500-2340). შემდეგ მოდის სარგონ დიდი აქადელის ხანა – ძვ.წ. 2300 წლიდან ძვ.წ. 2114 წლამდე და ურის III დინასტია (ძვ.წ. 2114-2004 წლები). შუმერული ენის პერიოდიზაცია მოიცავს არქაულ ტექსტებს (ძვ.წ. 3100), არქაულ შუმერულს (ძვ.წ. 3000-2600), კლასიკურ შუმერულს (ძვ.წ. 2600-2300), ნეო-შუმერულს (ძვ.წ. 2300-2000), პოსტ-შუმერულს (ძვ.წ. 2000 - ახ.წ. 100).



ლერი („დამარცვლული“), კაკალუა („დამარცვლა“), კაკალ-კაკალო ან კაკაი-კაკალო („მარცვალ-მარცვალ“), კაკალანს („იმარცვლება“; ქაჯია, 2002:99) და ა.შ. ანალოგიური სურათი გვაქვს სვანურშიც, სადაც კაკალ (ბზ., ლნტ.) და კაკალ (ლშხ.) გვაქვს ორი მნიშვნელობით: კაკალი „მარცვალი; ცალი, ერთეული“ (თოფურია, ქალდანი, 2000:341). აღნიშნული ფორმა, ქართველოლოგთა აზრით, ქართულიდან არის შესული, თუმცა, როგორც ეს მოგვიანებით იქნება ნაჩვენები, განსხვავებული შეხედულებების არსებობაც არის დასაშვები.

კაკალ-ს აჭარულ დიალექტშიც ანალოგიური მნიშვნელობები გააჩნია („ერთი, ნაჭერი, წილი“; „დამარცვლა“) და საკუთარი დამატებითი სემანტიკური ნიუანსებიც განუვითარებია, როგორიცაა „ცენტრი“ ან „შუაგული“ (გულის კაკალი დამენვა), „პატარა, მცირე“ („ერთი კაკალი = ერთი ციდა“); ზმნის მნიშვნელობებიდან აღსანიშნავია „მოკაკლა“ („მოგროვება“), „დაკაკლა“ („დანვრილებით ილაპარაკა“, „საიდუმლო გასცა“), ფრაზები „თვალები გადმოკაკლა“ („გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა“), „ცრემლები ჩამოკაკლა“ („ცრემლები ჩამოყარა“) და ა.შ.⁶

წარმოდგენილი კვლევისათვის მნიშვნელოვანია „კაკალის“ სტრუქტურის დადგენაც. ეს სიტყვა ტრადიციული თვალსაზრისით სამი მორფემისაგან შედგება: კაკ-ალ-ი. პირველი წევრი (კაკ) ძირია, მეორე (-ალ-) სუფიქსი, ხოლო მესამე (-ი) სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მიუხედავად ამისა, ისეთი ლექსემების არსებობა, როგორიცაა კაკა, კაკა-ი გვაფიქრებინებს, რომ გასაანალიზებელი სიტყვის საწყისი მორფემული შედგენილობა ოდნავ სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, კერძოდ: პირველი წევრი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კა ძირის გაორმაგებული ფორმით კაკა, მეორე – სუფიქსით -ალ ან დღეს უკვე არაპროდუქტული -ლ- სუფიქსით (შდრ. კოჭ-ლ-ი, მად-ლ-ი, ძალ-ლ-ი, თეს-ლ-ი, კუამ-ლ-ი და სხვ.; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:267), ხოლო მესამე – -ი ხმოვნით. პირველი ორი მორფემის შეერთების ზღვარზე ორი შესაძლებლობა იარსებებდა – კაკა+ალ+ი ან კაკა+ლ+ი, თუმცა შედეგი ერთი

⁶ აჭარული მასალა მოგვანოდა ნ. ცეცხლაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.



იქნებოდა – **კაკალ-ი**. პირველ შემთხვევაში მორფემათა შეერთებისას ორი **ა** ხმოვნიდან ერთ-ერთი ამოვარდებოდა, ხოლო მეორეში ამგვარი აუცილებლობა საერთოდ არ იარსებებდა. მიუხედავად ამისა, ეტიმოლოგიური კვლევებისათვის ყოველი მორფემის განსაზღვრულობა მეტად მნიშვნელოვანია ობიექტური ანალიზის ჩასატარებლად. **კაკლ-**ის შემადგენელი მორფემების განსაზღვრაში დიდად გვეხმარება ქართველურ ენებში დაფიქსირებული შემდეგი მასალა:

- ქართული:** **კაკა** – ყვერის კაკალი (საბა, 1991:34);
კაკა – ჩ(ჩ)ვილურად ხილი (იქვე); იგივე აჭარულშიც.
- მეგრული:** **კაკა**-ი მარცვალი (მარცვლოვანი მცენარეებისა), კაკალი (ქაჯაია, 2002:99; აგრეთვე ზევით დასახელებული ნაწარმოები ლექსემები).
- სვანური:** **გაკ** (ბზ., ქს.), **კაკ** (ბქ.) – ნიგოზი; კაკლის ხე (თოფურია, ქალდანი, 2000:163).

მოყვანილ ქართველურ მასალაში მხოლოდ სვანური (ბზ., ქს.) ფორმა აფიქსირებს პირველ ელემენტად მჟღერ ველარულ მსკდომ **გ**-ს, ხოლო ბქ.-ში მას ქართულისა და მეგრულის ანალოგიური ბგერათშედგენილობა (**კაკ**) აქვს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველური ფორმა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მკვეთრი ყრუ გლოტალური **კ**, **გ**-ანიანი ფორმები კი მოგვიანო წარმომავლობისაა. მათ მეორეულობაზე მეტყველებს ხმოვანჩამოცილებული **კაკ**-იც, რომელიც **გაკ**-ის წინმსწრები ფორმა უნდა იყოს. თანხმოდანთა გამჟღერება სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა.

განსაკუთრებით საინტერესოა მეგრულში ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული მორფემული შედგენილობის **კაკაი-კაკაი** („მარცვალ-მარცვალ“; ქაჯაია, 2002:99) ფორმები, საიდანაც ნათლად ჩანს **კაკა** ძირის **გაორმაგებული** ფორმა და დეტერმინანტ ელემენტები (**-ი**, **-იო**). ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიტყვის უპირველესი სტრუქტურული ფორმულა იყო **კაკა+ლ+ი**, სადაც პირველი წევრი გაორმაგებული **კა** ძირია, მეორე – დღეს უკვე არაპროდუქტული სუფიქსი **-ლ**, ხოლო მესამე – ბრუნვის ნიშანი **-ი**. საგულისხმოა ისიც, რომ ქართული ენის ქიზი-



ყურ მეტყველებაში „ხილულის“ აღმნიშვნელი **კაკაკუკა-ც** აშკარად გამოჰყოფს **კა** ძირს!

ანალიზი არაორაზროვნად მიუთითებს იმაზე, რომ „მარცვლის“, „სიმრგვალის“ და „ერთეულის“ აღმნიშვნელი ქართველური **კაკა** ლექსემა **კა** ძირის რედუქტივაციის შედეგია. აღნიშნული ძირი დაფიქსირებულია მეგრულსა და სვანურში: **კა** „ნანილი, წილი, ცალი“ (ქაჯაია, 2002:97). იგივე ძირია სვანურ **კა**-ში მნიშვნელობით „ფიქალი ქვა; კერია (გადატ. უწოდებენ რკინის თხელ ფილასაც; იყენებენ კეცის დანიშნულებითაც; თოფურია, ქალღანი, 2000:340), რომელიც კერის სიმრგვალის მეტონიმური გადატანის საფუძველზე ჩანს აღმოცენებული. ამ მოსაზრებას ადასტურებს სვანურშივე დაფიქსირებული **კა-კერა** – ბზ., **კა-კერა** – ზს., ბქ. იდენტური მნიშვნელობებით „კერა; ფიქალის ქვის კერია; შდრ. **კა**“ (თოფურია, ქალღანი, 2000:341). იმავე რიგში დგება აფხაზურში -**კგ** „ცალი“ < *ზა-კგ „ერთი ცალი“ (ლომთათიძე, 1977:75). ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ **კა** ძირი ყველა ქართველურ ენაში არ დასტურდება, მისი არსებობა მეგრულსა და სვანურში ქართულში არსებულ გაორმაგებულ ძირთან ერთად გვაძლევს საფუძველს დამოუკიდებელი **კა** ძირის არსებობა ვივარაუდოთ ქართულშიც და საერთოქართველურშიც. გაორმაგების მიზეზის ამოცნობაც არ არის რთული. მცირე ზომის გამო „მარცვლ“-ის მხოლობითი რიცხვი იმდენად შეუსაბამო იქნებოდა მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების რეალურ შინაარსთან, რომ აღნიშნული ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური „დაპირისპირების მოსახსნელად“ ძირის რედუქტივაცია მოხდა. გაორმაგება საერთოქართველურის დონეზე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან დროთა განმავლობაში გაორმაგებულმა ძირმაც კი მხოლობითი რიცხვის („ცალი“, „მარცვალი“) აღნიშვნა დაიწყო, რაც დიდად შეუწყობდა ხელს უპირველესი **კა** ფორმის დავიწყებას.⁷ აღწერილი პროცესის ნაშთი უნდა იყოს სვანური **გაკრა** = „ნიგვზის ხე, კაკლის ხე“ (დონდუა, 2001:57), რომელშიც აშკარად ჩანს მხოლობითად გადააზრებული გაორმაგებული **გაკ** და მცენარეთა **სიმრავლის**

⁷ მსგავსი რედუქტივაციის შემთხვევები სხვაც გვაქვს; მაგალითად: **ძაძა, ფაფა, ხახა, სასა** და ა.შ.



აღმნიშვნელი სუფიქსი **-რა**, მაგ., **ბუჩქნარი**, **თხილნარი** და ა.შ. (თოფურია, 2008:30). ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე ძველქართულ თხზულ სიტყვებში **ერთკაკა**, **ცალკაკა** (აბულაძე, 1973:191; 149), სადაც **კაკა**-ს მხოლობითობის გაგება სავსებით დაკარგულია და მისი შემოყვანა სიტყვის მნიშვნელობაში დამატებითი ლექსემებით „ერთი, ცალი“ ხორციელდება. არ არის გამორიცხული, რომ მსგავს შემთხვევებს გამოეწვია გაორმაგებული ძირის მარტივ მორფემად გადააზრება, რის შედეგადაც მოგვიანებით ახალი ენობრივი ერთეულები გაჩნდა: **კაკალი**, **კაკალერი** („დამარცვლული“), **კაკალუა** („დამარცვლა“), **კაკალ-კაკალი** („მარცვალ-მარცვალ“) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ქართველურ **კაკალ**-ში წარმოდგენილი ძირი (**კაკა**) ენობრივი და კულტუროლოგიური ურთიერთდამოკიდებულებისა და განპირობებულობის შედეგად წარმოქმნილი თხზული ლექსემაა. თხზვის მიზანი მრავლობითობის კატეგორიის გამოხატვა იყო, ხოლო საშუალება – მრავლობითი რიცხვის წარმოების უძველესი ხერხი (ძირის რედუბლიკაცია), რაც ქართველურ **კაკა**-ს „ხანდაზმულობის“ უტყუარ ნიშანს სძენს. თუ ნათქვამის საფუძველზე გასაანალიზებელ ლექსემებს ქრონოლოგიური თვალსაზრისით დავალაგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

სქემა 1

ქართველური **კაკალ**-ი და მისი განვითარება

ქართ.: *კა > კა-კა > კაკა-ლ-ი > კაკ-ალ-ი

მეგრ.: კა > კა-კა // კა-კა-ფ > კა-კა -ლ- > კაკ-ალ-

სვან.: კა > კა-კა > კა-კ > გა-კ > კა-კა-ლ- > კაკ-ალ- //კაკ-ალ


მოყვანილი სქემიდან ნათელია, რომ **კა** ძირის რედუბლიკაცია, დერივატის წარმოქმნა და შემდეგ გაორმაგებული ძირის გადააზრების შედეგად ახალი მორფემული შედგენილობის ლექსემის წარმოქმნა სამივე ქართველურ ენაში ერთი და იმავე მექანიზმით მიმდინარეობდა. ეს კი მიუთითებს აღნიშნული პროცესების უფრო **პარალელურ** (ქართული || სვანური || მეგრული), ვიდრე თანმიმდევრულ (ქართული > სვანური > მეგრული) განვითარებაზე.



შუმერული **kakkala**-სა და ქართველური მასალის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების შედარება მეტად საინტერესო ფაქტებს ჰფენს ნათელს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ შუმერული ლექსემა ქართველური სიტყვის ბოლო ეტაპზე არსებული ფორმის იდენტურია და, როგორც ეს ზევით უკვე აღინიშნა, ადრედინასტიური III ეპოქით, ანუ 2600-2350 ძვ.წ. თარიღდება. სხვაგვარად, **კაკა**-დან ნაწარმოები **კაკალ**-ი 4600 წლის წინ უკვე არსებობდა. რედუპლიცირებული ფორმის მარტივ ლექსემად გახდომას სულ ცოტა 500 წელი მაინც დასჭირდებოდა, რაც ქართველური სიტყვის **კაკა** ფორმით რეალურად არსებობის 5100 წელს მოიცავს, რომ არაფერი ვთქვათ მარტივ ძირზე **კა**, რომელიც უხსოვარი დროის (მე-4 ათასწლეულის) ენობრივ ლაბირინთებში იკარგება:

სქემა 2

ქართველური და შუმერული **კაკალ**-ი – **kakkala**-ს ქრონოლოგია



თუ შუმერულ **kakkala**-ს კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ, ქრონოლოგიურის გარდა, ქართველურ მასალაზე იგი სხვა მხრივაც არის დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება რამდენიმე თვისებას ირეკლავს:

1) **გრამატიკა**: კნინობითობის კატეგორია. ქართველურ ენებში დაფიქსირებულია კნინობით-სააღერსო ფორმის მანარმოებელი სუფიქსი **-ა** (შანიძე, 1973:51),⁸ რომელიც შუმერული **kakkala**-ს ბოლოკიდური ბგერის იდენტურია. ვინაიდან შუმერული **kakkala**-ს შესახებ ფონეტიკური მხარის გარდა არაფერია ცნობილი და ვინაიდან ქართველური და შუმერული ლექსემები იდენტურია, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ **kakkala** ანალოგიური გრამატიკული ფორ-

⁸ კნინობითობის საწყისი მანარმოებელი იყო **აკ** (სახლ-აკ-ი, წიგნ-აკ-ი), რომელშიც **კ** ადრეულ ეტაპზე შეიკვეცა (შანიძე, 1973:51).



მით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, შუმერულ **kakkala**-ში შეგვიძლია გამოვყოთ ბოლოკიდური სუფიქსი **-a** იმავე კნინობითობის გამოხატვის ფუნქციით, რის საფუძველზეც შუმერული **kakkala** ქართველურ **კაკალა**, **კაკალი** > **კაკაღი** ჯგუფს ბუნებრივად ერწყმება.

2) **ფონოლოგია**. შუმერული **kakkala**-ს ფონეტიკური შედგენილობა ენის ფონოლოგიური სისტემის დადგენის თვალსაზრისით საკმაოდ საყურადღებოა. საქმე ისაა, რომ შუმერულის ფონოლოგიური სისტემა დღესაც არ არის ზუსტად დადგენილი. ეს პრობლემა ასირიოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია, ვინაიდან, მეცნიერთა აზრით, შუმერულის იზოლირებულობის გამო არ არსებობს შესადაარებელი ენობრივი მასალა. მდგომარეობას ართულებს ფონოლოგიის კვლევის მიმართულებაც, რადგანაც შუმერულ ენას უკუმიმართულებით, მეორე ათასწლეულიდან ძირითადად აქადურ ენაზე დოკუმენტირებული და უკეთესად გასაგები ტექსტების საფუძველზე ვკითხულობთ (Michalowski, <http://www-personal.umich.edu/~piotrm/DIGLOS~1.htm> (*Acta Sumerologica*, in press; 23-ის მე-10 გვერდი). ამას დაუმატეთ ისიც, რომ აქადურის ბგერითი სისტემა საკმაოდ განსხვავდებოდა შუმერულისგან, რის კომპენსაციასაც ენა მსგავსი ბგერების საშუალებით ახდენდა. აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით არ არის გასაკვირი, რომ შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემის რამდენიმე რეკონსტრუქცია გვაქვს და მთელ რიგ თანხმობებზე (თუ ხმობებზე) დღესაც დიდი კამათი მიმდინარეობს. ჩვენთვის საინტერესო ყრუ მსკდომ თანხმობებთან დაკავშირებით ორი ძირითადი შეხედულებაა გაბატონებული. ერთის ავტორია ი. გელბი, რომელმაც ადრეული შუმერული დამწერლობის და აქადურიდან ნასესხები სიტყვების ანალიზის საფუძველზე გამოყო მსკდომი თანხმობების სამი წყვილი, რომელთა წევრები ერთმანეთს ასპირაციის (ფშვინვის) მიხედვით უპირისპირდებიან: **b – p, d – t, g – k** (Thomsen, 1984:43). პირველი წევრები (**b, d, g**), რომლებიც მჟღერი თანხმობების გამოხატველი ასო-ნიშნებით არის გადმოცემული, ყრუ მსკდომი გლოტალური ბგერებია (**p, t, k**; შდრ. ქართული **პ, ტ, კ**), მეორე კი – ყრუ ფშვინვიერები, ანუ **p^h, t^h, k^h** (შდრ.: ქართული **ფ, თ, ქ**). თუმცა ამგვარი




განსხვავება შესაძლოა საერთოდ არ შეესაბამებოდეს რეალობას, ვინაიდან შუმერული დამწერლობა „ზუსტად არ ასახავდა გამოთქმას“ (იქვე, 42). ალბათ, ამიტომაც, პრაქტიკაში ეს ფონოლოგიური ღირებულებები ხშირად უგულებელყოფილია ასო-ნიშნების ტრადიციული გამოთქმის სასარგებლოდ (Hayes, 2000:25-26), რომლის მიხედვით შუმერული მჟღერ და ყრუ აბრუპტივებს განასხვავებდა (Michalowski, 2005:28). ქართველური მასალა არაორაზროვნად მიუთითებს შუმერულ სიტყვაში ყრუ მსკდომი კ-ანის არსებობაზე, რითიც ადასტურებს ტრადიციული შეხედულების სისწორეს და ეწინააღმდეგება ი. გელბის მოსაზრებას, რომლის მიხედვით **kakkala ქაქალა**-დ უნდა წავიკითხოთ. ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ქართველური **კაკალი შესადარებელი ენის ფუნქციას** კისრულობს, წყვეტს **kakkala**-ს სწორი წაკითხვის პრობლემას, რითიც, ქართულის მსგავსად, შესაძლებელია შუმერულ ფონოლოგიურ სისტემაში მსკდომი თანხმოვნების **სამწვერა** (და არა **ორწვერა**) ოპოზიციებზეც მიუთითებდეს.

3) **სტრუქტურული** კუთხითაც ქართველური მონაცემები შუმერული ლექსემის დანერილობის რამდენიმე საიდუმლოს გვიჩვენებს. **kakkala**-ს ლურსმული ნიშანი (𒂗) ლოგოგრამაა და მთლიან სიტყვას აღნიშნავს. როგორც სამართლიანად მიუთითებს პ. მიხალოვსკი, მხოლოდ ლოგოგრამებით დანერილი ადრეული თიხის ფირფიტა ენობრივად შეუვალი ჩანს; ყველა ნიშანიც რომ ვიცოდეთ, მის ენობრივ კუთვნილებაში დარწმუნებული ვერ ვიქნებით (<http://www-personal.umich.edu/~piotrm/DIGLOS~1.htm> (*Acta Sumerologica*, 23-ის მე-7-8 გვერდი; ბეჭდვაშია). მართლაც, შუმერული **kakkala**-ს წაკითხვა ლექსიკური სიების მიხედვით არის ცნობილი, მის რაობაზე მსჯელობა კი უდიდეს მეცნიერებსაც უჭირთ, იმათაც, რომლებმაც ყოველი თიხის ფირფიტის აღმოჩენის ადგილი და ვითარება იციან და იმათაც, რომლებსაც საცავებში დაცულ ათასობით ფირფიტასთან მისვლისა და კვლევის შესაძლებლობა აქვთ. ამის საპირისპიროდ, ქართველისათვის შუმერული და ქართველური **kakkala** – **კაკალი**-ს გაიგივება მარტივია, ენათმეცნიერისთვის კი მათი გამოკვლევაც არ არის რთუ-



ლი, თუ ცოცხალი ქართველური ენების მასალას შესადაურებელ სისტემად გამოვიყენებთ.

როგორც აღვნიშნეთ,  ლოგოგრამის შესახებ, გამოთქმისა (kakkala) და მიახლოებითი მნიშვნელობის („მცენარე“) გარდა, არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. ამ „ხარვეზს“, კერძოდ კი მის სტრუქტურულ მხარეს, ავსებს ქართველური მასალა. თუ **კაკლ**-ის მიღებულ სტრუქტურას **kakkala**-ს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ შუმერული ქართველურ სტრუქტურას მიჰყვება და სამი შემადგენელი ნაწილისაგან შედგება: გაორკვეებული ძირი **kak** + სუფიქსი **-l** + ბოლოკიდური **-a** ხმოვანი, მაგრამ არის ერთი „მაგრამ“. ეს სიტყვის შიგნით ორმაგი აბრუპტივის (**კ**) არსებობაა, რომლის სტატუსიც უნდა გაირკვეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება კავკასიურ ენებში გავრცელებული ე.წ. გემინირებული (გრძელი) თანხმოვნების არსებობის საკითხი შუმერულში. შუმერული ენის ფონეტიკურ თუ ფონოლოგიურ სისტემაში მსგავსი ფონემების არსებობა აღნიშნული არ არის (Langdon, 1911; Edzard, 2003; Thomsen, 1984; Michalowski, 2005) და, ბუნებრივია, შუმერული ენის თვისებებით **kakkala**-ში დაფიქსირებული გაორკვეებული **k** ვერ აიხსნება. შესაბამისად, გასარკვევია, თუ რამდენად ძალუძს ქართველურ მასალას აღნიშნული „ორთოგრაფიული“ პრობლემის ახსნა. ამისათვის გავიხსენოთ ქართველური **კაკლ**-ის განვითარების საფეხურები (სქემა 1), რომელშიც **კაკ** ძირი რედუბლიცირებული **კა** („ცალი“, „ერთი“) მორფემის **კაკა**-ს დეტერმინანტმოკვეცილი ფორმაა. თუ შუმერულ **kakkala**-ში გამოვყოფთ ცნობილ მორფემებს – **კაკ** = **kak**, **-ლ** = **-l** და **-ა** = **-a**-ს, დაგვრჩება ელემენტი **ka**, რომელიც ქართველური საწყისი **კა** ძირის ტოლია. შესაბამისად, შუმერული ლექსემის სტრუქტურა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც **kak+ka+l+a**, სადაც ორი ძირია წარმოდგენილი. პირველი **kak** იგივე ქართველური **კაკ**-ია, ხოლო მეორე **ka** კი საწყისი ქართველური **კა** მორფემა. შესაბამისად შუმერულ **kakkala**-ს სტრუქტურაა **kak+ka+l+a**, სადაც ადგილი აქვს ორი მარტივი სტრუქტურის მქონე ძირის თხზვას **kak+ka**, რაც ფაქტობრივად **კა-ka** ძირის **ხელახალი** „გაორმაგება“ (**ka+ka**)+**ka**. შედეგად, თხზვის პროცესში ორი იდენტური




აბრუპტივი – **ka-k + ka** (გაორკეცებული ძირის ბოლოკიდური **k** და მეორე ძირის საწყისი **k**) ერთმანეთის მეზობლობაში აღმოჩნდა. მიღებული თხზული სტრუქტურა (**kak+ka**) შუმერულისა და ქართველურისთვის დამახასიათებელი იდენტური **-ლ-** სუფიქსითა და ბოლოკიდური **-ა** ხმოვნით გაფორმდა, რის შედეგადაც თხზულ-დერივაციული ახალი ლექსიკური ერთეული წარმოიქმნა.

ჩატარებული ანალიზის შედეგად დავასკვნით, რომ შუმერული **kakkala**-ს გაორკეცებული **k** თანხმოვანი ქართველური მასალით არა თუ იხსნება, არამედ აჩვენებს ქართველურ მორფემულ შედგენილობას და თვით სიტყვათწარმოქმნის ქართველურ ფორმულასა და პროცესს. სახეზეა ქართველოლოგიაში მიღებული **კაკლ-**ის ძირის (**კაკ**) ანალოგიური ფორმა, ანუ დეტერმინანტ დაკარგული, **ერთ ერთულად** აღქმული, გამარტივებული და გაორმაგებული ძირი **კაკ-kak**, რომელსაც დერივაციის პროცესში მონაწილეობისათვის გზა ხსნილი აქვს. აქვეა საწყისი ქართველური ძირეული მორფემა **ka-კა**, რომელიც საკუთარი რედუპლიკაციის შედეგად წარმოქმნილი **kak** ძირისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ძველი, დღეს უკვე არაპროდუქტული სუფიქსი – **-ლ-** და კნინობითობის მანარმოებელი სუფიქსი **ა-ც**. ერთადერთი „ორთოგრაფიული“ განსხვავება – გაორკეცებული **kk** – ქართველურ ფორმებში ძირის რედუპლიკაციური ბუნების ენობრივი მახსოვრობის შედეგია, მაშინ, როდესაც ძვ.წ. 2600 წლისათვის შუმერულ სამყაროში ეს ენობრივი ფაქტი დავინწყებულია.

ძველი შუმერულისთვის დამახასიათებელი ქართველური **კაკ(ა)ლ-**ის იდენტური სიტყვათწარმოქმნის აღწერილი საშუალება დასტურდება კიდევ უფრო ადრეული, ე.წ. გვიანი ურუკის IV-III (ძვ.წ. 3300-3000 წ.წ.) პერიოდიდან შემორჩენილ თემატურ სიებში დაფიქსირებული ლექსემებით. ეს სიები თანამედროვე ლექსიკონების თიხის ფირფიტებზე დაწერილი არქეტიპული მოდელებია. ერაყის ეროვნულ მუზეუმში 134324 ნომრით შენახული ფირფიტის (სურ. 1, გვ. 23) მეექვსე სვეტის მე-11 ბნკარში მოცემულია სიტვა



KAK, რომელიც „ხის (შემის)“⁹ მნიშვნელობის მქონე თემატურ ჯგუფშია გაერთიანებული **cdli**-ისა („ციფრული ლურსმული ბიბლიოთეკის შექმნის ინიციატივა“, პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმი <http://cdli.ucla.edu> და **dcclt**-ის („ლურსმული ლექსიკური ტექსტების ციფრული კორპუსი“, ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტი <http://cdl.museum.upenn.edu> ვებგვერდებზე. აქვე მოცემულია იმავე თემატურ ჯგუფში შემავალი მეორე ძირიც **ka** (სურ. 2, გვ. 24; ერაყის ეროვნული მუზეუმი, №IM 065120). ქართველური მასალის გარდა, **KAK** და **KA** ლექსემების იდენტურობა მათ აღსანიშნავად გამოყენებული ერთი და იმავე გრაფიკული გამოსახულების ნიშნითაც დასტურდება (∇).




სურ. 1

⁹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ არსებობს სიტყვა „კაკულა“, რომელიც ნიშნავს ხე **ელი**-ს (საბა, 1991:348).



აქედან გამომდინარე, არქაული ურუკის პერიოდში დამწერლობის ნიშნების გამოჩენისთანავე არსებობს მარტივი სტრუქტურის ძირად აღქმული გაორკვეებული ძირი **KAK** და მასთან დაუკავშირებელი, მაგრამ მისი საწყისი ელემენტი **KA**. ისინი ფიგურირებენ ფრაზებში: **1 SI KAK~ a GISZ** (#IM 134324) და **1 GISZ KA~ a#**, რაც ითარგმნება, როგორც „**KAK-ის ხის ერთი შოლტი/მათრახი**“ და „**KA-ს ხის ერთი შოლტი/მათრახი**“. ქართველური მასალა, რომლის მიხედვით ორივე ლექსემა „კაკლის ხესთან“, „მარცვლეულთან“ და „კაკლებთან“ – „დამარცვლასთან“ არის დაკავშირებული, განსხვავებულად კითხულობს ამ უძველეს შუმერულ ჩანაწერებს; ესაა „კაკლის საბერტყი ჯოხები“, რომლებიც შოლტისმაგვარი დრეკადობით ხასიათდება, რათა მბერტყავმა მოხერხებულად შეასრულოს სამუშაო.



სურ. 2



ირკვევა, რომ ქართველური სინამდვილე ხსნის **შოლ-ტისა** და **KAK/KA** ლექსემების ერთობლივ გამოყენებას აღნიშნულ ფრაზებში და აცოცხლებს 5300 წლის წინანდელი შუმერების სამეურნეო ცხოვრებას; ლოგოგრამები, რომლებიც „ენობრივად შეუვალ“ ნიშნებად ითვლება ასირიოლოგიაში და რომელთა მნიშვნელობებსა თუ ენობრივ კუთვნილებას გასაოცარი რუდუნებით ამაოდ ეძებენ მსოფლიოს მეცნიერები, ქართველური მასალის მეშვეობით კულტუროლოგიურ სიტყვებად გადაიქცევა.

იგივე ლექსემები (**kak, ka**) უკვე თხზვის შედეგად დეტერმინანტით გაერთიანებული ფორმით **kakkala** გვხვდება დაახლოებით 700 წლის შემდეგ, ადრედინასტიური III დროს (ძვ.წ. 2600 წ.). ამჟამად იმის თქმა, თუ როგორ შევიდნენ **ka, kak** და **kakkala** ძირები შუმერულში არ არის ადვილი, თუმცა ერთი რამ ცხადია: შუმერულში და, მაშასადამე, მსოფლიოს პირველი დამწერლობის სისტემაში (გვიანი ურუკის ხანა), ქართველური **კა** და მისი გაორმაგებული **კა-კა** ლექსემები უკვე დაფიქსირებულია, ხოლო ადრედინასტიური III-ის ლექსიკაში იგივე ერთეულები თხზული ლექსემის შემადგენლობაშია. თუ რა ქრონოლოგიური დისტანციით უსწრებს ქართველური მასალა შუმერულს ძნელად დასაჯერებელი ფაქტია, ვინაიდან იგი სულ ცოტა ძვ.წ. 3500¹⁰ წლით მაინც უნდა დავათარილოთ. ეს კი თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის რეკონსტრუქციების (და არა ფაქტების ანალიზის) ეპოქაა (სქემა 3, გვ. 26).

სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველური მასალა ლოგიკურად აკინძული ერთეულებისაგან შედგება, მაშინ, როდესაც შუმერულ ლექსემებს შორის არსებულ ფონეტიკურ, ლექსიკურ თუ სემანტიკურ კავშირებს ასირიოლოგები ვერ ამჩნევენ, ვინაიდან გზამკვლევი ენობრივი მასალა საუკუნუნახევრის წინ უარყვეს და დღესაც არაპერსპექტიულად მიაჩნიათ მასთან დაბრუნება. მიუხედავად ამისა, **kakkala**-ს თხზვისა თუ დერივაციის ფორმულები უშუალო კავშირშია ქართველურ მასალასთან; უფრო მეტიც, მათ შორის არსებული კონტაქტები ერთი და იმავე ენის ერთეულებს შორის არსებულ ურთიერთობებს უფრო ჰგავს,


¹⁰ ძვ. წ. 3500 წელი შუმერული ცივილიზაციის წინა ეტაპია, რომელიც ურუკისა (ძვ.წ. 3750-3150) და ჯემდატ ნასრის (ძვ.წ. 3150-2900) ეპოქებისაგან შედგება.



ვიდრე ათასწლეულებით გეოგრაფიულად თუ ენობრივად დაშორებულ დაუკავშირებელ სისტემებს შორის იგულისხმება. ამიტომ, რა კუთხითაც უნდა განვიხილოთ გასაანალიზებელი ერთეულები, ქართველური ყოველთვის ხსნის, აკონკრეტებს და საზღვრავს მის შუმერულ შესაბამისობას, რაც გაცილებით უფრო მრავლისმთქმელია ამ ენების ურთიერთობაზე, ვიდრე მათი კვლევა მხოლოდ ისტორიული ლინგვისტიკის ჩვეული მეთოდებით. ქართველურ-შუმერულ ურთიერთობათა დიაპაზონი შორდება ენათა ნათესაობის განმსაზღვრელ რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობებს და პრობლემა ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აჭყავს – შესადარებელი ერთეულების არა მხოლოდ ფონეტიკურ-სემანტიკური, არამედ სტრუქტურული, მორფემული, დერივაციული და გრამატიკული ურთიერთმიმართებების დონეზე.

სქემა 3


ქართველური და შუმერული კაკლ-ისა და kakkala-ს განვითარების ეტაპები



4) **სემანტიკა.** ქართველური და შუმერული კაკალ-ი – kakkala-ს განხილვა სემანტიკური კუთხით ანალოგიურ შედეგებს იძლევა. ქართველურ ენებში კაკალ-ი პოლისემანტიკური სიტყვაა და რამდენიმე მნიშვნელობა შეესაბამება: მარცვალი, ცალი, კაკლის ხე, ნიგოზი, რომლებიც არა მხოლოდ აკონკრეტებენ შუმერული ლექსემის მნიშვნელობას („მცენარე“ როგორც „კაკლის ხე“; „მარცვლოვანი



კულტურები“), არამედ აფართოებენ კიდევ „ნიგვზისა“ და „ცალის“ მიერთებით.

ნათქვამიდან გამომდინარე, შუმერული თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებული ერთნიშნა ლოგოგრამა  არის შუმერული **kakkala**-სა და ქართველური **კაკლ**-ის ფონეტიკური, სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური საცავი, რომლის გახსნას კვლევის სფეროში შესასწავლ სიტყვასთან დაკავშირებული კულტუროლოგიური ასპექტიც შემოჰყავს.

ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტი. გასაანალიზებელი ლექსემების სწორ ისტორიულ-კულტუროლოგიურ ჩარჩოში ჩასასმელად რამდენიმე ფაქტი უნდა გავიხსენოთ. ახლო აღმოსავლეთის შესახებ აკადემიური გამოცემის უახლეს ენციკლოპედიაში (*Civilization of the Ancient Near East*, Editor in Chief Jack M. Sasson, *Hendrickson Publishers*, 1995) „კაკალს“ საერთოდ არ ახსენებენ ამ კუთხის ფლორაზე მსჯელობისას. ა. ს. გილბერტი კაკლის ხეზე მხოლოდ ერთხელ მიუთითებს და ისიც თურქეთის სამხრეთ ნაწილში (Gilbert, 1995:163). ენციკლოპედიის მეორე ქვეთავში სათაურით *Vegetables in the Ancient Near Eastern Diet* ავტორი Jane M. Renfrew კაკლის ხის კულტივაციის დასაწყისს ახლო აღმოსავლეთში საკამათო საკითხად მიიჩნევს: უადრესი თარიღი ნუშის, ტერებინთისა (*Pistacia terebinthus*) და კაკლის კულტივაციაში საკამათოა; სამივე მათგანი ბიბლიაში მოიხსენიება, თუ შესაბამისი ტერმინების თარგმანი სწორად არის შესრულებული“ (Renfrew, 1995:192).

ამგვარი ინფორმაციის მიუხედავად, ჩრდილო მესოპოტამიაში, კერძოდ, Zawi Chemi Shanidar-ის სოფლის შემოგარენში ნეანდერტალელის გამოქვაბულის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია კაკლის 50000 წლიანი გაქვავებული ნარჩენები.¹¹ იგივე ითქმის შვეიცარიასა და საფრანგეთის პერიგორდის ნეოლითით დათარიღებულ სადგომებში. შესაბამისად, კაკალი ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთ ნაწილში უხსოვარი დროიდან

¹¹ უინტერესო არ არის აღინიშნოს ქრონოლოგიურად გაცილებით უფრო ღრმა კულტურული მსგავსებანი საქართველოსა და ჩრდილო მესოპოტამიას შორის: „სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ სამხრეთ კავკასია მახლობელი აღმოსავლეთის ზედაპალეოლითურ კულტურასთან ავლენს გარკვეულ სიახლოვეს, უპირატესად, ერაყ-ირანის წრის ძეგლებთან“ (ჯაფარიძე, 2006:170).



არის ცნობილი. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, **kakkala-კაკლ-**ის ლინგვისტური ანალიზი, კაკლის წარჩენების აღმოჩენა ჩრდილო მესოპოტამიაში, ქართველური ტომების ახლო აღმოსავლეთის ძირძველი მოსახლეობისადმი კუთვნილება (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, 1946:16; მასხარაშვილი, 2006:10-32) და მათი შუმერის ჩრდილოეთით განსახლება, თავისთავად ბადებს სურვილს, გამოვიკვლიოთ წარმოდგენს თუ არა ეს გარემოება შუმერული **kakkala-ს** ქართველური წარმომავლობის კიდევ ერთ დამატებით მტკიცებულებას.

ქართველური ტომების სამოსახლოს განლაგება შუმერის ჩრდილოეთით შემთხვევით არ ვახსენეთ. ს. პარპოლა, რომელიც უნგრულ-ფინური ენებისა და შუმერულის ნათესაობას იკვლევს, ავითარებს თეორიას შუმერულის პროტო-ურალურიდან წარმომავლობის შესახებ (Parpola, 2009:14-15) და ამ ხალხების მიგრაციის მისეულ სქემას გვთავაზობს. გარკვეულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით, ავტორის აზრით: „შუმერები წარმოიშვნენ პონტო-კასპიის რეგიონში, ვოლგის შესართავსა და შავ ზღვას შუა, კავკასიონის მთების ჩრდილოეთით, სადაც ისინი დამჯდარ ცხოვრებას ეწეოდნენ ინდო-ევროპელ ტომებთან ერთად. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩრდილოკავკასიური მაიკოპის კულტურა, რომელიც ძვ.წ. 3700-2900 წლებში ყვაოდა და ჰქონდა კონტაქტები ურუკის კულტურასთან, მათი სამშობლო ყოფილიყო... დაახლოებით ძვ.წ. 3500 წ. დუნაისა და დონს შუა წარმოქმნილმა ინდო-ევროპულმა „იამნია კულტურამ“ („ორმული სამარხები“, რუსული სიტყვიდან „ЯМА“) აღმოსავლეთისაკენ სწრაფი გავრცელება დაიწყო და ძვ.წ. 3300 წლისათვის კავკასიას მიაღწია. ამ ექსპანსიას უნდა ებიძგა შუმერთა მიგრაციისათვის მესოპოტამიისაკენ. ვინაიდან ბორბლიანი ტრანსპორტი უკვე არსებობდა, კავკასიისა და დიალას აუზის გავლის შემდეგ მესოპოტამიას ისინი გვიანი ურუკის პერიოდისათვის (დაახლოებით ძვ.წ. 3100 წ.) მიაღწევდნენ. ამრიგად, შუმერების მესოპოტამიაში ჩამოსვლა დაემთხვეოდა ეანას ტაძრის შემოგარენის განადგურებას ურუკ IV-ის ბოლოს“ (იქვე, 15-16). აღნიშნული მარშრუტი, ბუნებრივია, პროტო-ურალურზე მოლაპარაკე ტომების საქართველოზე გავლას მოიაზრებს. ალბათ, ეს აქვს



მხედველობაში მეცნიერს, როდესაც ამბობს: „შუმერების სამშობლოს აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსება ხსნის შუმერული ენის არაურალურ მახასიათებლებს, ვინაიდან **ქართველური ენები**, რომლებიც სამხრეთით არიან გავრცელებულნი, ერგატიული კონსტრუქციისა და შუმერულის მსგავსი ზმნური პრეფიქსები გააჩნია“ (Parpola, 2009:15-16).

ჩემს ამოცანას არ წარმოადგენს ს. პარპოლას მიერ ნამოყენებული შუმერთა სამშობლოს სავარაუდო ადგილისა და მათი სამხრეთისკენ მიგრაციის თეორიის კრიტიკა თუ მტკიცება. დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. მე მსურს მხოლოდ ხაზი გაფუსვა იმ გარემოებას, რომ ურალურ-ალთაურ ენებზე მოლაპარაკე ტომების მიგრაცია ძნელად გადასალახავი კავკასიონისა და ზაგროსის¹² მთების გავლით სამხრეთ შუმერში რთულად განსახორციელებელი ამოცანა უნდა ყოფილიყო მეოთხე ათასწლეულის დასასრულს, მაშინ, როდესაც ქართველურსა და შუმერულს შორის არსებულ უძველეს ენობრივსა თუ კულტურულ კონტაქტებზე ინფორმაცია აქა-იქ უკვე ჩნდება. მაგალითისათვის მოვიყვანოთ 2008 წლის ზაფხულში სოფ. იგოეთის ტერიტორიაზე გრაკლიანი გორის არქეოლოგიური გათხრებისას (ხელმძღვანელი: პროფესორი ვახტანგ ლიჩელი) აღმოჩენილი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებით დათარიღებული ნამოსახლარი, რომელიც მოსახლეობას ძვ.წ. -ით I საუკუნემდე არ მიუტოვებია; აქ ჩვენი წინაპრები „ცხოვრობდნენ ოჯახებით, ბავშვებთან ერთად, მოჰყავდათ ხორბალი, აცხობდნენ პურს, ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ჰქონდათ ლითონის ჩამოსასხმელი სახელოსნოები, თაყვანს სცემდნენ ღმერთებს და აშენებდნენ მრავალ საკურთხეველსა და ტაძარს. მათ ჰქონდათ ურთიერთობა ისეთ შორეულ ტერიტორიებთან, როგორებიც ძველი მესოპოტამია, ურარტუ და მცირე აზია იყო“ (ამონარიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრაკლიანი გორის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული საგნების გამოფენის საინფორმაციო დაფიდან – თებერვალი, 2009).

¹² კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია იალბუზი (5642 მ.), ხოლო ზაგროსის მთებისა – ზარდ კუჭი (4548 მ.).



აქვე აღმოჩნდა IV-III ათასწლეულებით დათარიღებული მესოპოტამიური საბეჭდავი, რომელიც ამ უძველეს პერიოდში ქართველურ და შუმერულ სამყაროებს შორის მიმდინარე კულტურულ თუ სავაჭრო ურთიერთობებს ადასტურებს, რაც ქართველური **კაკლ**-ისთვის ხსნიდა გზას შუმერისაკენ.

კაკლის ხე საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. კაკალი ხარობს როგორც ველურად, ისე ბაღებში. ამ ხის სამი ჯიშია გავრცელებული: თხელ-ნაჭუჭაი, მაგარ-ნაჭუჭაი და კირკიტაი (ჯავახიშვილი, 1986:710). კაკალთან დაკავშირებული განვითარებული ტერმინოლოგია ამ კულტურის ხანგრძლიობაზე მიუთითებს. ქართულში განასხვავებენ კაკლის ხეს, კაკლის გულს – ნიგოზს, გულის თითოეულ ლებანს (ნებალი, ნებალი), წენგოს, ანუ ლეჯას, ნაჭუჭს (იქვე, 686-687) და ულელს. იცოდნენ აგრეთვე კაკლის, უფრო სწორად, წენგოს სამედიცინო თვისებებიც: „ვითარცა წენგო მანყინებელი კბილთაო“ (იქვე, 686).

კაკლის დიდი როლი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მშენებლობა, ავეჯის დამზადება, საღებავების გაკეთება, მედიცინა) თავისთავად მოიაზრება. საქართველოში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საზეთე კულტურას. ქართული ნიგოზი ერთ-ერთი საუკეთესოა თავისი ცხიმთან ერთად მსოფლიოში. მცენარეულ ზეთებს ყოველთვის უპირატესობა ენიჭებოდა ცხოველურ ცხიმთან შედარებით, რის გამოც ნიგოზის ზეთი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ყოველდღიურ, ისე განსაკუთრებული შემთხვევების დროს გამართულ სუფრაზე. კაკალი საქართველოში, როგორც ყველა სამინათმოქმედო ქვეყანაში, საღვთო მცენარედ მიაჩნიათ. ნიგოზის ზეთის გამოხდისას დიასახლისი ნიგოზს ფილაში ნაყავდა და ხელით განურავდა ყველასგან ფარულად, ვინაიდან სჯეროდა, რომ უცხო „თვალი“ მას ბარაქას გამოაცლიდა. ნიგოზის უხსოვარი დროიდან გამოყენების ფაქტზე მიუთითებს მრავალფეროვანი ქართული სამზარეულოც, რომელიც კუთხეების მიხედვითაც კი განსხვავებული კერძებით ხასიათდება: ნიგოზიანი ფხალეული, ხორცეული, სანებლები და ნაირ-ნაირი ნამცხვრეული ნიგოზის გულიან „განატხებთან“ ერთად, რომელსაც დღეობების დროს აცხობდნენ.

სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება **კაკლ**-ის **კულტუროლოგიური** ასპექტი და ვინაიდან შუმერული **kak-**



kala ქართველურიდან ჩანს შეთვისებული, ბუნებრივია, მის სესხებას კაკალთან დაკავშირებული მთელი კულტურა გაჰყვებოდა (შდრ.: „კაკლის საბერტყი ჯოხის“ მნიშვნელობა). არ გამიკვირდება, თუ ურის დაქცევით გამოწვეული ღმერთების გლოვაში და შავთავიანების (შუმერების) მიერ დატირებულ წვეულებებში, გარდასულ ეპოქათა მწერალი ქართულ ნიგვზიან საჭმელებსაც გულისხმობდა:

„სამხრეთის ქარმა ღამეს მოსტაცა
მისთვის ჩვეული **სუფრობა** ლალი“

ან

„წვეულებების გაშლის ადგილზე იდგა
გვამების გროვა მაღალი“ (ANET, 1955:458-59).¹³

დავასკვნით: კაკალი – kakkala მე-3 ათასწლეულის მიწურულისთვის, როდესაც ემხობა ურის III დინასტია და შუმერული, თუ შეიძლება ასე ითქვას, კარგავს სახელმწიფო ენის სტატუსს, მასში სიტყვა **kakkala** უკვე გამქრალია. ალბათ სრულ ან ნაწილობრივ დავინწყებას მიეცა კულტურული ნაწილიც, თუმცა მაინც დარჩა საკმარისი ენობრივი მასალა, რომლის შედარებითა კვლევამ შუმერული ლექსების აქამდე უცნობი მრავალი მხარე გამოავლინა. კერძოდ, ნათელი გახდა შუმერული **kakkala**-ს მიმართება ქართველურთან ფონეტიკურად, გრამატიკულად, სტრუქტურულად, სემანტიკურად და კულტუროლოგიურად. დღის სინათლეზე გამოვიდა შესასწავლ ერთეულებს შორის მთელისა (ქართველურის) და ნაწილის (შუმერულის) დამოკიდებულება. ამგვარი ურთიერთობები მთელის პირველადობასა და ნაწილის მეორადობაზე მიუთითებს, რაც არაერთხელ გამოიმჟღავნდა კვლევის მსვლელობისას.

მიღებული დავსკვნები მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ასირიოლოგიაში (ისტორიულ ენათმეცნიერებაში, ისტორიაში და ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) არსებული შეხედულებების საწინააღმდეგო სურათს გვთავაზობენ. ამიტომ მაშინ, როდესაც არსებობენ შუმერული ენის ელექტრონული ლექსიკონები და ლექსიკური

¹³ თარგმანი ინგლისურიდან შესრულებულია ჩემ მიერ (ა.მ.).



სიების ინტერნეტული გვერდები, ქართველოლოგებსა და ქართველ ასირიოლოგებს უფლება არა აქვთ არ ეძიებდნენ და ჩსრეკდნენ ინტერნეტულ სივრცეში ყველასთვის ხელმისაწვდომად გამოქვეყნებულ იმ უნიკალურ მასალას, რომელიც გვაძლევს მიღებული შედეგების გადამოწმების საშუალებას.

კულტუროლოგიური ასპექტი. კულტუროლოგიაში, რომელიც მეცნიერებად სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ჩამოყალიბდა, არსებობს **სიღრმისა და ზედაპირის** განუყოფელი ანტინომიური წყვილის ცნება. ისინი ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჰორიზონტალურისა და ვერტიკალურის, გეოგრაფიულისა და ტემპორალურის, შედეგისა და მიზეზის და ა.შ. ანალოგებად. ენობრივი კუთხით ამ ანტინომიის **ზედაპირი** სინქრონიაა, ხოლო **სიღრმე** – დიაქრონია, თუმცა მათ შორის საგრძნობი განსხვავებაცაა, რომელსაც მეტი მკაფიოებისათვის ინგლისური და ქართული ენების განვითარების მაგალითზე განვიხილავთ.

ინგლისური ენის ისტორია იყოფა სამ ეტაპად: ძველი (450-1100 წ.წ.); საშუალი (1100-1500 წ.წ.) და ახალი (1500-1800 წ.წ.). მისი წერილობითი ისტორია (თუ არ ჩავთვლით ლათინურ ენაზე შესრულებულ ისტორიულ „შრომებში“ ჩართულ თითო-ოროლა ბნკარს) მეთე საუკუნიდან იწყება. აქედან მოყოლებული სულ რაღაც რვა საუკუნის განმავლობაში ინგლისურმა ისეთი ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა, რომ თვით ენის ტიპი სინთეზურიდან ანალიტურში გადავიდა, რომ არაფერი ვთქვათ რადიკალურ ძვრებზე ფონოლოგიურ თუ გრამატიკულ სისტემებში. აღნიშნული ცვლილებების გამო, ინგლისური ენის თანამედროვე ფორმა ისე ძლიერ განსხვავდება მისი დიაქრონიული სახისგან, რომ ძველი ინგლისურის წაკითხვა დღეს სპეციალური განათლების გარეშე შეუძლებელია.

თუ სინქრონია-დიაქრონიის კრიტერიუმს ქართულ ენასა და დამწერლობას მივუყენებთ, სრულიად საწინააღმდეგო სურათის მოწმენი გავხდებით: 1500 წლით დაშორებული ტექსტი ქართველისათვის დღესაც გასაგებია. თუ ქართულსა და ინგლისურ ენებს მათი განვითარებისა და ტემპორალობის თვალსაზრისით შევადარებთ, ძლიერ ძნე-



ლი წარმოსადგენი იქნება დროის ის ხანგრძლიობა, რომელიც ქართულს ინგლისური ენის ანალოგიური ცვლილებისათვის (სინთეზური ენიდან ანალიტურში) დასჭირდეს. აქედან გამომდინარე, ქართული და ინგლისური ენების დროითი ვექტორის მოქმედება სინქრონიკაში არსებულ ენობრივ მდგომარეობასთან მიმართებით სრულიად სხვადასხვაგვარია.


ინგლისურის ენობრივი განვითარების „დისტანცია“ განუზომლად უფრო გრძელია, ვიდრე ქართულისა; სწორედ ეს **დისტანცია (და არა ქრონოლოგია), არის მანძილი ენობრივ ზედაპირსა და მის სიღრმეს შორის**, ხოლო იგი პირდაპირპროპორციულია ენის სტაბილურობის ხარისხისა, რომელიც ქართულის (ქართველურის) შემთხვევაში გასაოცრად მაღალია, ინგლისური ენის შემთხვევაში კი – დაბალი. როდესაც ენის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, დროის მცირე მონაკვეთშიც კი შესაძლებელია ენის ზედაპირსა და სიღრმეს შორის არსებული დისტანციის ისეთი ზრდა, როდესაც ზედაპირისა და სიღრმის ველები ურთიერთინააღმდეგობაში მოდიან და რადიკალურ ცვლილებას იწვევენ – ის, რაც ინგლისური ენის შემთხვევაში მოხდა. ირკვევა, რომ ენის სინქრონიისა და დიაქრონიის შესახებ მსჯელობისას **ნამყვანი ელემენტი დროის კომპონენტია, ხოლო ენის ზედაპირისა და სიღრმის შემთხვევაში – მის მიერ გავლილი ცვლილებების გზა ან პირუკუ, ენობრივი სტაბილობა.**

თუ ქართველურსა და შუმერულ ენებს კულტუროლოგიური ზედაპირისა და სიღრმის ანტინომიის მიხედვით განვიხილავთ, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, შუმერული სიღრმეა, ქართველური კი ზედაპირი; სწორედ აქ ხდება გასაოცარი რამ: შუმერულ-ქართველური **kakkala**-სა და **კაკლ**-ის ფონეტიკური იგივეობის 4600 წლიან ქრონოლოგიურ მანძილს სტაბილურობის ფაქტორი აბათილებს, ზედაპირსა და სიღრმეს პრაქტიკულად თანმხვედომ ასპექტებად წარმოადგენს. მეტიც, შუმერული წყვილი, რომლის შესახებ პრაქტიკულად არანაირი ლინგვისტური ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თვითონ ხდება ზედაპირი და ქართველურს უთმობს სიღრმის სტატუსს, ვინაიდან სწორედ მისგან ხდება ზედაპირის როლში აღმოჩენილი შუმერული **kakkala**-ს ლინგვისტური თვისებების გახსნა:



სქემა 4

ქართველური და შუმერულის სიღრმე-ზედაპირის მიმართება



ნათელია, რომ გასაანალიზებელი ერთეულების კულტუროლოგიური თვალსაზრისით განხილვა ზემოთ გამოტანილ ლინგვისტურ დასკვნებს ადასტურებს.

ამ კონტექსტში საინტერესოა გავიხსენოთ ცნობილი შუმეროლოგების გამონათქვამები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ 1853 წლიდან მოყოლებული, (როცა მოხდა თინის ფირფიტების ერთ-ერთი უცნობი ენის შუმერულად აღიარება და დაინყო მისი მეცნიერული შესწავლა), დღემდე შუმერული ენის არც ერთი დონე (ფონეტიკური, გრამატიკული, სინტაქსური) ჯერ კიდევ ზუსტად განსაზღვრული და დაგენილი არ არის. „საიმედო თარგმანები არ გაგვაჩნია განსაკუთრებით ფონეტიკური (და არა ისტორიული) ორთოგრაფიით შესრულებული ნაწარმოებებისა, რაც ტექსტის ანალიზისას სიტყვებად დაყოფასაც კი ეჭვქვეშ აყენებს, რომ არაფერი ვთქვათ მათ მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციაზე“ (Kramer, 1971:208). აქვე ურიგო არ არის აღვნიშნოთ, რომ ლექსიკური ერთეულების ყველაზე რთულ მონაკვეთს მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა აღმნიშვნელი სიტყვები წარმოადგენს.

ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებით ღირებულია ცნობილი ამერიკელი შუმეროლოგის სამუელ კრამერის შემდეგი გამონათქვამი: „სტრუქტურულად შუმერული არცთუ მცირედ ემსგავსება ისეთ აგლუტინაციურ ენებს, როგორიცაა: თურქული, უნგრული და ზოგიერთი კავკასიური ენა; ლექსიკის, გრამატიკისა და სინტაქსის თვალსაზრისით კი იგი კვლავ რჩება იზოლირებულ ენად ცოცხალ თუ მკვდარ ენათა შორის“ (იქვე, 306).

„ქართული ენის ცოდნამ მე ძლიერ მიშველა ჰამურაბის კანონების თარგმნა-ნაკითხვაში“-ო, გაიხსენა ექვთიმე თაყაიშვილმა არჩიბალდ სეისის სიტყვები რეზო გაბაშ-



ვილთან ერთად ლუვრში ყოფნისას (გაბაშვილი, 2001:28). მან სოლიდური ფრანგულენოვანი მონოგრაფია მიუძღვნა ქართველური ენებისა და კულტურის კონტაქტების კვლევას. აუცილებელია ამ ნაშრომის მოძიება და მისი ქართულად და ინგლისურად თარგმნა.

მათემატიკური ინდექსების კრიტიკრიუმი. ნაშრომის დასასრულს შუმერული **kakkala**-სა და ქართველური **კაკალ**-ის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები უნდა შევამოწმოთ მათემატიკური ინდექსაციის მეთოდით. „სვოდემშა (Swadesh, 1954:315-21) გამოიანგარიშა, რომ 97 სიტყვის ფარგლებში საკმარისია ოთხი CVC შედგენილობის სიტყვის მსგავსება ენებს შორის ისტორიული კავშირების საღიარებლად. კოვანმა (Cowan, 1962) უფრო გამონკვილვით შეისწავლა სხვადასხვა ფაქტორი და დაადგინა, რომ CVC შედგენილობის სამი სიტყვის მსგავსებაც კი ნდობა-რწმუნების მაღალი ხარისხით ხასიათდება. ახლა ჩვენს ხელთ არის ბენდერის მნიშვნელოვანი გამოკვლევა (Bender, 1969), რომელშიც 21 არამონათესავე ენა იქნა გაანალიზებული. ამით ხაზი ესმება ფონეტიკური მსგავსების დიდ მნიშვნელობას და აჩვენებს, რომ CVC კრიტიკრიუმის შემცველი ორიდან შვიდამდე ერთეულის მსგავსება ისტორიული ნათესაობის დიდი ალბათობის საკმარისი მაჩვენებელია“ (Parpola, 2009:54).

ლექსემების ბგერათმომდევრობის კრიტიკრიუმის მიხედვით, ქართველური და შუმერული **კაკალი – kakkala** ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს, რადგან შესასწავლ მაგალითში **სამი** კი არა, არამედ **ყველა** (ექვსი) იდენტური ბგერაა წარმოდგენილი.¹⁴ აქედან გამომდინარე, სვოდემშის 97 სიტყვიან სიაში, რომელიც მაქსიმუმ ოთხ CVC-იანი ერთეულის მსგავსებას და არა იდენტურობას მოითხოვს, ორი ერთეულიც კი სრულიად საკმარისია. მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებელი გადავამოწმეთ ა. დეიმელის *Sumerisches Lexikon* (რომი, 1950) და მიხ. წერეთლის მიერ გამოთვლილი 194 შუმერულ-ქართველური მსგავსი ერთეულის საფუძველზე. ლექსიკონის ნებისმიერ გვერდზე გამოვ-

¹⁴ შეადარეთ: ორი ერთეულის შედარებისას „რაც უფრო გრძელია სიტყვა, მით ნაკლებია მსგავსების შემთხვევითობა“ (Ruhlen, 1994:11).



თვალეთ ლექსიკური ერთეულების საშუალო რაოდენობა (16), რომელიც ლექსიკონის 212 გვერდზე გადამრავლდა (3392 ერთეული). გამოვთვალეთ, რომ სავარუდო ნათესაობის პირობის დასაკმაყოფილებლად საკმარისი 140 ერთეულის ნაცვლად (3392:97=35; 35x4=140) ჩვენს ხელთ 194 ერთეულია, ანუ საკმარისზე მეტი მსგავსების შემთხვევა გვაქვს. სხვაგვარად, ა. დეიმელის შუმერული ლექსიკონისა და მის. წერეთლის მიერ გამოვლენილი შუმერულ-ქართველური მსგავსებანი არათუ აკმაყოფილებს, არამედ აჭარბებს კიდევ სვოდეშისა თუ კოვანის მიერ ენათა ნათესაობის დასადგენად გამოყენებული კრიტერიუმების მოთხოვნებს.¹⁵

უფრო მეტიც, ქართველური და შუმერული **kakali – kakala**-ს ურთიერთობა სცილდება ენობრივი კრიტერიუმებით აღიარებულ ჩარჩოს, ვინაიდან ქართველური მასალა აზუსტებს შუმერული წყვილის ბგერით შედგენილობას, მის სტრუქტურულ ფორმულას, ახდენს მორფემათა სეგმენტაციას, აკონკრეტებს მნიშვნელობას და შემოხაზავს შუმერული **kakala**-ს მიღმა დავანებულ კულტუროლოგიურ ასპექტებს. თუ აღნიშნულის გათვალისწინებით მოვახდენთ აღიარებული კრიტერიუმების გადახედვას, დამეთანხმებით, რომ ერთი ასეთი მაგალითის არსებობაც კი ფრიად ყურადსაღები ფაქტია შუმერულ-ქართველურ ენობრივ მსგავსებათა კვლევა-ძიების წარსამართავად.

¹⁵ მის. წერეთლის სიაში ფიგურირებენ როგორც VC, CV, ისე უფრო გრძელი ერთეულებიც. ჩვენ ყველა ლექსემა CVC ერთეულად მივიჩნიეთ, ვინაიდან დასახული ამოცანებისათვის მიახლოებითი ინდექსების გამოთვლაც საკმარისი იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეცნიერის მიერ მოცემულ სიას კვლავ სჭირდება ხელახალი გადახედვა შუმეროლოგიისა და, საერთოდ, ასირიოლოგიის უახლესი მიღწევების თვალსაზრისით საინტერესოა ნ. სამსონიას სტატია *Sumerian and Georgian Lexical Parallels, Bulletin of the AIGBAS, 2004.*

კაკაბი – kabkab

ქართველურ-შუმერულ ენობრივ მსგავსებებში განსაკუთრებული აღნიშვნისა და შესწავლის ღირსია ერთმანეთთან ფონეტიკურად და სემანტიკურად ძლიერ ახლოს მდგომი ლექსემები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკულად იდენტურნი არიან. ამგვარი მსგავსება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის მიუღებელია (უკეთეს შემთხვევაში კი ძლიერ საეჭვო), მით უმეტეს მაშინ, როდესაც შესადარებელი მასალა ისე ძლიერ არის ერთმანეთისგან დაშორებული, როგორც მკვდარი შუმერული და ცოცხალი ქართველური. ასეთი დამოკიდებულება ფონეტიკურ-სემანტიკური იგივეობრიობით აღბეჭდილი ლექსემების მიმართ გამოწვეულია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში დაგროვილი გამოცდილებით, რომელიც ნათლად უჩვენებს კორელატ სიტყვებს შორის მსგავსების შესუსტებას შესაბამისი ენების დიაქრონიულ განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, ენათა ნათესაობის დადგენა ემყარება გაფერმკრთალებული ბგერითი და შინაარსობრივი შესაბამისობების აღდგენას, რომლის დროსაც რეგულარული ბგერათშესატყვისობები იკვეთება. დადგენილ ფონემატშესატყვისობათა მოდელების საფუძველზე ხდება ფაქტობრივ მასალაში არარსებული ჰიპოთეტური ფორმების რეკონსტრუქცია, რაც შესაბამისი პროტონის აღდგენის ბაზას ქმნის.

წარმოდგენილი დებულებები ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ხერხემალი და მამოძრავებელი ღერძია. მათი დახვეწა-ჩამოყალიბება ინდოევროპულ ენათა ჯგუფ-



ში შემაჯავალი სისტემების შესწავლის პროცესში მოხდა. ესაა სისტემები, რომლებიც განვითარების სწრაფი ტემპით ხასიათდება (ინგლისური, გერმანული, ბერძნული, ირანული და სხვ.). უფრო მეტიც, თანამედროვე ინდოევროპული ენების უმრავლესობა მკვდარი წინაპრების ადგილზე აღმოცენებული ახალი სისტემებია (შდრ.: ძველი და ახალი ბერძნული, ძველი და ახალი ინგლისური და ა.შ.). ამიტომ, როდესაც აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებული ნიშნ(ებ)ით აღბეჭდილი სისტემების ლინგვისტურ კვლევაში გამოიყენება (მაგ. სტაბილურობით გამორჩეული ქართველური ან მკვდარი შუმერული თუ ეგვიპტური, რომელთა ფონოლოგიური სისტემაც კი არ არის ზუსტად დადგენილი, რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკული კატეგორიებისა თუ სემანტიკური ინტერპრეტაციის შესახებ), ჩვეულებრივმა რეგულარულმა შესაბამისობებმა შესაძლებელია სრულიად მოულოდნელი თვისებები გამოავლინონ, რის გამოც შესასწავლი მასალა კი არ უნდა უარვეყოთ ტრადიციული ჩარჩოდან ამოვარდნილობის გამო, არამედ პირიქით, იგი უფრო გამონაკლისად უნდა გამოვიძიოთ და, თუ საჭირო გახდა, ცვლილებებიც შევიტანოთ არსებულ ისტორიულ-შედარებით მეთოდოლოგიაში.

აღნიშნული ფაქტორები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ქართველურ-შუმერული ენობრივი მასალის შედარებითი კვლევისას, ვინაიდან, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს დიდი ენობრივი მდგრადობით გამორჩეულ ქართველურ ენებთან და მეორე მხრივ, მკვდარ შუმერულთან, რომელმაც ძვ. წ. მეორე ათასწლეულისათვის უკვე შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ მეცნიერების ენად დარჩა. „სიკვდილმა“ შუმერული ერთგვარ „სტაბილურ“ სისტემად გადააქცია და, მიუხედავად იმისა, რომ ასირიოლოგები ი. დიაკონოვის სიტყვებს („არსებობს იმდენი შუმერული, რამდენიც შუმეროლოგი“) დღესაც ხშირად იმეორებენ, ვერ უარვეყოფთ იმ ფაქტს, რომ ურუკის უძველესი ხანისა (ძვ.წ. 3100) თუ არქაული შუმერულის (ძვ.წ. 3000-2600) ეპოქებში თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი „ლექსიკონები“ ცივილიზაციის დამაარსებელი შუმერების ენას უფრო სრულად ასახავენ, ვიდრე მომდევნო ეპოქები. სხვა საქმეა, რომ, სამწუხაროდ, ამ უძველესი ეპოქის თიხის

ფირფიტებში გაყინული ენა მეცნიერებს „ახლოს არ უშვებს“, თითქოს დარაჯობს დიდ საიდუმლოებას.

მეორე ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იყოს შუმერულ-ქართველური ენობრივი მასალის შედარებითი კვლევის ამ ადრეულ ეტაპზე, არის ყურადღების გამახვილება არა რეგულარული ფონმათ შესატყვისობების გამოვლენის მიზნით დიდი მოცულობის მასალის გაანალიზებაზე (რაც მსგავსი კვლევების დამახასიათებელი თვისებაა), არამედ შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი ენობრივი ინფორმაციის (ფონეტიკურ-ფონოლოგიური, გრამატიკული, ლექსიკური, დერივაციული, სტრუქტურული და ა.შ.) ამოღებაზე, რის შესაძლებლობასაც შუმერულთან შედარებული ქართველური ენობრივი მასალა იძლევა. ამიტომ ერთი შუმერული ლექსემის შესწავლაც კი, თუ იგი წერილობით „დოკუმენტებში“ დაფიქსირებული პირველი ენის შესახებ არსებულ ცოდნას ოდნავ მაინც სრულყოფს და შეავსებს, მნიშვნელოვანი და ღირებულია.

ნათქვამი არ წარმოადგენს ისტორიულ ენათმეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის, მრავალი მკვლევრის რუდუნებით აშენებული მეთოდოლოგიური სისტემისა თუ მისი შედეგების უარყოფას. საქმე ის არის, რომ ანალიზის პროცესში შუმერული და ქართველური მასალის არაორდინალურობა განსხვავებული პრიორიტეტების აქცენტირებას მოითხოვს. კერძოდ, კვლევის ამ ეტაპზე უპირატესობა ეძლევა ლექსემისა თუ მორფემის ლინგოკულტუროლოგიური კვლევის როგორც ჰორიზონტალურ, ისე სიღრმისეულ (ვერტიკალურ) დიაპაზონს და არა ფონეტიკურ-სემანტიკური მსგავსებების რაოდენობრივ მაჩვენებელს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევის წინსვლასთან ერთად მოხდება გამოვლენილი შედეგების სისტემატიზაცია-კატეგორიზაცია, დადგენილი რეგულარული ბგერათმესატყვისობების მოდელების გავრცობა-შესწორება და მათზე დაყრდნობით შუმერულ-ქართველურ ურთიერთობებში წამოჭრილი ახალ-ახალი ამოცანების გადაჭრა. ამგვარ პერსპექტივას გვთავაზობს შუმერული kabkab-ისა და ქართული კაკაბ-ის ლინგოკულტუროლოგიური ანალიზი.

PSD-ში kabkab შემდეგნაირად არის მოცემული: kabkab [BIRD] (1x: ED IIIa) wr. kab-kab^{musen} „a bird~ Akk. Kapkappu,



ანუ **კაბკაბ**^{მუშენ} [ჩიტ] გამოყენების მაქსიმალურად დაბალი სიხშირით; მისი აქადური ფორმაა **Kapkappu**. დაწერილობიდან ჩანს, რომ შუმერული **kab-kab**^{mušen} რედუქციაციის გზით მიღებული ლექსემაა. სიტყვის ბოლოს განთავსებული ლოგოგრამა (**mušen**) საგანთა კლასის დეტერმინანტია და „ფრინველ“-ს აღნიშნავს. დაფიქსირებულია **kab-kab**^{mušen}-ის ხმარების სიხშირეც – **ერთი**; იგი ადრედინასტიური III ეპოქისაა, ანუ დაახლოებით ძვ.წ. 2600 წელს განეკუთვნება. სხვა ინფორმაცია გასაანალიზებელ ერთეულზე არ მოგვეპოვება. არც არის გასაკვირი, ვინაიდან ერთი მხრივ, მცენარეთა და ცხოველთა სახელების კვლევა ერთ-ერთი ურთულესია შუმერული ლექსიკის დადგენაში და მეორე მხრივ, ხმარების ასეთი დაბალი სიხშირე, რაც თანამედროვე ენათმეცნიერებაში სიტყვის **უაღრესად დაბალი მნიშვნელობის** მაჩვენებელია, შუმერული ენის შემთხვევაში **წინარეშუმერულის** ენობრივი ფენის კუთვნილებაზე მიანიშნებს. ამ კონტექსტში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ქართველური ენობრივი მასალა ნათელს ჰფენს სწორედ მსგავს რთულ შემთხვევებს, ააშკარავებს მათთან დაკავშირებულ სხვა ლექსემებს და აჯგუფებს გარკვეულ ერთობლიობად. ქართველური სიტყვა, რომელიც შუმერული **kabkab**-ის ფონეტიკური და სემანტიკური ნყვილია არის **კაკაბი – ფრინველი** (საბა, 1991:347) „ვარირის ტოლა გარეული ფრინველი (ქათმების ოჯახისა), რომელსაც გემრიელი ხორცი აქვს“ (ქეგელი, 1955:1023).

ქართული **კაკაბ** ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისია მეგრული **კოკობ**-.

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა კ. ჰ. შმიდტმა (Schmidt, 1962:117), ხოლო ***კაკაბ**- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 105; Klimov, 1998:85; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:261).

შუმერული **kabkab**-ისა და ქართველური **კაკაბ**-ის შედარება ურთიერთშემავსებელ ინფორმაციას გვთავაზობს. შუმერული გვიჩვენებს, რომ ქართველური **კაკაბ**-ი მის მსგავსად რედუქციაციის გზით არის მიღებული. საწყისი ფორმა **კაბკაბ**-ი უნდა ყოფილიყო, სადაც პირველი კომპონენტის ბოლოკიდური თანხმოვანი (**ბ**) ამოვარდა. ამ

თვალსაზრისით კაკაბ-ი უნიკალური სიტყვაა, ვინაიდან მსგავსი სიტყვები ქართველურში რედუპლიკაციის სხვა ტიპებთან შედარებით გაცილებით ცოტაა. მაღალი სიხშირით ხასიათდება ისეთი თხზული სიტყვები, რომლებშიც ძირითელი მთლიანად არის შენარჩუნებული: **კაჭ-კაჭ-ი**, **ცაბ-ცაბ-ი**, **ბაჯ-ბაჯ-ი**, **ნივ-ნივ-ი**; **ჟივ-ჟივ-ი**, **ცივ-ცივ-ი**, **ცალ-ცალ-ი** და ა. შ., ანუ **kabkab**-ის სრული ტიპისა. ქართველურსა და შუმერულში დადასტურებული რედუპლიკაციის აღნიშნულ მოდელს შუმერული **kabkab**-ი ძვ.წ. 2600 წლით ათარიღებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ქართველური **კაკაბ**-ის სრული ფორმის რელატიური ქრონოლოგიის გამოთვლა. თუ **კაკაბ** – **kabkab** თანმიმდევრობის მეორე წევრი შუმერულში ძვ.წ. 2600 წელს უკვე დაფიქსირებულია, ქართველურში ანალოგიურ ფორმას (**კაბკაბ**) ძვ.წ. 2600 წლამდე უნდა ეარსება. სულ ცოტა 100 წელიც რომ ვივარაუდოთ ბოლოკიდური თანხმობის დასუსტება-ამოვარდნისათვის (რაც დროის ფრიად მცირე მონაკვეთია), ქართველური **კაკაბ**-ის სრული რედუპლიცირებული ფორმა ძვ.წ. 2700 წლით მაინც უნდა დავათარილოთ. ეს ადრედინასტიური II და სავსებით შესაძლო ადრედინასტიური I ეპოქის ხანაა (ძვ.წ. 2900-2750). ესაა ეპოქა, რომელიც ინდოევროპული ენებისათვის რეკონსტრუქციის სფეროს წარმოადგენს.

თუ იმავე მონაცემს ქართველური ენათმეცნიერების თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ იგი საერთოქართველური ეპოქის თანხვედრია (სვანურის გამოყოფა საერთოქართველურიდან ივარაუდება ძვ.წ. 2200-2100 წელს – (კლიმოვი, 1994:14). უფრო საინტერესოა ის, რომ ქართველოლოგების მიერ რეკონსტრუქციის სფეროდ მიჩნეულ საერთოქართველურ ეპოქაში **კაკაბ**-ის კონკრეტული ფორმა არსებობს, ხოლო მისი სრული ვარიანტი **კაბკაბ**-ის სახით წარსულის კიდევ უფრო უხსოვარ ლაბირინთებში მიექანება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გ. კლიმოვის მიერ საერთოქართველური დონისათვის შემოთავაზებული ***კაკაბ**-ის რეკონსტრუქცია მხოლოდ ვარაუდად ჩავთვალოთ და იგი ვალიაროთ მოქმედ ფორმად საერთოქართველურის ძვ.წ. 2600 წელს, ხოლო **კაკაბ**-ის



წინარე ეტაპად მივიჩნით გაორმაგებული **კაბკაბ**. უფრო მეტიც, სიტყვის რედუბლიკაციური ბუნების გამო, მის არქეტიპად შეგვიძლია ვამტკიცოთ (და არა ვივარაუდოთ რეკონსტრუქციის გზით!) მარტივი ძირი **კაბ**, რომლის დათარიღებაც მე-4 ათასწლეულში გადადის.

მეტად მრავალსმეტქმელია ის ფაქტი, რომ შუმერული და ქართველური ენობრივი მასალა წინააღმდეგობაში არ მოდის; პირიქით, ისინი ავსებენ, აკონკრეტებენ, ხსნიან და ადასტურებენ ერთმანეთს. შუმერული **kabkab** აზუსტებს ქართველური სიტყვის სტრუქტურას და ქრონოლოგიას, ქართველური წვერი შუმერულის სემანტიკას აკონკრეტებს და მიუთითებს გარეული ქათმის ჯიშზე, რომელიც, როგორც ლექსემის ხმარების სიხშირე მიუთითებს, უკვე მივიწყებული ნუგბარი ნანადირევი უნდა ყოფილიყო ძვ.წ. 2600 წლისთვის, ალბათ ისეთივე მივიწყებული, როგორც ძირითადი ერთეული **კაბ**.

*რას წარმოადგენდა **kabkab**-ის ძირი **kab**?*

შუმერულში **kabkab**-ს არავითარ ლექსემას არ უკავშირებენ (ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი მსგავსი გამოკვლევების შესახებ), თუმცა სხვადასხვა პერიოდიდან (ძველქაღდური, ურის III დინასტიის ხანა, ძველბაბილონური და ა.შ.) არსებობს დამოუკიდებელი სიტყვა **kab** („მარცხენა“; იხ. ქვემოთ), რომელსაც ქართველურ ენებში ეძებნება ბგერითი ანალოგი. ესაა სიტყვა **კაბ-ა**. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში იგი დაფიქსირებულია როგორც **სამოსელი** და **ტყავ-კაბა** („ბენვიანი ჩასაცმელი“; საბა, 1991:344; 1993:148). ი. აბულაძის *ძველი ქართული ენის ლექსიკონში კაბა* მოცემული არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, **სამოსელი**-ი შემდეგნაირად არის განმარტებული: „კუართი, **შესამოსელი**, სამკაული, ფიჩუ, ფრთა, კუბასტი, ტანისამოსი, მოსასხამი“ (აბულაძე, 1973:364; ხაზგასმა ჩვენია, ა.მ.). სინონიმური ტოლობის საფუძველზე (**კაბა** = **სამოსელი**), **სამოსელი**-ის ჩამოთვლილი ტიპები **კაბ**-ის განსხვავებული სახეებიცაა. მეგრულში დაფიქსირებულია **კაბა** – „კაბა, ახალუხი (ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი)“; **კაბამ**-ი – „კაბიანი; ახალუხიანი“ (ქაჯაია, 2002:97). იგივე ლექსემა გვხვდება სვანურშიც: **კაბ** – „კაბა; ახალუხი“ (თოფური, ქალდანი, 2001:340). გვაქვს აგრეთვე ომონიმური **კაბჳ¹** – „ქვედა ყბა“; და **კაბჳ²**

– იგივეა, რაც **კაბზე** (ზს.)/**კაბზე** (ჩბს.) – „პირუტყვი (მეტწინადად ხარი ან ძროხა, შეიძლება თხაც), რომელსაც წელზე ან ფეხზე თეთრი ზოლ(ებ)ი გაჰყვება; თეთრზოლება ფრინველი“ (ბქ.; თოფურია, ქალდანი, 2001:340).

წარმოდგენილი სალექსიკონო სტატიებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველურ მასალაში, კერძოდ სვანურში, **კაბზე**¹ („ქვედა ყბა“) და **კაბზე/კაბზე**² („ნიშნიანი პირუტყვი“) ძირითადი **კაბ** ლექსემის ომონიმურ ერთეულებად არის კლასიფიცირებული, თუმცა, როგორც ეს ანალიზიდან გაირკვევა, ისინი ერთ მთლიან ქართველურ-შუმერულ სისტემაში ერთიანდებიან. ანალიზის ამ ეტაპზე მხოლოდ გაფერმკრთალებულ სემანტიკურ კავშირებზე მივუთითებთ, რომელთა მეშვეობით იქმნება ისეთი სემანტიკური ველი, რომლის ცენტრალური ერთეულია ქართული, მეგრული და სვანური **კაბ**; ცენტრიდანულ ვექტორზე განთავსებულია **კაბ**-თან („ტყავკაბის“ მნიშვნელობით) მეტონიმური ურთიერთობით დაკავშირებული **კაბზე/კაბზე**² („ნიშნიანი პირუტყვი“), ხოლო ველის უკიდურეს სივრცეში მდებარეობს **კაბზე**¹ („ქვედა ყბა“), რომელიც ნებისმიერი სულდგმულის აღმნიშვნელ სახელს შეიძლება მიემართებოდეს. თუ როდის მოხდა სემანტიკური კავშირების შესუსტება ან საერთოდ არსებობდა ასეთი კავშირები თუ არა, ან რა გახდა სვანური ფორმების ომონიმურ ერთეულებად განმხოლოების მიზეზი – ის შევითხვებია, რომლებზედაც პასუხი შესაძარებელი მასალის ლინგვოკულტუროლოგიურმა ანალიზმა უნდა მოგვცეს. აღნიშნული საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ „სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში“ (ჩანტლაძე, 1998:3).

ვფიქრობ, **კაბ**-ის შემთხვევაში ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან სამივე ენაში (ქართული, მეგრული, სვანური) ზუსტად არის დაცული როგორც ერთი და იგივე ბგერითი შედგენილობა ისე მისი სემანტიკური ბირთვი – **ტანის სამოსი**. შესაბამისად, საერთოქართვე-



ლურ დონეზე, ისევე როგორც ახლა, ლექსემა **კაბ** მიუთითებდა ზოგადად **ჩასაცმელზე**, რომელიც განსხვავებული მასალისგან, მათ შორის მატყლისგანაც, შეიძლებოდა ყოფილიყო დამზადებული („ფიჩუ“). ქალის **ტანისამოს**-ის გარდა, **კაბ**-ს „ლეჩაქის“ („კუბასტი“) მნიშვნელობაც ჰქონდა.

„კაბას“ ცხოველისა და ფრინველის ტანის საფარის მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, ცხოველის შემთხვევაში – **ტყავ**-ისა (შდრ.: **ტყავ-კაბა**), ხოლო ფრინველის შემთხვევაში – **ბუმბულ**-ისა და **ფრთ**-ისა. **კაბ**-ის სწორედ **ფრთის** მნიშვნელობა დაედო საფუძვლად ქართულ **კაკაბ**-სა და შუმერულ **kabkab**-ს „ჩიტ“-ისა და „ფრინველ“-ის მნიშვნელობით. მოგვიანებით შუმერული **kabkab** ოდნავ ბგერინაცვალი სახით – **kapkappu** აქადურში შევიდა. შესაბამისად, გვაქვს სამი ფორმა: შუმერული **kabkab**, აქადური **kapkappu** და ქართველური ***კა(ბ)კაბ**-ი, რომელთა შორის ფონეტიკური შესაბამისობის გარკვევა მეტად მნიშვნელოვანია როგორც შესასწავლ სიტყვებს შორის ბგერათა რეგულარული შესატყვისობების გამოსავლენად, ისე შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემის დასაზუსტებლად. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ასირიოლოგიაში აბრუპტივებზე (მსკდომი თანხმოვნები) ორი ძირითადი შეხედულება არსებობს (გვ. 19), რომელთაგან შუმერულ-ქართველური **kakkala-კაკლ**-ის მსგავსად, ქართველური **კაკაბ**-ი ადასტურებს **kabkab**-ში ყრუ მსკდომ თანხმოვანს (**k**) ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მჟღერ მსკდომს (**b**), რითიც ამ კონკრეტულ ლექსემაში ყრუ ფშვინვიერების (**k^h, p^h**) არსებობა გამოირიცხება. შესაბამისად, შეხედულება, რომ შუმერული ორთოგრაფია ზუსტად ვერ ასახავს სიტყვების ბგერით ფორმას (Thomsen, 1984:42), **kabkab**-ის შემთხვევაში გასაზიარებელი არ არის. ორივე ასო (ყრუ **k** და მჟღერი **b** მსკდომი) მათი ჩვეული ფონეტიკური ღირებულებების მიხედვით უნდა იქნას წაკითხული. რაც შეეხება შუმერულიდან აქადურში გადასულ **kapkappu**-ს, იკვეთება **k – k**, და **b – p** შესაბამისობა, რომელშიც ერთ შემთხვევაში შენარჩუნებულია შუმერული არქეტიპი (**k**), ხოლო მეორეში იგი შესაბამისი ყრუ თანხმოვნით (**p**) არის ჩანაცვლებული. ანალიზიდან ირკვევა, რომ ქართველური მასალა ააშკარავებს არა მხოლოდ შუმერული **kabkab**-ის ფონეტიკურ აგებულებ-



ბას, რითაც აზუსტებს შუმერული ენის ფონოლოგიურ სურათს, არამედ სინათლეზე გამოაქვს ქართველურს, შუმერულსა და აქადურს შორის არსებული ფონეტიკური შესატყვისობების ფორმულებიც:

სქემა 1

ქართველური, შუმერული და აქადური
ბგერათშესატყვისობანი

ქართველური	–	შუმერული	–	აქადური
k	–	k	–	k
b	–	b	–	p

მიღებული შედეგები მომავალი კვლევის მხოლოდ კურსორებია, რომელთა სიცოცხლისუნარიანობას (მოდულიკაცია-დაზუსტება, დადასტურება) შემდგომი ძიება გამოავლენს.

რატომ მოხდა კაბ ძირის გაორმაგება?

პასუხი დასმულ შეკითხვაზე მარტივია: ფრინველის ბუმბულ-სამოსი, სიმრავლის გამო, მხოლოდით რიცხვში ვერ აღიქმებოდა, ამიტომაც მრავლობითობის ცნების გამოსატყვის უძველესი ხერხი – ძირის გაორმაგება იქნა გამოყენებული (იხ. სტატია 1). 4600 წლის წინ შედგენილ ლექსიკურ სიებში დაფიქსირებული სიტყვათწარმოების ეს საშუალება დღემდე ფართოდ არის გავრცელებული ქართველურ ენებში, სადაც ქართველური კაკაბ-ის არქეტიპული ფორმის (*კაბ) ანალოგიური წარმოებისა და სემანტიკის „ბუმბული“-ა დაფიქსირებული. აღნიშნული სიტყვა ბუმ-ძირის გაორმაგებით უნდა იყოს მიღებული, სადაც ბოლოკიდური სონორის (მ, ნ, რ) > ლ-ში გადასვლა რეგულარული ფონეტიკური მოვლენაა (შდრ.: ფუმ+ფულ-ა, ცუნ+ცულ-ა, ჩურ+ჩულ-ი და ა.შ.). მეტიც, ვფიქრობთ ბუმბულ-ი და ფუმფულ-ა ლექსემები დაკავშირებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ ფონეტიკურად (ბ-ფ, მ-ლ), არამედ ლექსიკურადაც, რომლის საფუძველში ექსტრალინგვისტურად განპირობებული მეტაფორული გადატანა ძევს: ბუმბული = „ხელშესახებად ფაფუკი“ და „რბილი“ > „ფუმფულ“-ა. მაშასადამე, გვაქვს ქართველური არქეტიპი *კაბ-„ფრინველის სამოსის“ დამადასტურებელი ლექსემით



ბუმბულ-ი და მისგან გაორმაგების საფუძველზე ნაწარმოები შემერული **kabkab**, აქადური **kap+kap+(p)u**:

სქემა 2

ქართველური, შემერული და აქადური ჯგუფი

ქართველური

შემერული

აქადური

*კაბ-კაბ > კა-კაბ

kab-kab

>

kap-kap-pu

*ბუმ-ბუმ > ბუმ-ბულ

რამდენად სარწმუნოა შემოთავაზებული ანალიზი?

ამაზე პასუხს შემერულ-აქადურ მითოლოგიაში არსებული ზოგიერთი გაურკვეველი ადგილის ჩხრეკა-გამოძიება გვაძლევს. ჯერ თვით მითის შესახებ ვთქვათ ორიოდ სიტყვა: **ანზუს** (**ასაგუ-ს**) **ეპოსმა** ჩვენამდე ორ ვარიანტად მოაღწია: ერთი ძველბაბილონური ეპოქით არის დათარიღებული (მეორე ათასწლეულის დასაწყისი), მეორეს კი (სტანდარტულ ბაბილონურ ვარიანტს) პირველ ათასწლეულს აკუთვნებენ. შემერულ ენაზე აღნიშნული მითი ჩანერილი არ არის, ხოლო რაც შეეხება ბაბილონურ ვარიანტებს, განსხვავებების (მითის მოცულობა, მოქმედი გმირები და ღმერთები) მიუხედავად, ის ორ ძირითად მითოლოგემაზეა აგებული: **ა)** ანზუს მიერ ენლილისთვის ბედისწერის დაფების მოტაცება; **ბ)** გმირის (ნინგირსუ, ნინურტა) მიერ დაფების ბრძოლით დაბრუნება. აღნიშნული მითოლოგემები უდიდესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან კაცობრიობის კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანეს კონცეპტებს ეხმაურებიან. გმირის დემონებთან შებრძოლების თემით „ანზუს ეპოსი“ ერთ მწკრივში დგება არა მხოლოდ შემერული „შესაქმის მითთან“, არამედ მსოფლიოს მითოსებსა თუ რელიგიებში ბოროტების სიმბოლურ გამოხატულებასთან – ურჩხულთან, მებრძოლი გმირის სიუჟეტზე აგებულ ნაწარმოებებთან (შდრ.: სიგურთის მიერ ფაფნირის მოკვლა სკანდინავიურ ეპოსში, ამირანისა თუ ნმინდა გიორგის ბრძოლა გველეშაპის წინააღმდეგ და ა.შ.).

არანაკლებ მნიშვნელოვანია „ანზუს ეპოსი“ ბედისწერის ფირფიტების მითოლოგიის თვალსაზრისითაც. ამ კუთხით იგი უტოლდება უძველესი სიბრძნით აღბეჭდილი ადამის ვაჟის, სეთის მიერ აგებული თიხისა და ქვის სვეტებს, მოსესთვის ღმერთისაგან ბოძებულ ქვის დაფებს და თოთის ზურმუხტის ფირფიტებს, რომლებიც ჰერმესის ფირფიტების სახელითაც არის ცნობილი (Annus, 2001:xxvi-xxx). აქვე დავუმატებ, რომ ხატუნერის პირველი ნიმუშებიც კი, რომლებიც, **გაუგებარი მიზეზების გამო**, წმინდანების გამოსახულებების მქონე **ფიცრის დაფებს** წარმოადგენდნენ, ანზუს უძველეს დაფებთან უნდა იყვნენ წილნაყარნი. **ჩიტყაცა ან-ზუმ (ასაგ-მა)** ხელში ჩაიგდო კაცობრიობის სიბრძნისა და ბედისწერის ეს დაფები, რომლებიც ნინურტამ ბრძოლით დაიბრუნა. შერკინების წინ ასე არიგებს ნინურტას ეა (ენქი), ქვესკნელის მტკნარი წყლის ოკეანის, აზზუს, მეუფე და ჯადოსნობის, სიბრძნის, ლოცვების, ხელოვნებისა და ხელოსნობის ღმერთი:

„ბრძოლამ არ დაგლალოს; ძალა უჩვენე,
დადრიკე იგი. სამხრეთის ქარის ძლიერება
მის **ბუმბულს** დაყრის!

ხელთ იპყარ ლერწმის ისრების უკან შენახული *tilu*-ს
მახვილი.

ჰვეთე **ბუმბულნი**. მი-მო-აბნიე მარცხნივ და მარჯვნივ.

ფრთების ხილვისგან წაეგვრება მას მეტყველება;

„**ფრთა ფრთას!**“ – დასძახებს იგი. არ დაგაფრთხოს
(მისმა ძახილმა).

მოსნიე მშვილდი და ისრები ელვის მსგავსად აძგერე
გულში!

სისხლიან ნივთთა მსგავსად **ფრთა-ბუმბული** როკვას
დაინყებს!

„გამოსჭერ ყელი. მოიმწყვდიე მახეში (იგი).

ტრიალ-ტრიალით გააქროლებს ქარი მის **ფრთებს**
იდუმალი ადგილებისკენ –

ექურისაკენ, სადაც არის მამაშენის, ენლილის ყუდე!

მთებს მოვარდება წარღვნა, ჩოჩქოლი.

ბოროტ ანზუს გამოსჭერ ყელი“

(Kramer, Maier, 1989:141).



მოყვანილ ნაწყვეტში „ფრთის“ ადგილზე ორიგინალში გამოყენებულია აქადური სიტყვა **kappa**. ს. კრამერისა და ჯ. მიეირის მიხედვით, „ეას რჩევა ეშმაკურად დაგებული ხაფანგია, რომლითაც იგი ანზუს ჯადოსნობას ალიარებს. როდესაც ანზუ დაინახავს თავის მიმოფანტულ kappa-ს, მას ენა წაერთმევა... და აღმოსდება ის მაგიური სიტყვები, რომლებითაც წინურტა წინა ბრძოლის დროს დაამარცხა. იმის ნაცვლად, რომ წარმოთქვას „ფრთავ (=ისარზე დამაგრებული ბუმბული) დაუბრუნდი შენს პატრონ ფრინველს“, საკუთარი kappa-ს დაკარგვით გაოცებული შესძახებს: **kappa ana kappa** „ფრთა ფრთას!“ (Kramer, Maier, 1989:141).

მოყვანილ კონტექსტში ჩიტკაცა ანზუს **კაბ**-ის, ანუ **ბუმბულ-სამოსის** ამოცნობა ძნელი არ არის. მისი აკუნვით ბოროტების ღმერთი შიშვლდება, რასაც საბოლოო დამარცხება მოსდევს.

წარმოდგენილი ანალიზის ლოგიკურობა ვერ ამოწურავს აქადური ფრაზის **kappa ana kappa**-ს („ფრთა ფრთას!“) სემანტიკურ პოტენციას, რომლის მრავალპლანიანი გააზრება მხოლოდ აქადური და ქართველური მასალის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. შესასწავლი ფრაზის შემადგენელ კომპონენტებზე დაყრდნობით განვიხილოთ მითის კონტექსტში დასაშვები ინტერპრეტაციები:

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს თითქოს უმნიშვნელო წინდებული **ana**. მისი მნიშვნელობებია **to**, რომელიც მიცემითი ბრუნვის ფუნქციას გადმოსცემს, და **for**, რომელიც ითარგმნება როგორც **კენ**, **-თვის** (Black, George, Postgate, 2000:16). ასირიოლოგების მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია „ფრთა ფრთას!“ ზუსტია, მაგრამ გაუგებარი. ამ გაუგებრობას ნათელს ჰყვენს იდენტური ქართული ფრაზა **ფრთა ფრთას შემოჰკრა** (შდრ.: **ხელი ხელს შემოჰკრა** და ა.შ.), რაც ორი სახის კონტექსტში რეალიზდება: ა) როდესაც ფრინველი, განსაკუთრებით მოზრდილი ჩიტი, ასაფრენად ემზადება და ბ) როდესაც მძაფრ გრძობას – სიამოვნებას ან მრისხანებას გამოხატავენ. მნიშვნელოვანია, რომ მითის კონტექსტი ორივე ინტერპრეტაციას უშვებს, ვინაიდან ბრძოლის შემდეგ დამარცხებით **გამწარებული** და **განრისხებული** ჩიტკაცა თავისი მამის – ენლილის მთებში მდებარე

რე საიდუმლო სამფლობელოსკენ მიფრინავს, რისთვისაც მძლავრად უნდა შემოჰკრას ფრთა ფრთას, რომ სწრაფად გაეცალოს ბრძოლის ველს.

კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინდებუ-
ლი **ana**-ს მეორე (-თვის), მერვე („ყიდვა, გაყიდვა, გაცე-
ლა“) და მეთე („წილ, ერთი ერთზე“) მნიშვნელობები
ზრდიან ფრაზის დასაშვები ინტერპრეტაციების რაოდენო-
ბას. ასე მაგალითად: მითის დასასრულში, რომლის მი-
ხედვით ანუ კი არ კვდება, არამედ მხოლოდ მარცხდება,
ფრაზა **kappa ana kappa** შეიძლება მიუთითებდეს ანუუსა და
ნინურტას მომავალ შერკინებასა და ანუუს მუქარაზე, რის
შედეგადაც თარგმანი „ფრთა ფრთას“ შეიძლება შეიცვა-
ლოს მნიშვნელობით: „ფრთა ფრთის წილ“, ანუ „სისხლი
სისხლისა წილ“, რომლის რეალიზაციას **ana**-ს მეთე მნიშ-
ვნელობა („ყოველი“, „წილი“ = „per, for each“) ადასტურებს.

საყურადღებოა **ana**-ს მერვე მნიშვნელობაზე („ყიდვა,
გაყიდვა, გაცელა“) დამყარებული ნაკითხვაც, რომელიც
ანუუს ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაში ჩა-
ხედვის საშუალებას იძლევა; კერძოდ, თვალწინ წარმოგ-
ვიდგება დამარცხების წინაშე მდგომი ღმერთი, რომელიც
მზად არის, ბედისწერის დაფები თავისი მოწინააღმდეგის
სამოსში გაცვალოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფრთებ-
დამტვრეული ანუ თანახმაა, მოწინააღმდეგეს ბედისწერის
დაფები თავისი სიშიშვლის დასაფარავად რაიმე სამოსში
გაუცვალოს, მაგრამ ფრაზის (**kappa ana kappa**) ამგვარი
ზედმინეწვითი გაგება მხოლოდ მოჩვენებითი და ზედაპი-
რულია, ვინაიდან ფაქტობრივად ანუ დაფების სანაცვ-
ლოდ ნინურტას სამეფო სამოსელს ითხოვს,¹ რითაც იგი
დაკარგული ღვთაებრიობის დაბრუნებას ცდილობს.²

თუ ფრაზის ყველა შესაძლო ვარიანტს გავითვალისწი-
ნებთ, აღმოჩნდება, რომ 4000 წლის წინ ჩანერილ მითში
ჩვენთვის უცნობი მითოგრაფოსი არა მხოლოდ ქართვე-
ლურ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით ქმნიდა გარკვეულ

¹ ნინურტა ეწლილის ვაჟია. მისი თავვანისცემა შუმერში ძლიერ ძველია. იგი ცნობილია როგორც ურჩხულთან მებრძოლი და სოფლის მეურნეობის მასწავ-
ლებელი ღვთაება (Black, Green, 2003:142-43).

² სამოსის დაკარგვა-დაბრუნებაში კოდირებულია შუმერული მითების ძალიან
დიდი საიდუმლოება, რომელიც ცალკე განხილვის საგანი იქნება.


პოეტურ სახეს (ქართველური არქეტიპი კაბ-ა, ფრაზეოლოგია, მიცემითი ბრუნვა, სინტაქსური ურთიერთობანი), არამედ შესანიშნავად ფლობდა თანამედროვე ენათმეცნიერების, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკის ურთულეს საშუალებებს – პოლისემანტური სიტყვის მნიშვნელობების ერთდროულ რეალიზაციას (Джохадзе, 1977; მესხი, 1990); ამისათვის კი ისეთი ლინგვისტური გარემოს შექმნა იყო საჭირო, რომელშიც ანალოგიური ინფორმაციული ხერხი ამუშავდებოდა:

- „ფრთავ (=ისარზე დამაგრებული ბუმბული) დაუბრუნდი (შენს პატრონს) ფრინველს“;
- განრისხებული ანზუ „ფრთა ფრთას შემოჰკრავს“;
- „ფრთა ფრთის წილ“, ანუ „სისხლი სისხლისა წილ“;
- „ბედისწერის დაფების შეთავაზება რაიმე სამოსში სიშიშვლის დასაფარავად“;
- „დაფების სანაცვლოდ სამეფო სამოსლის მოთხოვნა“.

კვლევა ცხადყოფს, რომ კაბ-ის ქართველური მნიშვნელობა („ფრინველის სამოსი“) აქადურ მითოლოგიაში („ანზუს მითი“) ძვ.წ. მეორე ათასწლეულშია დაფიქსირებული. ეს ხანა გაცილებით უფრო გვიანია, ვიდრე kabkab-ის ძვ.წ. 2600 წელი, რაც შუმერულ (kabkab) და აქადურ (kappa) ლექსემებს შორის ქრონოლოგიურ წინააღმდეგობას წარმოშობს. ამ ტემპორალურ შეუსაბამობას ქართველური მასალა აწესრიგებს როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად:

სქემა 3

ქართველური, შუმერული და აქადური ლექსემების ქრონოლოგია



ცხრილი ააშკარავებს მეტად საინტერესო ფაქტს – ქართველურის ქრონოლოგიურ უპირატესობას შუმერული

ენის მიმართ (რომ არაფერი ვთქვათ აქადურ ლექსებზე), რაც მას პროტოშუმერულის სტატუსს ანიჭებს.

მიღებულ შედეგებს ადასტურებს კიდევ ერთი მითი, რომელშიც იგივე ქართველური კაბ-ა ფიგურირებს. მხედველობაში მაქვს „Enki and Ninhursag“ ანუ „შუმერული სამოთხის მითი“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამოუცნობი ნაწარმოებია შუმერულ-აქადურ ლიტერატურაში. მასში სამი თემა ვითარდება: ენშაგისათვის დილმუნის ხელმწიფობის ბოძება ენქისგან, მისი ავადმყოფობა და ინსესტის მოდელზე აგებული ენქის სასიყვარულო ამბების განვითარება ქალღმერთებთან (ნინხურსაგი, ნინმუ, ნინკურა, უთთუ). როდესაც ენქი მოინდომებს უთთუსთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმას, ნინკურა (უთთუს დედა) აფრთხილებს შვილს, რომ საჩუქრის გარეშე ენქისთან საქმე არ დაიჭიროს. ასეც ხდება და ენქი უთთუს ძღვენს მიაართმევს:

„ენქი უთთუს, განცხრომის მსურველს [?],
 უძღვნის კიტრს მათ [?]...,
 უძღვნის ვაშლებს მათ [?]...,
 უძღვნის ყურძნის ჩხას [?]“³

საჩუქრების მიღების შემდეგ „უთთუ თავისი დედის – ნინკურასა და ბებუის ნინმუს მსგავსად, ალბათ მდინარის ნაპირზე წავიდოდა და ტრფიალებით აღმურმოდებულ ენქის ახალი სიცოცხლის ჩასახვის უფლებას მისცემდა, თავისი დიდი ბებუის დარიგება რომ ყურად არ ელო. სამწუხაროდ, შესაბამისი ნაწყვეტი თითქმის მთლიანად განადგურებულია, მაგრამ, თუ თხრობის შემდგომი მსვლელობით ვიმსჯელებთ (Kramer, Maier, 1989:141) და ქართველური ეთნოგრაფიული ყოფის დეტალებს გავიხსენებთ, დასკვნის გამოტანას მაინც შევძლებთ. კერძოდ, ნათელი

³ ინგლისურ თარგმანში მოცემულია „უძღვნის ყურძნს მათ ვაზებზე (ე.ი. ვაზის ხეზე)“, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. ყურძნის ნობათად მირთმევა მოხდებოდა არა ვაზის ხით, არამედ ვაზის დიდი და განსაკუთრებულად ლამაზად დახუნძლული ტოტებით, რომლებსაც საქართველოში ჩხა-ს ვეძახით (მცირე ტოტებს ვაზისა, რომლებსაც მხოლოდ ორი მტევანი აბია, აკიდო ეწოდება). ამიტომ თავს უფლება მივცე და ორიგინალში ნახმარი ფრაზა უფრო ზუსტი ქართული ცნებით შევცვალო.



ხდება, რომ ენქისა და უთთუს პაემანი კვლავ მდინარის ნაპირას ლერწმინაში ხდება:

უთთუ, განცხრომის მოყვარული [?], არტყამს **kab**-ს, უკრავს (ურტყამს) ტაშს (Kramer, Maier, 1989:27).

ინგლისურ თარგმანში ორიგინალის სიტყვა **kab** უცვლელად არის დატოვებული. ეს გამონწვეულია ტექსტის გაგების სირთულეებით; სქოლიოდან ვგებულობთ, რომ **kab**, კონტექსტიდან გამომდინარე, სხეულის ნაწილს უნდა აღნიშნავდეს და მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობა – „მარცხენა“⁴ ამ კონტექსტისათვის შეუფერებელია (იქვე, 210-211). სწორია შენიშვნა, ვინაიდან ქართული **კაბ** და ქართველებისთვის დამახასიათებელი ფესტიკულაცია ტექსტში აღწერილ მოქმედებას „სამოსის დაფერთხვასთან“ აიგივებს.

აღწერილი ფესტი საქართველოში ორივე სქესისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მაინც ქალებისთვისაა უფრო სპეციფიკური, როდესაც სამოსზე მიკრული ბალახის ან სხვა რაიმეს მოცილებას ცდილობენ. ამასთან დაკავშირებით, არ შემოიძლია არ მოვიგონო გიორგინმინდელი ნინო ბებო, რომელიც შვილიშვილებს ქალაქიდან ჩამოსვლისათვის ყოველთვის სხვადასხვა ნუგბარს გვიცხობდა ხოლმე. თონე დაქანებული ეზოს თავში იდგა და იქ მდგომი ადამიანი გზიდან ამომავალ სტუმარს ადვილად შენიშნავდა. განსაკუთრებით ერთი ზაფხული მახსენდება. მე და ჩემი და მშობლებმა გიორგინმინდაში წაგვიყვანეს. ნინო ბებო თონესთან იდგა, გვერდით სკამზე დადებულ მოგრძო ორომზე⁵ სხვადასხვა ზომის ცომის ბურთულები ელაგა, რომ შემდეგ სასურველი ფორმა მიეცა და თონეში ჩაეკრა; არაერთხელ გვიკინკლავია ბავშვებს სასურველი ფორმის (ადამიანების, ცხოველებისა თუ მცენარეებისა) ხელში ჩასაგდებად; აღმართში ეზოსკენ მიმავლებს ნინო ბებომ შორიდანვე მოგვკრა თვალი, თონე მიატოვა და **კაბ-ის ბერტყვითა და ტაშის შემოკვრით** (რითიც ფქვილს იშორებდა), ჩვენკენ აჩქარებული ნაბიჯით გა-

⁴ ძველქაღურ (სარგონ დიდი) (ძვ.წ. 2340-2114) და ძველბაბილონურ (ძვ.წ. 2000-1600) ეპოქებში დაფიქსირებული **kab**-ის ლექსიკური მნიშვნელობა „მარცხენა“ (ePSD).
⁵ ოროში ცომის გუნდების დასალაგებელი მოგრძო ფიცარია.

მოემართა. ჩემი ბავშვობის მიძინებული სურათი დამიდგა თვალწინ, როდესაც პირველად წავიკითხე „ენქისა და ნინხურსაგის მითში“ ათასწლეულების წინ აღწერილი ეს სცენა, რომელშიც ასირიოლოგებისათვის გაუგებარი სემანტიკის **kab** ფიგურირებს.

როგორც ვხედავთ, ქართველური ენობრივი მასალა (**კაბ-ა**) ხსნის არა მხოლოდ ძველქადური **kab-** ფორმის მნიშვნელობას, არამედ წარმოდგენილ სცენასაც ქართველური ყოფის განუყოფელ და სისხლხორცეულ ნაწილად წარმოაჩენს. თუ „ანზუს ეპოსში“ ქართველური **კაბ-ა** „ბუმბულის საფრის“ მნიშვნელობით ხორციელდება, „ენქისა და ნინხურსაგ“-ის მითში მისი მეორე მნიშვნელობის „**ადამიანის სამოსის**“, კერძოდ „**ქალის კაბის**“ მნიშვნელობით არის გამოყენებული. ნათქვამის გათვალისწინებით ს. კრამერისა და ჯ. მეიერის მიერ შესრულებული თარგმანი შემდეგნაირად გასწორდება:

უთთუ, განცხრომის მოყვარული [?],
იფერთხავს კაბას,
ტაშით იშორებს [მიკრულ ბალახებს].

შუმერულ და ქართველურ ლექსემათა ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება შუმერულ და აქადურ მონაცემებში ქართველური არქეტიპის „კუთვნილი“ მნიშვნელობების რეალიზაცია: **კაბა**, როგორც **ბუმბული**, **ბუმბულის სამოსელი** (აქადური **kappa** „ფრთა“), მისი გაორმაგებული ძირი, რომლითაც აღინიშნება შუმერული ფრინველი **kabkab**, აქადური **kap-kappu**, და **კაბა**, როგორც ადამიანის, **ქალის სამოსელი** (აქადური **kab**). შედეგად, ერთი ქართველური ძირი აერთიანებს და აწესრიგებს განსხვავებული მნიშვნელობების ერთეულებად აღქმულ შუმერულსა თუ აქადურ ლექსემებს და სააშკარაოზე გამოაქვს მათ შორის არსებული ფონეტიკურ-სემანტიკური კავშირები, რის საფუძველზეც ახდენს ამ სიტყვების გამოყენებით გამოწვეული გაუგებრობის ახსნას. ეს ის ამოცანაა, რომელსაც ვერც საკუთარი ენობრივი სისტემები ახორციელებენ და, სამწუხაროდ, ვერც მკვლევართა თავდაუზოგავი შრომა. ამიტომ ქრონოლოგიურ ჭრილში ჯერ დგას ქართველური არქეტიპი **კაბ-ა**, შემდეგ კი მისი რედუპლიცირებული **კაბკაბ**



და **კაბაბ**-ი, როდესაც მოიაზრება შუმერული **kabkab**-ის („ფრინველი“) არსებობა; შემდეგ მოდის აქადური **kapkappu** („ფრინველი“) და მოგვიანებით – აქადური **kappa** („ფრთა“). ჩამოყალიბებული ენობრივი ჯაჭვის ნევრებს შორის ქართველურის საფუძველზე ლოგიკურად აკინძული ფონეტიკური, სემანტიკური და სტრუქტურული კავშირები კიდევ ერთხელ ადასტურებენ შუმერული და აქადური სიტყვების წარმომავლობას ქართველური ლინგვოკულტურული სიღრმიდან.

მაგრამ, როგორია სვანური კაბაბ-ს ბედი, რომელიც „ქვედა ყბას“ ნიშნავს?

შუმერული ენის ელექტრონულ ლექსიკონში (ePSD) დაფიქსირებულია სიტყვა **kab** [BIT PART] (8x: Ur III, Old Babylonian) wr. **kab** „wing of a horse bit; noserope“ Akk. *kappu, šerretu*, რომელიც საინტერესო ინფორმაციას გვთავაზობს. კერძოდ, **kab** (აქადური **kappu**) „ცხენის ლაგამის“ ნაწილია. შუმერული და ქართველური ლექსემების ბგერითი და სემანტიკური კავშირები ააშკარავებენ მათ შორის არსებულ მეტონიმურ ურთიერთობებს: **საგანი (ყბა)** და **მისი ატრიბუტი (ლაგამი): კაბაბ¹ > ლაგამი > ლაგამის ნაწილი**. შესასწავლი ლექსემა **kab** შუმერული **kabkab**-ის გაქრობიდან დაახლოებით 500 წლის შემდეგ ურის მესამე დინასტიის (ძვ.წ. 2114–2004) ეპოქაში ჩნდება, რაც უფლებას გვაძლევს ქართველური, კერძოდ, სვანური **კაბაბ¹**-ს არქეტიპი ურის III დინასტიის წინარე ეპოქას მივაკუთვნოთ. მაგრამ არის ერთი ფაქტი, რომელიც გაანალიზებულ ლექსემებს შორის უფრო სიღრმისეული ურთიერთობების არსებობაზე მიუთითებს. ესაა სვანური **კაბაბ¹**-ს შესატყვისი **ყბა**,⁶ რომელიც კვლევის სფეროში შემოგვყავს. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში* (გვ. 526) ვკითხულობთ:

***ყაბ-**

ქართ. **ყბ-ა**; ნი-**ყბ**-ერ-ი „ყბა“;

სვან. ჰა-**ყბ**-ა „ყბა“; **ყაბ** „წვერი“.

დასტურდება ძველ ქართულში... ქართულ **ყბ-** (<*ყაბ-)


ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ყაბ/ყბ-**

⁶ ქართველოლოგიაში **ყბა** და **კაბაბ¹** სინონიმებად არ მიიჩნევა.

(**ყაბ**- „წვერს“ აღნიშნავს. ხევსურულ დიალექტში **ყაბ** „წვერის“ აღმნიშვნელადაც იხმარება – ა. შანიძე). ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა კარლ შმიდტმა (Schmidt 1961:140), ხოლო გ. კლიმოვა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა ***ყბა**- არქეტიპი (ЭСКЯ, 1964:209; Klimov, 1998:238; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:526).⁹

მასალა არაორაზროვნად მიუთითებს ქართველურ **ყაბ**-**ყბ**-ის ფონეტიკურსა და სემანტიკურ კავშირზე სვანურ **კაბჷ**¹-სთან. ეს კავშირი გაშუალებულია სვანური **ყაბ**-ლექსემით, რომელიც **წვერს** ნიშნავს:

სქემა 4




სქემას უნდა დავუმატოთ ზემოსვანური **ყაბ**¹ – „წვერი“ (თოფურია, ქალდანი, 2000:803), რომელშიც აუსლაუტის **ჷ** ბოლოკიდურ **ა** ხმოვანთან ლაბიალური **ბ** თანხმოვნის ასიმილაციის შედეგია. თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, სქემა შემდეგნაირად შეიცვლება (სქემა 5, გვ. 56):

მიღებული სქემა საინტერესოა არა მხოლოდ **კ**¹იანი და **ყ**¹იანი ვარიანტების მონაცვლეობით, არამედ ნომინაციის თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია სვანურში **კ**¹იანი ფორმების აშკარა სიმცირე (ერთი ფორმა), მაშინ, როდესაც,

⁹ ვფიქრობ მეგრული **ყაბუა** – „კვება; დიდი ლუკმების ჭამა; უშნოდ ჭამა“ (ქაჯაია, 2002:208) ქართული და სვანური **ყაბ/ყბ** ფორმების ვარიანტია და ერთმანეთთან მეტონიმურად არიან დაკავშირებულნი. ამის დასტური უნდა იყოს სვანური **ლი-ყუბ-ე**ც = „უშნოდ ჭამა“, „ხარბად ჭამა“, თუმცა მას სხვა მნიშვნელობაც გააჩნია: **ჩურთვა** („რაღაცის რაღაცაში ჩურთვა“). ნაშრომი უკვე დაწერილი იყო, როდესაც ქ. მარგიანმა-სუბარმა **ლიყუბე**-სთან ერთად მომანოდა შემდეგი ინფორმაცია: სვანური ბზ. **კაპ**-რწა; ბქ. **კაპ**-რწა „ყაბ“, „ქვედა ყაბ“. **-რწა**-**რწ** სუფიქსი ჩანს (შდრ.: **ტიშ**-რწა ტილიანი, **ქჷთი**-რწა = ქურდი; აგრეთვე ქართული ნი-**კაპ**-ი), რაც ადასტურებს ანალიზის სისწორეს.




სქემა 5



მნიშვნელობით იგი გაცილებით უფრო ახლოს დგას ქართულ **ყაბ-ყბ-**ასთან, ვიდრე **ყ¹**იანი ვარიანტები („წვერი“). ეს უკანასკნელნი (**კაბა¹**, **ყაბ¹**) მეტონიმურად უკავშირდება **ყბ-**ის მნიშვნელობას, როგორც ზედაპირი („ყბა“) და მისი საფარველი („წვერი“). ნათელია, რომ ეს ურთიერთობანი ზევით განხილული „კაბისა“ და „სამოსელის“ („ბუმბული“, „ტყავი“) ურთიერთობებს იმეორებს, რაც მიუთითებს **კ¹**იანი და **ყ¹**იანი ფორმების ერთობლიობაზე და ამ ერთობლიობის არაშემთხვევით ხასიათზე:

სქემა 6




სქემა ნათელყოფს, რომ ტრადიციულად აღიარებული ბგერათშესატყვისობები აფიქსირებენ ქართველური **ყბ-**ისა და **კაბ-**ის ფონეტიკურად და სემანტიკურად დაკავშირებული ლექსემების მხოლოდ ნაწილს, მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, რთული და მრავალმიმართული კავშირებით ბმული. აღწერილი ურთიერთობანი აყალიბებენ მექანიზმს, რომლის თითოეული წევრის ობიექტური ანალიზი აუცილებლად იწვევს მთლიანი მექანიზმის გამოვლენას იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული ბგერათშესატყვისობებით არ შემოვიფარგლეთ. წრიული სტრუქტურა და კომპონენტების ფონოსემანტიკური ბრუნვა ფარდას ხდის არა მხოლოდ მათ შორის არსებულ უჩინარ კავშირებს, არამედ იმ ზემოწვემული ლინგვისტური და კულტუროლოგიური ინფორმა-

ციის გენერირების პროცესს, რომელიც შუმერული და აქადური ლექსემების ჩართულობასაც მოიაზრებს. სხვაგვარად, სახეზეა ერთგვარი ენობრივი *perpetum mobile* (მუდმივი ძრავა), რომლის ამოქმედებისათვის საჭიროა როგორც ხილული, ანუ ზედაპირზე განთავსებული, ისე უხილავი, ანუ ენის სიღრმეში მოქმედი კომპონენტები.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ქართველოლოგიაში დადგენილი კ – კ და ყ – ყ რეგულარული ბგერათშესატყვისობები, რომლებიც ერთნაირად არიან წარმოდგენილი ყველა ქართველურ ენაში (ფენრისი, სარჯველაძე, 2000:15): ქართ. **კაბ**, მეგრ. **კაბ**, სვან. **კაბ** და ქართ. **ყბ**-ა, სვან. **ყაბ**-**ყბ**. მეორე კომპონენტი ყ – კ ბგერათმიმართებაა, რომლის დაბალი სიხშირე გამოწვეულია არა შემთხვევითობით, არამედ მისი „ხანდაზმულობით“: ქართ. **ყალიბი** – სვან. **ყაღიბ**, **კალიბ**, **კაღიბ** (თოფურია, ქალდანი, 2000:341-343), მეგრ. **კა** („ნაწილი, წილი, ცალი“), აფხ. **აკა** („ერთი“), და სვანური **ყა** (**ყაშ**, ბქ., ლშხ.) „კენტი“, „ცალი“ (იქვე, 803) და სხვა.¹⁰ ამავე ჯგუფს ეკუთვნის ქართ. **ყბა**, სვან. **ყაბ**¹ („წვერი“) და **კაბა**¹ („ქვედა ყბა“), რომლის უარყოფით უარყოფთ ობიექტურ კვლევას და ვკეტავთ გზას ქართველური ენების სიღრმეში მოქმედი შინაგანი ენერგიის წარმომქმნელი მექანიზმისაკენ. მესამე კომპონენტი – ქართველური და შუმერული ენების ნათესაობა – აგრეთვე უარყოფილი შეხედულებაა, რომლის აღიარება ერთმანეთისგან თიშავს არა მარტო სხვადასხვა ენობრივ სისტემებს (ქართველურს, შუმერულს, აქადურს), არამედ უძველესი მკვდარი ენების კვლევის პერსპექტიულ შესაძლებლობასაც (შდრ.: ქართველური **კაბ(ა)-ყ(ა)ბ**, შუმ. **kab**, აქად. **kappa, kappu**.

კაბ-ყბ-ის ზელექსემური მექანიზმის მეოთხე საყრდენი ნომინაციის განმეორებადი მოდელია:



¹⁰ **ყალიბი** არაბულიდან შემოსულ სიტყვად მიაჩნიათ, რასაც ჩემი კვლევა უარყოფს (მესხი, *ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია*, მზადდება დასაბუქდად).



ანალოგიური სემანტიკური დერივაციის ფორმულების აღმოჩენა შუმერულსა და აქადურში მნიშვნელოვნად აფართოებს კვლევის დიაპაზონს. ანალიზის ორბიტაში შემოდის ძველქადური **kab**, აქადური **kappa** და **kappu**, რომლებიც ერთი ენის სისტემის კუთვნილი ერთეულების მსგავსად ერთვებიან **ყბ-კაბ**-ის სისტემაში:

სქემა 8

საგანი + საფარველი

ყბა —————> წვერი // აქადური **kappu**

სხეული —————> კაბა = ბუმბული = ფრთა // აქადური **kab, kappa**

ირკვევა აქადური ლექსემების ქართველური წარმომავლობა, მათი კონკრეტული არქეტიპები, ახსნა ეძებნება ლიტერატურული საგანძურის გაურკვეველ, დაბინდულ მონაკვეთებს და ხერხდება თარგმანის დაზუსტება. ანალიზის ყველა ეტაპზე ქართველური მასალის დომინანტური, მაორგანიზებელი და ახსნა-განმარტებითი ფუნქცია მოქმედებს როგორც საკუთარი სისტემის შიგნით (რაც სავსებით ბუნებრივია და გასაგები), ისე იმავე სისტემის გარეთ, რის გამოც სტატიაში აღწერილი კვლევის შედეგები ორ ჯგუფად განიყოფება – ქართველოლოგია და ასირიოლოგია.

ქართველოლოგია: ქართველურ ენებში, რეგულარული **კ - კ** და **ყ - ყ** ბგერათშესატყვისობების გარდა, გამოიყოფა დაბალი სიხშირის მქონე **კ - ყ** ფონემათმიმართება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქართველური **კაკაბ**-ის, **კაბ**-ისა და **ყბ**-ის ლექსემებს. შემაკავშირებელი ელემენტია სვანურში დაფიქსირებული **კაბჷ¹** („ქვედა ყბა“) და **ყაბ¹ჷ** „წვერი“, რომლებიც ბგერითი, სემანტიკური და ნომინაციური მსგავსება-იდენტურობის საფუძველზე ქმნიან ერთგვარ ზელექსემურ მთლიანობას, რომელშიც ვლინდება არა გ. კლიმოვის მიერ შემოთავაზებული არქეტიპი (***ყბა**), არამედ **ყბ**-ის რეალურად ფუნქციონირებადი არქეტიპი ***ყაბ-ა**. მცდარია აგრეთვე ავტორის მიერ შემოთავაზებული ***კაკაბ**-ის არქეტიპი, რომელიც **კაბ**- ძირის რედუპლიკაციისა (**კაბ-კაბ**) და შუალედური **-ბ-** თანხმოვნის ამოვარდნის შედეგად წარმოქმნილი ლექსემაა.

ასირიოლოგია: ქართველურ-შუმერული ნათესაობის თვალსაზრისით ალსანიშნავია ქართველური არქეტიპების გამოაშკარავება მთელი რიგი შუმერული და აქადური ლექსემების მიმართ (**კაბ > კაბკაბ > კაკაბ > kabkab > kapkap-pu; კაბ > kappa; კაბ/ყაბ > kappu**), მათი ბგერითი თუ მორფემული შედგენილობის განსაზღვრა, თითოეული ერთეულის მნიშვნელობის დადგენა, ლექსემებს შორის არსებული ომონიმური ორთიერთობების გამარტივება, მათი დერივაციულ ჯგუფებად ორგანიზება და, რაც მთავარია, **კაბა-ყბის** ენობრივ მექანიზმთან მიერთება-კონვერგენცია. იწყება ცოცხალი და მკვდარი ენების „დიალოგი“; ირკვევა, რომ ქართველური ენების ახსნა-განმარტებითი და მორგანიზებელი ძალა ერთმხრივ არ არის მიმართული; შუმერული ენის მონაცემები ძალიან გვეხმარება ქართველური მასალის რელატიური ქრონოლოგიის განსაზღვრაში, გარკვეული ფორმების აღდგენაში და ა.შ. ცოცხალი (ქართველური) და მკვდარი (შუმერული, აქადური) ენების ორმხრივი მიმართული, ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდამადასტურებელი კავშირები უპრეცედენტო შემთხვევაა არა თუ ტემპორალურად და გეოგრაფიულად ძლიერ დაშორებულ სისტემებში, არამედ გენეტიკურად დაკავშირებულ ფრიად ახალგაზრდა ენებს შორისაც კი, რის გამოც მსგავსი შედარებით-დიაქრონიული კვლევა ლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ძიების თვისობრივად ახალ სიმაღლეზე ადის. ესაა საფეხური, როდესაც გათვალისწინებულია აპრობირებული მეთოდოლოგია და გაანალიზებულია დადგენილი პოსტულატების გარეთ მდგომი ფაქტებიც. ამგვარი მიდგომა რომ არა, ქართველური ენების მიერ ძველი ცივილიზაციების დაბადება-განვითარებაში შეტანილი წვლილის რამდენიმე ნიმუში კვლავ შეენიერებოდა აღიარებული დებულებებისადმი უსიტყვო მორჩილებას. იქნებ სწორედ ტრადიციულ ჩარჩოებში ჩაკეტვა არის მიზეზი იმისა, რომ ე.წ. „შუმერული პრობლემა“, ანუ „ვინ იყვნენ შუმერები?“ დღესაც მსოფლიო მეცნიერების გადაუჭრელი საკითხია.

უგულო – ugula

სიტყვა **ugula** (აქად. *aklu; šapiru*) მნიშვნელობით „ზედამხედველი“, „მრჩეველი“ და „წინაპარი“¹ გამოყენების ძლიერ მაღალი სიხშირით გამოირჩევა (9794 შემთხვევა) და ხანგრძლივ (ათასწლოვან) პერიოდსაც მოიცავს – ადრედინასტიური III ეპოქიდან (ძვ.წ. 2600) ძველბაბილონურ ხანამდე (ძვ.წ. 2000-1600).

Ugula-ს წარმომავლობა უცნობია (ePSD), მაგრამ, თუ მას ქართველური ენების პრიზმიდან განვიხილავთ, წინა შემთხვევების მსგავსად ქართველური კვლავ შესადარებელი ენის სტატუსში წარმოჩნდება; უფრო მეტიც, იგი სცილდება მის ფუნქციებს, რადგან შუმერულ ლექსემას „შიგნიდან“, ანუ შინაგანი რეკონსტრუქციის გზით ხსნის, გვანჯდის მის შესახებ ამომწურავ ლინგვისტურ ინფორმაციას და ასახელებს შუმერული ლექსემის არქეტიპს. ეს არქეტიპია ქართველური **უგულო**, რომელიც შუმერულ **ugula**-სთან ერთად წარმოქმნის ფონეტიკური იდენტურობით აღბეჭდილ ისეთ წყვილს, რომელიც მის წევრებს შორის არსებული ხანგრძლივი ტემპორალური და დიდი გეოგრაფიული მანძილის გამო ისტორიული ენათმეცნიერებისა და ასირიოლოგიისათვის მიუღებელია. ამის საპირისპიროდ, მსგავსი შემთხვევები (ფონეტიკური იდენტურობა) იმდენად მრავალრიცხოვანია ქართველურსა და შუმერულ ლექსიკაში, რომ მათი ურთიერთობის ბუნებრივ და ორგანულ თვისებად გვევლინება.

¹ მნიშვნელობა „წინაპარი“ სტატიაში განხილული არ არის.

შუმერული **ugula** ✠ ლოგოგრამით გადმოიცემა; ჩვენი ცოდნა მის შესახებ სამი ასპექტით შემოისაზღვრება: გრაფიკული ნიშნით, გამოთქმითა და ლექსიკური მნიშვნელობით. აღნიშნულის გარდა, არავითარი ენობრივი ინფორმაცია არ შემონახულა, რაც არა მხოლოდ **ugula**-ს, არამედ საერთოდ შუმერული ლექსიკის ძირითადი მახასიათებელია. აღნიშნული გარემოება ძლიერ ართულებს ენათმეცნიერული კვლევის წარმართვას, განსაკუთრებით შუმერული ენის განვითარების უძველეს საფეხურზე, რომელსაც დღესაც სქელი ბურუსი ფარავს. ნათქვამის ფონზე დიდ მნიშვნელობას იძენს უკვე განხილული შუმერულ-ქართველური ლექსემების შედეგად მიღებული დასკვნები (იხ. წინა სტატიები), რაც მას (ქართველურს), როგორც უკვე ითქვა, შესაძარებელი ენის სტატუსს ანიჭებს. ანალოგიური ურთიერთობების აღმოჩენა შუმერულ **ugula**-სა და მის ქართველურ მენწყილეში ნათლად გამოკვეთს ქართველურის მარეგულირებელ სტანდარტს.

დავინწყოთ იმით, რომ შუმერული **ugula** ქართული **უგულო**-ს ოდნავ მოდიფიცირებული ფორმაა, რომელშიც ქართველური აუსლაუტის **-ო -ა** ხმოვნით არის წარმოდგენილი. მსგავსი პრეცედენტი, ე.ი. აუსლაუტის ბგერის განსხვავებული ბგერით ჩანაცვლება სხვა მხრივ იდენტური ფონეტიკური შედგენილობის შუმერულ ლექსემაში, ჩვენ უკვე გვქონდა (**kakkala**-**კაკალ**-ი), რის გამოც **a** – **o** დაპირისპირება შუმერული და ქართველური **ugula**-**უგულო**-ს გაიგივებას წინ ვერ აღუდგება. უფრო მეტიც, **kakka-la**-**კაკალ**-ის შემთხვევაში სწორედ განსხვავებული ხმოვნის შესწავლამ გამოააშკარავა მისი არქეტიპული გრამატიკული ფუნქცია, რაც საფუძველს გვაძლევს ანალოგიურ შედეგებს ველოდოთ **ugula**-**უგულო**-ს შემთხვევაშიც. აქედან გამომდინარე, ანალიზის პირველ საფეხურზე უნდა მოხდეს ქართველური სიტყვის ენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა, რაც შუმერული ლექსემის ლინგვისტურ (ფონეტიკურ, მორფემულ, სტრუქტურულ და ა.შ.) კვლევაში დაგვეხმარება.

ქართველურ ენებში **უგულო** წარმოებული სიტყვაა. მასში გამოიყოფა ფიზიკური ან საგნობრივი უქონლობის მანარმოებელი რთული აფიქსი **უ- – -ო** (შანიძე, 1980:126; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:382), ისე როგორც



სიტყვებში **უ-ნიგნ-ო**, **უ-ხელ-ო**, **უ-სულ-ო** და ა.შ. და ძირი **გულ**, რომელიც ყველა ქართველურ ენაშია:

ქართ. **გულ-ი**, მეგრ., ლაზ. **გურ-ი**, ლაზ., სვან. **გუ** (ლშხ.), **გუ-ი** (ზს., ლნტ.).

ძველ ქართულში დასტურდება **გულ-** ძირი, აგრეთვე მისგან წარმოქმნილი მრავალი ფუძე: ... ქართულ **გულ-** ძირს კანონზომიერად შეესაბამება მეგრული **გურ-**. მეგრულშიც გვაქვს ამ ძირისაგან წარმოებული მრავალი ფუძე: ... **გულ-** ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია ლაზური **გურ-**. ლაზურშიც ეს ძირი საფუძვლად ედება მრავალ ფუძეთა ჯგუფს: ... სვანურში წარმოდგენილია

გუ-ი. საერთოქართველური ***გულ-** ძირის შესატყვისად სვანურში უნდა გვქონოდა ***გულ-**. ბოლოკიდური **ლ** დაიკარგა. უტი კომპლექსი მიღებულია **უ** ხმოვნისაგან უმლაუტის საფეხურის გავლით (კლიმოვი, 1964:66). თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, სვანური **გუ < *გუჰ < *გუშ < *გულ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:82).

ქართული **გულ-** და ლაზური **გურ-** პირველად ერთმანეთს დაუკავშირა გ. როზენმა (Rosen, 1845:31); მანვე მოიხმო მეგრული და სვანური ეკვივალენტები (Rosen, 1847:407; იხ. აგრეთვე Bopp, 1846:327; Brosset, 1849:75). ***გულ-** არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (Klimov, 1998:34; იხ. აგრეთვე ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:156).

ძველი ქართული ენის ლექსიკონში „გულის“ მნიშვნელობები შემდეგნაირად არის განმარტებული:

გულ-ი „გონება“, „თავი თჳსი“; „შუაგული“ (აბულაძე, 1973:98).

ქართველურ ენებში საანალიზო ლექსემა გამოირჩევა არა მხოლოდ გამოყენების მაღალი სიხშირით, არამედ სიტყვათწარმოებისა და თხზვის დიდი პოტენციალით. ეს ითქმის როგორც საზოგადო ლექსიკაზე (**გულიანი**, **გულადი**, **გულდაგულ** და სხვ.), ისე ონომასტიკაზეც (**გულ-ი**, **გულ-ა**, **გულ-აბერ**, **გულ-აბიჭ-ი**, **გულ-ადი**, **გულ-ადა**... – ლლონტი, 1986:107; **გულ-ასპაშვილი**, **გულ-დამაშვილი**, **გულ-ვერდაშვილი**, **გულ-ისადებიშვილი**, **გულ-ისდებაშვილი**, **გულ-იტაშვილი**... – ახუაშვილი, 1991:311-12, **გულ-ედანი**, **გულ-ია**, **უ-გულ-ავა** და სხვა). მოყვანილი ნიმუშე-



ბიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გულ-ი – გულა და გულად-ი – გულადა, სადაც ბოლოკიდური ხმოვანი (ი) მქონებლობის ა სუფიქსით არის ჩანაცვლებული (მდრ.: ცხვირი – ცხვირა, ლოყები – ლოყება, ლურჯი – ლურჯა და ა.შ.). შესაბამისად, ზედსართავი სახელიდან უ-გულ-ო გვექნებოდა უ-გულ-ა, ანუ „გულის არმქონე, შეუბრალებელი ადამიანის“ მნიშვნელობის მქონე გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელი, რომლის შესაბამისი გვარი უ-გულ-ა-ვა, ვა სუფიქსით არის გაფორმებული.

ქართველურ ენათა სისტემაში უგულა-ს ენობრივი ანალიზი არანაირი გაურკვევლობით ან მოულოდნელობებით არ ხასიათდება. კითხვები წამოიჭრება მაშინ, როდესაც მას ადრედინასტიური III ეპოქის დროს დაფიქსირებულ შუმერულ ugula-ს შევადარებთ. საქმე ისაა, რომ დღევანდელი გადასახედიდან აღნიშნული პერიოდი (ძვ.წ. 2600) მკვდარი ენების ეპოქაა, ცოცხალი ენებისთვის კი მათი „წინაპრების“ რეკონსტრუქციის ხანა. აღნიშნული გარემოება და ენობრივი ცვლილებების ტემპის გათვალისწინება, თანამედროვე ენათმეცნიერების აზრით, ავტომატურად გამორიცხავს მკვდარ და ცოცხალ ენებს შორის იდენტური (და არა მსგავსი!) ენობრივი ერთეულების არსებობას. ერთი მხრივ, დროულ-სივრცითი წინააღმდეგობა და, მეორე მხრივ, შესადარებელი ლექსემების მოულოდნელი სრული ფონეტიკური თანხვედრა იწვევს მეცნიერთა უნდობლობას, სკეპტიციზმს და, საბოლოო ანგარიშში, მსგავსი შრომების უგულებელყოფას.

მიუხედავად ამისა, ფაქტი ჯიუტია და ქართველური უგულა-სა და შუმერული ugula-ს იდენტურობა ლინგვისტური ანალიზის ზედაპირზე ძევს. ენათმეცნიერებს ძლიერ მარტივი შედარებითი პროცედურა რჩებათ ჩასატარებელი; კერძოდ, მოახდინონ შუმერული ugula-ს ენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა ქართველური ლექსემის მეშვეობით. აქ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ugu-la-ს სტრუქტურული ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა უარყოფითობის მანარმოებელი პრეფიქსი u-, მქონებლობის აღმნიშვნელი სუფიქსი -a და ძირი gul: u+gul+a. სტრუქტურული შედგენილობის გარდა, ასირიოლოგიაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების (ი. გელბის) საწინააღმდეგოდ, ქართველური მასალა ადასტუ-



რებს მჟღერ (გ) აბრუპტივს (შდრ.: შუმერული **kabkab** და ქართველური **კაკაბ-ი**). მეტიც, წარმოდგენილი შრომა აჩვენებს, რომ შუმერულში ორივე ტიპის აბრუპტივი (მჟღერი, ყრუ) გამოიყოფოდა.


ქართველურ-შუმერული **უგულო-ugula-**ს ფონეტიკურ იდენტურობას აძლიერებს მათი ლექსიკური მხარეც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შუმერული მნიშვნელობა დერივაციული სტრუქტურის საფუძველზე წარმოქმნილი სემანტიკის მეტაფორული გადატანაა: ქართველური „უგულო ადამიანი = შეუბრალებელი“ > შუმერული „ზედამხედველი“. გამოვლენილი სემანტიკური ურთიერთობანი არაორაზროვნად მიუთითებენ ზედამხედველისათვის დამახასიათებელ სიმკაცრეზე როგორც ახლა, ისე წარსულში.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუმერული **ugula**, რომელიც ერთი ლოგოგრამით გამოსახება, ჩრდილავს ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას – სიტყვათწარმოების მოდელებს (უქონლობისა და მქონებლობისა), სამ მორფემას – ორ აფიქსსა და ერთ ძირს. ნაწარმოები სიტყვის დაუნაწევრებელ ერთეულად ფიქსირება მისი შეთვისების ზეპირსიტყვიერ წყაროზე მიუთითებს. თუ წარმოდგენილი ანალიზი ჭეშმარიტების ასახვაა, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი შუმერული ძირი **გულ**, რომლის აღმოჩენამ უნდა დაადასტუროს ან უარყოს კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები. რაოდენ საოცრადაც უნდა ჟღერდეს, დასახული მიზნის მისაღწევად, დროებით, კვლავ **კაკლ-**ის კვლევას უნდა დაუბრუნდეთ.

ძველ ბაბილონურში (ძვ.წ. 2000-1600) დაფიქსირებულია ლექსემა **gakkul** მნიშვნელობით „გული (მცენარისა)“. აღინიშნება ლოგოგრამებით $\langle \text{𒀭} \text{gakkul} \rangle$, $\langle \text{𒀭} \text{gakkul}_3 \rangle$ და $\langle \text{𒀭} \text{gakkul}_3^{\text{sar}} \rangle$ (ePSD). ქართველურ-შუმერული **kakkala** – **კაკლ-**ისა და **ugula-**ს ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე შესაძლებელია შესასწავლი ლექსემის ლინგვისტური ანალიზი. თვალშისაცემია ლექსემა **gakkul-**ის ნაცნობი მორფემებისაგან შემდგარი სტრუქტურა, რომელიც ორი ძირი გამოიყოფა: **gak+kul**. პირველი სვანური **კაკ-**ის („მარცვალი“) ანლაუტში გამჟღერებული **გაკ** ძირით არის წარმოდგენილი, თუმცა არც **კაკ** ძირის გამოორიცხვა

შეიძლება, ვინაიდან ასირიოლოგთა აზრით, მჟღერი და ყრუ აბრუპტივები ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდა. მეორე მორფემა **kul** ქართული **გულ** ძირიდან მომდინარეობს, რომელშიც სანწყისი ყრუ თანხმოვანი (**k**) წინა მორფემის ბოლოკიდურ თანხმოვანთან (**k**) ასიმილაციის შედეგად მიღებული აბრუპტივია. ეს თხზვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა (შესაძლოა ყრუ და მჟღერი თანხმოვნების ჩანაცვლებაც), რაც ქართულ **გულ**-ის არქეტიპულ სტატუსს უფრო ადასტურებს, ვიდრე უარყოფს. დავასკვნით, **gakkul**-ი თხზვის შედეგად მიღებული ახალი ლექსემაა, სადაც ორი ძირის შესაყარზე ერთმანეთის მეზობლობაში ორი აბრუპტივი (ყრუ და მჟღერი) აღმოჩნდა (**gak+kul > kak+gul**).

საინტერესოა **gakkul**-ის შემადგენელ მორფემებში **a** და **u** ხმოვნების უცვლელი შენარჩუნება შუმერული ენის მნიშვნელობის თანდათანობითი კლების ფონზე. ცნობილია, რომ შუმერული მეორე ათასწლეულისათვის პრაქტიკულად აღარ წარმოადგენდა სალაპარაკო მედიუმს; იგი, ძირითადად, სამეცნიერო ენა და განათლებული ელიტის ატრიბუტია, რაც თავისთავად გულისხმობს არქეტიპული შუმერული და, მით უმეტეს, მისი წინარე ქართველური ფორმების გაფერმკრთალებას. ცნობილია ისიც, რომ თვით დამწერლობაში დაფიქსირებული შუმერული ზუსტად ვერ ასახავდა ენის ბგერით მხარეს (Thomsen, 1984:42), რომელსაც აქადურის ფრიად განსხვავებული ბგერითი სისტემა კიდევ უფრო მეტად უცვლიდა სახეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ კერძო შემთხვევაში უცვლელად შენარჩუნებული ხმოვნები შესასწავლი ლექსემის მალალ სტაბილურობაზე მეტყველებს, რაც ქართველური ენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და განმასხვავებელი თვისებაა. მაშასადამე, ირკვევა, რომ ძვ. ბაბილონური **gakkul**, რომლის მხოლოდ ოთხი გამოყენებაა დაფიქსირებული, მომდინარეობს ორი ქართველური ძირიდან **gak/kak+gul**, რომელთა მნიშვნელობების ჯამი (**მარცვალი, კაკალი + გული = კაკლის გული**) აკონკრეტებს ზოგადად „მცენარის გულის“ ძველბაბილონურ მნიშვნელობას.

ჩატარებულ ანალიზს დამატებით მტკიცებულებას სძენს კიდევ ერთი ძველბაბილონური **gakkul**  მნიშვნელობით **eyeball** „თვალის კაკალი“ (ePSD). იგი სულ ერთხელ არის გამოყენებული, მაგრამ ქართველურ ენათა მცოდნე ადამია-



ნი უშეცდომოდ გააიგივებს მას „თვალის კაკალთან“ (შდრ.: „თვალეზი გადმოკარკლა“), რომელიც იდიომატურ გამოთქმად ჩამოყალიბდა. ამრიგად, ძველბაბილონურში დაფიქსირებული **gakkul**-ის ორივე ლექსემის პირველ კომპონენტში (**gak**) გადანაწილებულია ადრედინასტიურ **kakka-la**-ში დაფიქსირებული ქართველური **კაკლ**-ის სხვადასხვა მნიშვნელობა: ერთმა შეითვისა „გულის, მარცვლის“, ხოლო მეორემ „თვალის კაკლის“ მეტაფორული მნიშვნელობა. დავასკვნით: ორივე **gakkul** ლექსემა ერთი და იმავე ქართველური არქეტიპიდან მომდინარეობს, რაც საშუალებას გვაძლევს ძველბაბილონურ ხანაში (ძვ.წ. 2000) **gakkul** სიტყვების შემადგენლობაში ქართველური **გულ**- ძირის არსებობა ვამტკიცოთ.

მესოპოტამიური ცივილიზაციების ისტორიაში ქართველური **გულ**-ის ფიქსაცია ამით არ ამოიწურება. მისი არსებობა დამოუკიდებელი სახით დასტურდება გაცილებით უფრო გვიან, ახალასურულ ხანაშიც (≈1000-614 ძვ.წ.), როდესაც დაფიქსირებულია სიტყვა **kullu** (მრ. **kullāni**) მნიშვნელობით „კაკალი/თხილი (გული)“ (Black, George, 2000:166). ასურული და ქართველური **kullu** < **გულ**-ი,² ნათელს ჰყფენს **გულ**-ის არქეტიპად გამოყენების ხანგრძლივ პერიოდს – ადრედინასტიური III ეპოქიდან (ძვ.წ. 2600) ძველბაბილონურში (ძვ.წ. 2000-1600) და შემდგომ ასურულში (ძვ.წ. 1000-614):

სქემა 1

ქართველური **გულ**-ის მესოპოტამიური ქრონოლოგია

ქართველური	შუმერული	ძველბაბილონური	ასურული
	← ძვ.წ. 2600	ძვ.წ. 2000-1600	ძვ.წ. 1000-614
გულ -ი		gak-kul > kak-gul	kullu > გულ -ი
უ-გულ -ა	u-gul -a		

სქემაში ნათლად გამოიყოფა შუმერულ, ძველბაბილონურ და ასურულ სიტყვებს შორის არსებული ალოგიკური


² საინტერესოა ახალასურული **kullu**-ს ბოლოკიდური **უ** ხმოვნით გაფორმება, რაც არაერთხელ გვხვდება ქართველურ-შუმერულ და ქართველურ-ეგვიპტურ მსგავს ან იდენტურ ლექსემებში. საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს.



ლინგვისტური ურთიერთობა: **ნაწარმოები სიტყვა > თხზული სიტყვა > ძირი**, რომლის სწორი ვარიანტია: **ძირი > ნაწარმოები სიტყვა > თხზული სიტყვა**. მსგავსი ალოგიკური კავშირების განვითარება გულისხმობს მესოპოტამიაში ათასწლეულების მანძილზე ისეთი პარალელური ენის არსებობას, რომლისგანაც აღნიშნული ერთეულები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში იქნა ნასესხები. ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთადერთი სამყარო, რომლის არქეტიპებიც შუმერულმა, ძველბაბილონურმა და ასურულმა ენებმა გაინაწილეს და რომელიც აღადგენს ლინგვისტურ და ქრონოლოგიურ წონასწორობას, ქართველური ენებია:

სქემა 2

ქართველური გულ-ის შესწორებული მესოპოტამიური ქრონოლოგია



წარმოდგენილი მასალა ზოგადი ლექსიკის საკუთრებაა, თუმცა გვაქვს საკუთარი სახელებიც, რომელთა დაკავშირება აღწერილ ლექსებთან მხოლოდ ქართველური მასალით არის შესაძლებელი. ასე მაგალითად, ძველბაბილონურ ხანაში მთავარი მკურნალი ღვთაება იყო ქალღმერთი **Gula**. იგი სხვა სახელებითაც არის ცნობილი (**Nintinuga, Ninkarrak, Meme** და **Ninisina** ანუ „ისინის დედოფალი“). მისი მთავარი ტაძარი სახელად **E-gal-mah** ქ. ისინში მდებარეობდა. მის მეუღლედ მიაჩნდათ **Ninurta** ან **Pabilsag**, ანდა მცენარეულობის მცირე ღვთაება **Abu** (Black, Green, 2003:101).

ქართველური ენების პრიზმიდან განხილვა ღვთაების სახელის სტრუქტურას ორი მორფემის ერთობლიობად წარმოგვიდგენს: **gul+a**, სადაც პირველი კომპონენტია ძირი

გულ, ხოლო მეორე – მქონებლობის აღმნიშვნელი სუფიქსი **-ა**, ისევე, როგორც ეს **უგულა**-ს შემთხვევაში გვქონდა, ოღონდ **უ-** პრეფიქსის გარეშე. სემანტიკური თვალსაზრისით, სახელი **Gula** „გულის მქონე“, **გულიან**, **კეთილ** ადამიანსა ან ღვთაებაზე მიუთითებს, რაც ხსნის კიდევაც ქალღმერთის აქადურ მნიშვნელობას „დიადი“ („დიდი გულის მქონე, ანუ სულგრძელი“), რომელიც ასე აუცილებელია არა მხოლოდ ღმერთების, არამედ ადამიანებისთვისაც.

ღვთაებების სახელწოდებათა გვერდით აღსანიშნავია პირთა სახელებიც. მაგალითად, მერვე საუკუნის დასასრულსა და მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში სენახერიბისა (ძვ.წ. 704-681) და ესარჰადონის მეფობისას (ძვ. წ. 680-669) **Urad-Gula** სამეფო კარზე მთავარი ექიმი და ნათელმხილველი იყო. მისი სახელი და პროფესია ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთშემავსებელია, რაც მთლიანად ეყრდნობა მედიცინისა და ექიმების მფარველი ღვთაების **გულა**-ს სახელის გამოყენებას.

გულა დაფიქსირებულია კიდევ უფრო შორეულ წარსულში, ადრედინასტიურ III პერიოდში, ძვ.წ. 2400 წელს, როდესაც მეფობდა ლაგაშის პირველი დინასტიის დამაარსებელი ურ-ნანშე (ურ-ნინა), რომლის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა **Gula**. იგი რომ ნაბოლარა ყოფილიყო, ბოლოკიდური **-ა** ქართული კნინობითობის აღმნიშვნელი მორფემის (**-ა**) იდენტური იქნებოდა (შდრ.: **kakkala**–კაკალა), მაგრამ სამწუხაროდ, ურ-ნინას ვაჟების, განსაკუთრებით **გულას**, შესახებ ძლიერ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, რის გამოც ორივე ვარაუდი დასაშვებია: მქონებლობისა და კნინობითობისა.

იმავე სახელს ვხვდებით მარის ხელმწიფეთა ან მათი ნათესავების ონომასტიკაში წინარესარგონულ პერიოდში. მაგალითად, უსახელო მეფის ძმის ან დისწულის სახელი იყო **Gullā** (Frayne, 2008:347). იგივე სახელი ერქვა მარის მეფის Enna-Dagān-ის ძმასაც (**Gul-la**; იქვე). განსაკუთრებით საინტერესოა ამარნას ერთ-ერთ (**№292**) წერილში (ANET, 1955:489-90)³ ნახსენები სახელი, რომელიც ენობრივი თავი-


³ **ამარნას წერილები** არის თიხის 382 ფირფიტაზე შესრულებული დიპლომატიური კორესპონდენცია ეხნატონის მთავრობასა და მის წარმომადგენლებს შორის ახლო აღმოსავლეთში.

სებურებების გარდა ქართველური მასალის გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისითაც არის საინტერესო. აქადური ლურსმულით შესრულებული ეს წერილი ეხნატონის ეპოქისაა (ძვ.წ. XIV ს.). ქალაქ გეზერის (Gezer) პრინცი Ba'lu-shipti მეფეს სთხოვს დახმარება გაუწიოს თავდაცვის მიზნით მის მიერ აგებული შენობის დაბრუნებაში, რომელიც პეიამ (Peia) დაისაკუთრა. ბალუშიპტი მეფის ყურადღებას კიდევ ერთ გარემოებაზე მიაპყრობს: „შეხედე, რა მოიმოქმედა პეიამ, Gulate-ს ვაჟმა, ჩემი მეფის მსახურმა, გეზერის წინააღმდეგ; (შეხედე) რამდენი დღის მანძილზე ძარცვავდა ქალაქს, რის გამოც იგი ცარიელ ქვაბს დაემსგავსა“. ჩვენთვის საინტერესოა პეიას მამის **გულატეს** ინგლისური ტრანსლიტერაცია, რომელიც ქართული **გულად-**ისგან (შდრ.: **გულადი > Gulate**) ერთი **t** ბგერით განსხვავდება. მეტიც, **გულადი** ქართული საზოგადო სახელიც არის და საკუთარიც (იხ. გვ. 62), რაც ქართველურის არქეტიპულ სტატუსზე მიანიშნებს. შევნიშნავთ იმასაც, რომ წერილის კონტექსტი სახელის ქართველურ შინაარსს (გულადი, მამაცი, შეუპოვარი) ააშკარავებს.

დავასკვნით: ქართველური სამი მორფემა-არქეტიპიდან ნაწარმოები სიტყვები მოიცავდა როგორც ზოგადი ლექსიკის, ისე ონომასტიკის ერთეულებს და გადაჭიმული იყო ახლო აღმოსავლეთის ვრცელ არეალზე: შუმერიდან ჩრდილოეთით მარიმდე, სამხრეთით კი – ეგვიპტემდე. ადრედინასტიურ III ხანაში (ძვ.წ. 2600) გავრცელებული იყო „ზედამხედველის“ მნიშვნელობის მქონე ლექსემა **ugula** და საკუთარი სახელი **Gula**. ამავე ეპოქაში მარის პოპულარული სამეფო სახელი უნდა იყოს **Gula/Gulla**, რომელსაც ორი დიდებული ატარებს. მოგვიანებით, აქადური ენის ბატონობის ხანაში, ვხვდებით მედიცინის ღმერთის სახელს **Gula**, აგრეთვე „მცენარის გულისა“ და „თვალის კაკლის“ მნიშვნელობების მატარებელ ორ ომონიმურ ლექსემას **gakkul** და „თხილის“, „კაკლის გულის“ მნიშვნელობის მქონე სიტყვას **kullu**. **Gul** ძირის გამოყენება არც მოგვიანებით (ასურულ პერიოდში) შეწყვეტილა. იგი ძველი წელთაღრიცხვის მე-7–მე-6 საუკუნეებშიც (ასურული ენის გავრცელების დროს) გვხვდება (**Urad-Gula** და **Gula**).

ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ გამოვლენილი მორფემული შედგენილობა და ქართველური არქეტიპების სემანტიკა განკარგავს და ანესრიგებს შუმერულ, ძველბაბილონურ და ახალასურულ პერიოდებში განსხვავებული სახით დაფიქსირებულ ლექსემებს, ასწორებს მათ ბგერით შედგენილობას და ნათელს ჰფენს ქართველური სიტყვების მოძრაობას მესოპოტამიის გეოგრაფიულ, ისტორიულ და ენობრივ სივრცეში ორი ათასი წლის განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება შეგვედავონ და ეჭვი შეიტანონ ჩატარებული კვლევის ჭეშმარიტებაში, რადგანაც წარმოდგენილი მასალა **ერთმანეთს უტოლებს ქართველურ გულ-სა** („ადამიანის გული“ = **ugula**) და ძველბაბილონურ თუ ასურულ „მცენარისა და კაკლის გულს“ (**gakkul**) და თეოფორულსა თუ საკუთარ სახელებს. ამიტომ ანალიზს რომ დასრულებული სახე მივცეთ, აუცილებელია შუმერულშიც მოვიძიოთ და შევისწავლოთ ადამიანის **გულ-ის** აღმნიშვნელი სიტყვა.

შუმერულში არსებობს ლოგოგრამა  **šag** [HEART] (10808x: ED IIIa, ED IIIb, Old Akkadian, Lagash II, Ur III, Early Old Babylonian, Old Babylonian, uncertain, unknown) wr. šag₄; ša; ša₃-ab "inner body; heart; in, inside" Akk. **Libbu**. **šag** პოლისემანტიური სიტყვაა და რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „შიდა სხეული“, „გული“ და „შიგნით/შიგან“. გავრცელებული იყო ადრედინასტიური III-დან (ძვ.წ. 2600) ძველბაბილონურ ხანამდე (ძვ.წ. 2000-1600). მისი წარმომავლობა უცნობია. **šag-სა** და ქართველურ **გულ-ს** ერთი შეხედვით ვერ დავაკავშირებთ, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ქართველური **გულ-ის** ერთ-ერთ მნიშვნელობას „შუაგული“ და მის სინონიმებს: „შიგ, შიგა, შიგნით, შიგნიერი, შიგნიშიგან“ (საბა, 1993:300-301), „შიგან, შიგნით, შიგნოან“ (აბულაძე, 1973:504; ქაჯაია, 2001:259), გასაგები ხდება ის ფონეტიკურ-სემანტიკური ძვრები, რომლებიც ქართველურმა არქეტიპმა გაიარა.

შუმერულმა ქართველურიდან ორივე სიტყვა იხესხა: **გულ-ი** და **შიგ** (იხილეთ აგრეთვე, წერეთელი, 1912:108):

- **გულ-ი**: „გული“, „შუაგული“, „შიგნით“;
- **შიგ/შიგან**.



სინონიმური კავშირის საფუძველზე (**გული/შიგნით = შიგ/შიგან**) **გულ**-ის მნიშვნელობა („ადამიანის გული“) განსხვავებული ფონეტიკური შედგენილობის **შიგ/შიგან**-ს მიენერა, რის გამოც შუმერული **šag**-ის სემანტიკა ორი ქართველური ლექსემის (**გულ**, **შიგ**) შერწყმულ ფონეტიკურ-სემანტიკურ ნაზავს წარმოადგენს. თუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სესხების პროცესი სინამდვილეს შეეფერება, ქართველური და შუმერული მასალის დეტალურმა ანალიზმა შუქი უნდა მოჰფინოს სესხების მთელ პროცესს.

მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებში დაფიქსირებული შესატყვისობების შედარება ქართულ მასალასთან ფარდასხდის **შიგან > შიგ**-ის განვითარებას.

მეგრულ-ჭანური: **შქა-შქას/სკა-სკას**, „შუა, შუაზე, შუა ადგილას“ (ქაჯაია, 2001:263), ლაზ. **შკა** (კალანდია, 2005:80);

სვანური: **ისგ** (ზს., ლშხ.) **ისკ** (ლნტ.) „შუა“ (თოფურია, ქალდანი, 2000:298).


ცხადია, რომ მეგრულ-ჭანურ და სვანურ ფორმებში ძირისეული **ი** ხმოვანი ამოვარდნილია. ამის დასტურია მეგრ. **შინო** – ქართ. **შნო**, მეგრ. **შიმორ**-ი – ქართ. **შმორი** და ა.შ. შესაბამისად, აღდგება მეგრულ-ჭანური ***შიქა** და სვანური ***სიგ/სიკ**, რომელთა **ისგ/ისკ** ფორმები მეტათეზის შედეგად უნდა წარმოქმნილიყვნენ. ამას ადასტურებს სვანური პრეფიქსები **სგა-**, **ისგა-** (ზს., ლშხ.), **სკა-**, **ისკა-**, **დსკა-** (ლნტ.) მნიშვნელობით **შე-**, **შთა-**, **შემო-** (თოფურია, ქალდანი, 2000:702). მეტიც, ძირისეული ხმოვნის ამოვარდნა **შიგან**-ის მეორე კომპონენტის ძირისეული **ა** ხმოვნის შენარჩუნებით უნდა იყოს განპირობებული; თვითონ განსაჯეთ: ქართ. **შიგან > შიგ**; მეგრ. **შიგანი** (ქაჯაია, 2002:259) **> შგა > შქა** და სვან. **ისგან/ისგწ** (თოფურია, ქალდანი, 2000:298; ნიჟარაძე, 2007:217) **> (ი)სგა**. შესაბამისად, სამართლიანად გვესახება აღდგენილი ფორმები: ქართ. **შიგ(ა) = მეგრ. *შიქ(ა) = ლაზ. *შიქა = სვან. *სიგ(ა)**.

კვეცისკენ გამოვლენილი ტენდენცია გვეკარნახობს თვით **შიგან** ლექსემის რთულ ბუნებას; იგი ძველ ქართულში დაფიქსირებული ორი დამოუკიდებელი ძირისგან შედგება: **ში + გან**, სადაც პირველი კომპონენტი (**ში**) განვითარებულია ბოლოკიდური მარცვლის ამოვარდნით სიტყვიდან



შინა (=„შინაგანი სივრცე“; აბულაძე, 1973:504). **შიგან**-ის განვითარების შემდეგი საფეხური კვლავ კვეცის ტენდეციას ამჟღავნებს, რომლის დროსაც ხდება ბოლოკიდური მარცვლის ამოვარდნა და წარმოიქმნება შემდეგი ენობრივი ჯაჭვი:

სქემა 3




სქემიდან ნათელია, რომ ზმნიზედა **შიგ** თხზული სიტყვის შემცირების შედეგად წარმოქმნილი ლექსემაა. რედუქცია განიცადა სიტყვის ორივე კომპონენტმა: ერთი მხრივ გვაქვს **შინა**-დან ნაწარმოები **ში**⁴ და მეორე მხრივ, **გან**-იდან დარჩენილი საწყისი თანხმოვანი **გ** (მეგრ. ქ/კ, და არა შქ), რის შედეგადაც სვანური **(ი)სგა** წარმოდგება რთულ და არა მარტივ ზმნიზედად (თოფურია, 2008:69).

ძველი ქართული **შიგ**-ისა და შუმერული **šag**-ის შედარება მიუთითებს უკუმიმართულების ასიმილაციაზე, რომელიც ორივე ენისთვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, **ში** კომპონენტის ბოლოკიდურმა ხმოვანმა განიცადა სრული ასიმილაცია მეორე წევრის (**გან**) ფუძისეული ხმოვნის (**ა**) გავლენის შედეგად: **ი > ა**. ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ როდის მოხდა აღნიშნული პროცესი, თუმცა შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ მას ადგილი უნდა ჰქონოდა მეტყველებაში, დამწერლობამ კი მხოლოდ მისი შედეგი დააფიქსირა. ნათქვამის გათვალისწინებით, შუმერული **šag**-ის განვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

⁴ -**ში** თანდებული მიაჩნიათ თანდებულ-მორფემოიდ **შუა**-დან წარმოქმნილ ელემენტად, მაგრამ აღნიშნული წარმომავლობა გამართლებულია მხოლოდ შუამდებარების მაჩვენებლად; მაგ.: „მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი სისხლივით წითელი“ – „ფოთლებ-ში“ იგივეა, რაც „ფოთლებს შუა“ (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988:443).



სქემა 4

ქართველური შიგ-ისა და შუმერული **šag**-ის განვითარება

წარმოდგენილი სქემიდან ირკვევა, რომ ადრედინასტიური III ეპოქის შუმერულში **šag** ძირის დაფიქსირებას წინ ოთხი საფეხური უსწრებდა:

1. შინა > ში
2. ში + გან > შიგან
3. შიგან > *šagan
4. *šagan > (*šaga?) > šag

შუმერულ **šag**-ს რომ მართლაც ასეთი განვითარება უნდა გაეწოდებოდა, მტკიცდება შუმერული და ქართველური გრამატიკის მონაცემთა გათვალისწინებითაც, თუმცა უშუალოდ ანალიზის დაწყებამდე საჭიროა მცირედი ცნობები იქნეს მოწოდებული კვლევისათვის საჭირო მასალაზე. ძიებისათვის შემდეგი სამი მომენტი საინტერესოა: შუმერული ტერმინატიული ბრუნვა და მისი მორფემების გენეზისი; შუმერულ **-ši**, **-šè** გრამატიკულ ფორმანტთა წარმომავლობა და მათი კავშირი აქადურ **-iš**-თან.

ტერმინატიული ბრუნვა შუმერულში. შუმერულ ენაში გამოყოფენ ათ ბრუნვას: აბსოლუტური (Absolutive), ერგატიული (Ergative), ნათესაობითი (Genitive), ადგილობითი (Locative), მიცემითი (Dative), მოქმედებითი (Comitative), ინსტრუმენტალური (Instrumental), მიწვევითი⁵ (Terminative), მიმართულებითი (Directive), ტოლობითი (Equative). ჩვენთვის საინტერესოა **მიწვევითი** ბრუნვა გამოსატყვის „მიზნის მიღწევას ვინმეს ან რამეს მიერ“ (Edzard, 2003:42), „მოძრაობას რაიმეს მიმართულებით“ (Thomsen, 1984:101). ფიქრობენ,

⁵ **მიწვევითი** ბრუნვა, რომელიც ქართულში გვიჩვენებს „გარკვეულ პუნქტამდე მიწვევას სივრცესა თუ დროში“, სრულად გამოსატყვის შუმერულის ტერმინატიული ბრუნვის შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მიწვევითი ბრუნვა **-(ა)მდე** თანდებულთა გამოხატება, ხოლო **-ში** და **-ზე** თანდებულის ბრუნვები **სადაობითშია** გაერთიანებული (შანიძე, 1973:73-74), შინაარსობრივი სიახლოვის გამო აღნიშნულ ტერმინზე შევჩერდით.

რომ იგი დაკავშირებული უნდა იყოს მიცემით ბრუნვასთან (Edzard, 2003:42). გამოიყენება როგორც სულიერი, ისე უსულო საგნებისათვის. განასხვავებენ მის რამდენიმე ფუნქციას:

- მიმართულება რაიმესკენ: **a-ab-še** „ზღვამდე“;
- ტემპორალობის აღნიშვნა: **ud min-še** „ორ დღეში“;
- შეთანხმება გარკვეული სემანტიკის ზმნებთან („გაკვეთება“, „დასახელება“ და სხვ.): **alam na-še mu-tu** „ქვაში გამოთალა (გაკვეთა)“;
- მყარ გამოთქმებში მონაწილეობა (**nam-bi-še** „ამიტომ“, „ამის გამო“, **igi...-ak-eše** „წინ“, „თვალწინ“);
- გარემოების აღმნიშვნელი ფორმების წარმოება, სადაც **-še**-სთან ერთად შეიძლება შეგვხვდეს უსულო საგნების კუთვნილებითი ნაცვალსახელი **-bi**: **gal-le-eš** „დიდებულად“, **gibil-bi** „ახლებურად“, **gibil-bi-še** „ახლად“, „ახლებურად“.

ასირიოლოგების აზრით მიწვევითი ბრუნვის ნიშნის სრული ფორმაა /eše/, მაგრამ ძირითადად იწერება როგორც **-še** (Edzard, 2003:42; Thomsen, 1984:101; Rubio, 2007:1329). გვაქვს შეკვეცილი ფორმაც (**-š**), ზოგჯერ კი ვხვდებით **Vš**-ს, ანუ, როდესაც თანხმოვანი წინმდგომი მორფემის ბოლოკიდურ ხმოვანთან ერთად არის დაფიქსირებული (**-aš**, **-uš**). აღნიშნული ტენდენცია ყოველთვის არ ფიქსირდება და ხმოვნის შემდეგ მოსალოდნელი **-š**-ს ნაცვლად **-še** ფორმასაც ვხვდებით (შდრ.: **nam-til-la-ni-šÉ**, სადაც მოსალოდნელი იყო **-iš** და არა **-še**). ამის გამო დ. ეძარდი მიუთითებს, რომ **-š** „ალომორფის დანერილობა ან მკაცრად არ არის დაცული, ან კიდევ ჯერ მის შესახებ ჩვენი ცოდნა არაადექვატურია“ (Edzard, 2003:42).

ასირიოლოგთა აზრით, შუმერული ბრუნვის ნიშნები არსებითი სახელებისგან წარმოიშვა, მაგრამ, თუ ზოგიერთი ბრუნვის ნიშნისთვის ეს შესაძლებლობა დასაშვებად ჩანს (მოქმედებითი **-da**, **-ta**), **-še**-ს მიმართ იგი გამორიცხულია, ვინაიდან მისი წარმომავლობა არსებითი სახელიდან **esé (eše)** „თოკი“ ზოგადლინგვისტურ საფუძველზე წარმოუდგენელია (Hayes, 2000:76).

საინტერესოა, ასირიოლოგების აზრი შუმერული **-šè-**სა და აქადური მინვენითი/გარემოებითი ბრუნვის **-iš** სუფიქსის კავშირის შესახებ. „ეს უკანასკნელი მნიშვნელობათა დიდი დიაპაზონით ხასიათდება (შეისწავლა ვერნერ მეიერმა, 1995). გარკვეულწილად შუმერული და აქადური ბრუნვები ერთმანეთს ემთხვევა როგორც ფორმით, ისე შინაარსით. **აქადური დასრულებითი ბრუნვის მორფემის შუმერულიდან სესხება საეჭვოა.** მას მოეპოვება თავისი შესატყვისები სხვა სემიტურ ენებში და ალბათ აფრიკულ-აზიურშიც (Zaborski, 1990:622). უფრო მეტიც, **არ ჩანს შუმერულიდან აქადურში გრამატიკული მორფემების სესხების აშკარა შემთხვევები. ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ შუმერულმა აქადურიდან ისესხა აღნიშნული მორფემა.** მართალია, ძლიერ იშვიათად, მაგრამ იგი მაინც იჩენს თავს უძველეს ტექსტებში“ (Hayes, 2000:76; ხაზგასმა ჩვენია, ა.მ.). გამოდის, რომ შუმერულსა და აქადურში გვაქვს ანალოგიური ბრუნვის გამომხატველი მსგავსი სუფიქსები (**-šè, -iš**), რომელთა შორის სესხება ფრიად საეჭვოა. ეს გზას უხსნის შუმერული (და აქადური) მორფემების განსხვავებული ენობრივი სივრციდან წარმომავლობის ვარაუდს.

წარმოდგენილ სურათს ართულებს ზმნის მორფოლოგიაც, რომლის აგებულებაში სამი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა: პრეფიქსული ჯაჭვი, რომელიც წინ უსწრებს ზმნის ძირს, თვით ზმნის ძირი და მის შემდეგ განლაგებული სუფიქსური ნაწილი. ამათგან ყველაზე რთული გრამატიკული ფენომენი პრეფიქსული ჯაჭვია, რომელშიც გამოყოფენ მოდალობის, პირის, ობიექტისა და გარემოების აღმნიშვნელ აფიქსებს. ამათგან ჩვენთვის საინტერესოა მინვენითი ბრუნვის მარკერთან დაკავშირებული **-ši-** ინფიქსი, მისი ბუნება და მიმართება **-še-**სთან. ჯ. გრეგი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ზმნის პრეფიქსული ჯაჭვი, წერს: „**-ši-** ინფიქსსა და მიმართულებით ბოლოსდებულს ერთი მორფოლოგიური საწყისი აქვთ, რაც წინარესარგონულ ტექსტებში ჩვეულებრივ **-še-** (ლოგოგრამის) დაწერილობაშიც მუდავნდება (მორფონოლოგიურად განპირობებული **-ši-** შემცვლელის საწინააღმდეგოდ). გუდას მეფობისთვის **-ši-**ს გამოყენება საყოველთაოა. ასევე ნათელია, რომ ინფიქს **-ši-**სა და ბოლოსდებულ **-še-**ს სემანტიკური

ფუნქცია დიდი მსგავსებით ხასიათდება“ (Gragg, 1973:16). აღნიშნული აფიქსების (-še, -ši-) ფონო-სემანტიკურმა სიახლოვემ წარმოქმნა აზრი, რომ „დიმენსიონალური ინფიქსები ზმნურ კომპლექსში წინადადების სხვა წევრებს შორის არსებულ სინტაქსურ ურთიერთობებს აირეკლავენ“ (Gragg, 1973:16) და, რომ ინფიქს-ბოლოსდებულის ამგვარი შეთანხმების არსებობა აუცილებელია. ეს შეხედულება თავის დროზე გამოთქვეს ა. პიობელმა (A. Poebel), ა. ფალკენსტაინმა (A. Falkenstein) და ე. სოლბერგერმა (E. Sollberger), მაგრამ აღმოჩნდა, რომ დიმენსიონალურ ინფიქსებსა და ბოლოსდებულებს შორის ურთიერთობა გაცილებით რთულია. გვაქვს შეთანხმებაც, ანუ როდესაც სახეზეა ორივე, ბოლოსდებულიცა და ინფიქსიც და ინფიქსების დამოუკიდებელი მოქმედებაც, როდესაც ისინი კვაზი-ავტონომიური ერთეულების მსგავსად მოქმედებენ (Gragg, 1973:10).

წარმოდგენილი მასალიდან ნათლად იკვეთება ის რთული ურთიერთობები, რომლებითაც საანალიზო მორფემა (-še) მის ფონომორფოლოგიურად და სემანტიკურად მსგავს ერთეულებს უკავშირდება, თუმცა ამით არც მის წარმომავლობას ეხდება ფარდა და არც რაიმე გარკვეულობა შედის აღწერილ კავშირებში. ისმის კითხვა:

შეუძლიათ თუ არა ქართველურ ენებს რაიმე გარკვეულობა შეიტანონ საანალიზო მორფემის შესწავლაში?

ეს კითხვა მით უფრო ლეგიტიმურია, რომ ინფიქს-ბოლოსდებულის შეთანხმების ფენომენი ქართველური ენებისთვისაც არის დამახასიათებელი. საინტერესოა, რომ ამაზე თვით ჯ. გრეგი მიუთითებს და მაგალითად მოჰყავს ჩრდილო კავკასიური ენები, თუმცა არაფერს ამბობს ქართველურზე, რომლებსაც ამ მიმართებაში ს. პარპოლა ახსენებს (Parpola, 2009:15-16). ზოგადგრამატიკული თვისებებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ, ქართველურის მსგავსად, აქტანტების გამოხატვა პირის ნაცვალსახელების მეშვეობით შუმერულში აუცილებელი არ არის, რადგანაც ისინი პირის ნიშნების მეშვეობით გადმოიცემა (Thomsen, 1984:69). წარმოდგენილი საერთო გრამატიკული თვისებების გვერდით აღსანიშნავია ქართველურ ენებში არსებული მსგავსი ფონეტიკური და სემანტიკურ-ფუნქციური ერთეულებიც.

ქართველურ ენებში გვაქვს შუმერული **-ešè > -šè / -š, -ši** ფორმების ანალოგიური ბგერითი შედგენილობის მორფემები. უპირველეს ყოვლისა ესაა **შინა-**დან წარმოქმნილი **-ში** თანდებული, რომლის შესაბამისი **-შე** მეგრულში ე.წ. **Отложительный падеж-**ს (დაშორებითი ბრუნვა) აღნიშნავს (ყიფშიძე, 1994:74); ქართული და მეგრული **-ში** და **-შე** ერთმანეთს მიემართება როგორც თანდებული და დაშორებითი ბრუნვის სუფიქსი; მაგალითად, **ტყა-შე = ტყი-დან** ან **ტყის-კენ**, ე.ი. **ტყე-ში**, **დიხა-შე = მიწი-დან**, **ჯიმა-შე = ძმის-გან**. იდენტურ გრამატიკულ მოვლენასთან გვაქვს საქმე შუმერულშიც. შდრ.: **šá-mu-uš = ჩემს ხელში**, **uru-šè = ქალაქისკენ**, ანუ **ქალაქში**; **an-šè = ზეცისკენ**, ანუ **ზეცაში**; **lú-sè** შეიძლება ნიშნავდეს **კაცისგან**, **კაცისკენ** და ა.შ. წინადადებას მითიდან „ლუგალბანდა და ენმერქარი“ **uru-šè ḡá-e ḡá-gen** ინგლისურად თარგმნიან, როგორც „let me go to the city“, ანუ „ნება მიბოძეთ წავიდე **ქალაქისკენ**“ (Thomsen, 1984:101), მაშინ, როდესაც ქართველური ენების მონაცემები გვკარნახობენ არა მხოლოდ ტერმინატიული (მიწვევითი) ბრუნვის ნიშნის **-šè-**ს ზუსტ მნიშვნელობას (**-ში**), არამედ მთლიან წინადადებას ქართველური გრამატიკის შესაბამისად თარგმნიან: „ქალაქში მიბოძეთ წასვლა“.

მოყვანილ წინადადებაში ზმნის პრეფიქსულ ნაწილში მიწვევითი ბრუნვის (**-šè**) შესაბამისი **-ši-** არ ფიგურირებს, რაც, ჯ. გრეგის გამოკვლევის მიხედვით, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ წინადადებაში **uru-me-šè ga-am-ši-su-gen-dè-en** (მოდი, ჩვენს ქალაქში **წავიდეთ/შევიდეთ/მივიდეთ...**),⁶ ინფიქსის მეშვეობით იკვეთება ზმნის სემანტიკის ემფატიკა („**შევიდეთ შიგნით**“), რაც არა მხოლოდ შუმერული (Gragg, 1973:20-27; Thomsen, 1984:229), არამედ ქართველურისთვისაც არის დამახასიათებელი (შდრ.: ქართ. „ოთახ-ში შევიდა“, სვან. **ლგცთ'ედსკინე** – „წყალში გადახტა“ და **ლგცთედსგ'ადსკინე** – „წყალში (შიგნით) ჩახტა“ (ჩანტლაძე, 1974:103; მარგიანი-სუბარი, 2009:149-150). ამრიგად, გასა-

⁶ ურუ ქალაქი, მე კუთვნ. ნაცვ. I პირი, მრ. რიცხ., **-šè** = მიწვევითი ბრუნვა, **ga** = მოდალური პრეფიქსი, **am** = დეიქსის ნიშანი, **-ši** = ტერმ. ბრუნვის ინფიქსი, **su** = ზმნა, **enden** = II პირის მრ. რიცხვი.

ანალიზებელ ფორმანტებს შორის იკვეთება ფრიად საყურადღებო ურთიერთმიმართება:

- ორივე ენაში გვაქვს შეთანხმება: შუმერულში ტერმინატიული ბრუნვის მარკერსა (-**šé**) და ზმნის მიმართულებით ინფიქსს (-**ši**) შორის და ქართულში -**ში** თანდებულსა და მიმართულების ზმნისწინს შორის, რომელთა რიცხვში **შე-ც** ივარაუდება. უინტერესო არ იქნება აღინიშნოს შუმერულ და ქართულ მორფემებს შორის არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები: ზმნის აფიქსები -**ši-** და **შე-** და სახელთან დაკავშირებული -**šé** და -**ში**.
- ორივე ენისთვის დამახასიათებელია საანალიზო მოვლენის მიცემით ბრუნვასთან დაკავშირება: კუთვნილებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვა ქართულში და სახელის მიცემითი ბრუნვისა და -**ši** ინფიქსის შეთანხმება შუმერულში.⁷
- ორივე ენის ზმნური აფიქსების დამახასიათებელი ფუნქცია ემფატიკურობაა.

შუმერული -**šé**-ს ოდნავ განსხვავებული, მაგრამ კვლავ ქართველური - **ში**-ს სემანტიკა ვლინდება ისეთ წინადადებებში, როგორცაა **alan na-sé mu-tu** „he has formed it into a statue of stone“ (Gudea, St. D. IV 17), სადაც -**šé** ბრუნვის ნიშნის ინგლისური თარგმანი უფრო ახლოს ქართულ ფრაზასთან მოდის „მან **ქვაში** გააკეთა/გამოთალა ქანდაკება“.

კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ -**ში** თანდებულის ტემპორალური მნიშვნელობა („სამ დღეში“, „ერთ კვირაში“ და ა.შ.) შუმერულ -**šé**-შიც არის შენარჩუნებული. მაგალითად: **ud min-šé** = „ორ დღეში“ (სიტყვასიტყვით: **დღე ორ-ში**; Thomsen, 1989:102).

მოყვანილი ანალიზი აჩვენებს, რომ შუმერული მიწვევითი (Terminative) ბრუნვის ნიშანი, როგორც თავისი ფორმებით -**ši-**, -**šé**, ისე მნიშვნელობით (მიმართულება, ტემპორალობა, შიგ მყოფობა) ქართული -**ში** თანდებულისა და

⁷ **ama dumu-ni (-(i)r) igi nu-mu-un-ši-bar-re** („დღეა თავის შვილს არ შეხედავს“), სადაც -**(ი)რ** მიცემითი ბრუნვის აღდგენილი ნიშანია.



მეგრული დაშორებითი ბრუნვის ნიშნის (-შე) ტოლფასია.⁸ მათ შორის კავშირი გამჭვირვალეა. ქართველური -ში, -შე-სა და შუმერული -ši, -šè-ს გაიგივების სასარგებლოდ ლაპარაკობს ს. ლენგდონის მიერ შუმერული ბოლოსართების (postfixes) გაიგივება ფლექსიური ენების თანდებულებთანაც (Langdon, 1911:67); მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინარესარგონულ ხანაში დაფიქსირებული ŠE იკითხებოდა როგორც -še, -ši-, ხოლო მეორე ათასწლეულიდან მოყოლებული გრამატიკული ფორმანტების გამოყენების ზრდის ფონზე ზმნის ინფიქსად დაფიქსირდა ნიშანი -ši, შე-საძლებელი გახდება შუმერულსა და ქართველურს შორის არსებული საინტერესო მიზეზ-შედეგობრივი და ქრონოლოგიური ურთიერთობების დანახვაც. კერძოდ, ძვ.წ. 2000 წლამდე შუმერულში არსებული გაურკვეველობა გამოწვეული უნდა იყოს ქართველურ ენებში -შე/-ში ფორმანტების გამოყენებით როგორც სახელებთან, ისე ზმნებთან. ახალშუმერულ ეპოქაში (ძვ.წ. 2114-2004) გრამატიკული სისტემის დახვეწასთან ერთად იზრდება -šè და -ši ერთეულების როგორც პოზიციური, ისე სემანტიკური და ფუნქციური დისტრიბუცია: სახელთან ფიქსირდება -šè, ხოლო ზმნასთან -ši-, მაშინ, როდესაც ქართველურ ენებში დაფიქსირებული არქექტიპული მდგომარეობა დღესაც უცვლელია.

გამოთქმული დებულების სისწორეს ეჭვს აყენებს ერთი გარემოება – შუმერულში არსებული მორფემა eše, რომელიც ტერმინატიული ბრუნვის ნიშნის სრულ ვარიანტად მიაჩნიათ. ამ შეკითხვას კვლავ ქართველური მასალა პასუხობს. ესაა ჩვენებითი ნაცვალსახელი ესე. ძველ ქართულში არსებითი სახელები ხშირად იბრუნვოდნენ ჩვენებით ნაცვალსახელებთან ერთად (შანიძე, 1976:43; სარჯველაძე, 1997:63); მაგ. სახლი ესე, სახლები ესე და ა.შ. (შდრ.: *ír lú šè lugal-zu-ù* სიტყვასიტყვით:

⁸ ა. შანიძე გამოყოფს ე.წ. ლოკალურ ბრუნვებს, რომლებიც თანდებულიანი ფორმებიდან წარმოსდგებიან. ავტორის აზრით, მას შემდეგ რაც ზღვარი თანდებულსა და ბრუნვის ნიშანს შორის წაიშალა „შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი ამბავი მოხდა სამ ბრუნვაში: მოქმედებითსა, ვითარებითსა და მიცემითში, რის შედეგადაც მივიღეთ სამი ახალი ბრუნვა: გამოსვლითი, მიწვევითი და სადაობითი, რომელთაც ლოკალურ (ადგილობით) ბრუნვათა ფუნქციები აქვთ“ (შანიძე, 1973:73-74).




მონა, **კაცი ესე**, მეფევე თქვენი; Thomsen, 1984:81). თავისი პოზიციის გამო, ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელიც ფონეტიკურადაც ახლო იდგა **-შე** (მეგრულში სახელთან) და **-შე/-ში** (ქართულში ზმნასთან და სახელთან) აფიქსებთან, აღქმულ და გათანაბრებულ იქნა ბრუნვის ნიშნის (**-შე**) სრულ (**eše**) ვარიანტთან (**eše > -შე**). აღწერილ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს **eše**-სა და **-შე**-ს განსხვავებული დამწერლობაც, რამაც ხელი ვერ შეუშალა ნაცვალსახელისა და სუფიქსის ერთნაირი პოზიციითა და გამოთქმით გამოწვეულ იდენტიფიკაციას. მეტიც, ჩვენებითი ნაცვალსახელის სემანტიკურ „ნეიტრალიტეტს“ გარკვეულ წილად ხელიც კი უნდა შეეწყოს გასაანალიზებელი ელემენტების გაერთმინიშვნელიანებისათვის.

აღნიშნული პროცესის შემდეგ ეტაპზე მოხდა **eše > -შე**-სა და **-ში**-ს დაკავშირებაც, რაც ბოლო ორი აფიქსის ერთი და იმავე ლოგოგრამული გამოსახვით (**ŠE**) იყო გამოწვეული. წარმოქმნილ რთულ ვითარებაში თავისი როლი უნდა ეთამაშა ქართული მიცემითი ბრუნვის ნიშანსაც (**-ს**), რომლის გამოძახილი უნდა იყოს **-შე**-ს ვარიანტული ფორმის (**-š**) არსებობა და ტერმინატიული ბრუნვის დაკავშირება მიცემითთან. ამრიგად, ირკვევა, რომ შუემერულ ენაში არსებული ტერმინატიული ბრუნვის ნიშანი **-შე**, მისი ვარიანტი **-ს**, მის სრულ ფორმად აღქმული **eše** და მასთან დაკავშირებული ზმნის ინფიქსი **-ში** განსხვავებული ქართველური არქეტიპებიდან მომდინარეობენ.⁹

სქემა 5

ქართველური გრამატიკული არქეტიპები




⁹ აქადური ჩვენებითი ნაცვალსახელები **še / ša**-ც (Black, George, 2000:343) ქართველური **ესე**-დან უნდა მომდინარეობდნენ; შდრ. **ესე, ესა**.



პროცესების ამგვარ განვითარებას ადასტურებს ისიც, რომ სილაბური დაწერილობის გამო, გრამატიკული ფორმანტების გამოთქმა უფრო ზუსტად არის ცნობილი ასირიოლოგებისათვის, ვიდრე ლექსიკური ლოგოგრამებისა (Hayes, 2000:23). თუ აღნიშნულ სქემაში შუმერული ლექსემების ქართველურ არქეტიპებსაც გავაერთიანებთ, მივიღებთ შემდეგ ტაბულას:

სქემა 6

ქართველური ლექსიკური და გრამატიკული არქეტიპები



სქემა აჩვენებს თუ როგორ არის ქართველური და შუმერული ლექსიკური თუ გრამატიკული მორფემები გადაჯაჭვული, ურთიერთდაკავშირებული და როგორ ახდენს ქართველური მასალა შუმერულის ორგანიზაციას, სტრუქტურირებას, დაჯგუფებასა თუ განცალკევებას მისი არქეტიპული სტატუსის გამო.¹¹ იგივე მიზეზი უკუმიმართულებით, ქართველურ ენებზეც გვანვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას. შუმერული ცივილიზაციის მეტ-ნაკლებად ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები მიანიშნებენ ქართველურ ენებში ამ დროისათვის არსებულ ენობრივ ვითარებას. კერძოდ, ძვ.წ. მესამე ათასწლეულის ბოლოსთვის (ურის III დინასტია) ქართველურ ენებში გაანალიზებული ერთეულების

¹⁰ მ. წერეთელი უდარებს შუმერულ **šu-**ს ქართველურ **ში-**ს, **შე-**ს და გამოთქვამს აზრს, რომ შუმერული **šag** ქართველურ **შუა-**სა და **შიგ-**თან არის დაკავშირებული (წერეთელი, 1912:74-75).

¹¹ ვფიქრობთ, საინტერესო მონაცემებს მოგვცემს აქადური (**-š**, **-iš**) მორფემების ქართველურ მასალასთან შეჯერებაც.



(-ში, -ზე, შე-, -ს, ესე) ისეთივე გრამატიკულსა თუ სემანტიკურ დისტრიბუციას ვხედავთ, როგორსაც დღეს. აქედან გამომდინარე, ქართველოლოგიაში არსებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ამ პერიოდში (ძვ.წ. 2600) გრამატიკული სისტემა მეტ-ნაკლებად უკვე ჩამოყალიბებულია და ენის მდგრადობის შინაგანი მექანიზმიც დადგენილი. ეს უკანასკნელი მხოლოდ გრამატიკულ სტრუქტურას არ მოიცავს; იგი წარმოადგენს ენის განსხვავებულ დონეებზე არსებულ ერთეულებს შორის ისეთი ზუსტი, სრულყოფილი და ურთიერთგანმაპირობებელი კავშირების არსებობას, რომელთა დარღვევა სისტემის დიაქრონიულმა მსვლელობამ ვერ შეარყია.

წარმოდგენილი ლინგვისტური კვლევა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ სირთულეებთან უწევს მკვლევარს პირისპირ დგომა, როდესაც საქმე ეხება მეცნიერების ისეთ რთულ (და „არაპრესტიჟულ“) უბანს, როგორიც შუმერულ-ქართველური ურთიერთობების დადგენაა. ერთმა ფონეტიკურმა მსგავსებამ (**ugula-უგულო**) გამოიწვია არა მხოლოდ მისი სტრუქტურულ-მორფემული შესწავლა, არამედ აუცილებლობის სახით მოითხოვა შუმერულში ქართველური **გულ-**ის შესატყვისი ერთეულ/ებ/-ის მოძებნა. გამოვლინდა შუმერულ, ძველბაბილონურ და ასურულ ენებში დაფიქსირებული საზოგადო და საკუთარი სახელების ჯგუფი (**ugula, gakkul, Gula, kullu**). ადამიანის **გულ-**ის შესატყვისი ერთეულის შემდგომმა ძიებამ შუმერულ **šag** ლექსემამდე მიგვიყვანა, რის გამოც კვლევის დიაპაზონში ქართველური **შიგან-**ისა და მისი სინონიმური ჯგუფის (**შინაგან, შიგ, ისგან, შქა, სკა** და ა.შ.) შემოყვანა გახდა აუცილებელი. ანალიზმა ნათელი მოჰფინა იმ გრამატიკული მორფემების ლოგიკურ ჯაჭვსაც, რომელშიც საფეხურეობრივად აისახა შუმერულ მასალაში არსებული გაურკვეველობის მიზეზები – მათი განსხვავებული ქართველური არქეტიპებიდან წარმოშობა.



დასკვნები, რომლებსაც ჩატარებული კვლევა გვთავაზობს, ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იზოლირებულ ენად აღიარებული შუმერულის მთელ რიგ ლინგვისტურ მახასიათებლებს, ვფიქრობთ, ნათელი მოეფინა. მათ შორის აღსანიშნავია ქართველური სიტყვათწარმოების აფიქ-



სების იდენტური მორფემების არსებობა: უარყოფითობის მანარმოებელი პრეფიქსი უ-, ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი -ა, გულ და შიგ ძირების არსებობა და სხვა. ირკვევა, რომ ძველ შუმერში დაახლოებით 5000 წლის წინ, ისევე აღნიშნავდნენ რაიმე თვისების არარსებობასა და ქონებას, როგორც ამას ქართველები დღესაც ვაკეთებთ: უ-ხელ-ო, უ-ჭკუ-ო ან ცხვირ-ა, დრუნჩ-ა და ა.შ. ქართველური მასალა აბათილებს თანამედროვე შუმეროლოგიაში ugula-ს მარტივ სიტყვად მიჩნევის მოსაზრებას. შუმერული და ქართველური ugula და უგულო ერთი და იმავე სტრუქტურისა და ერთი და იმავე ფონეტიკური თუ სემანტიკური შედგენილობის სახელებია. იკვეთება ქართველურის არქეტიპული სტატუსი არა მხოლოდ შუმერულის, არამედ ძველბაბილონურისა და ახალასურულის მიმართაც. ამ ორს მეცნიერები სემიტურ ენათა ოჯახში აერთიანებენ, რომელთანაც ქართველურს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო, მაშინ, როდესაც ჩატარებულ კვლევას აღიარებული შეხედულების საწინააღმდეგო მასალა გამოაქვს დღის სინათლეზე. ძლიერდება ნ. მარის მიერ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრება ქართველური და სემიტური ენების ნათესაობის შესახებ (Mapp, 1908:1). შესაბამისად, შუმერული ლექსემების იდენტურ ქართველურ არქეტიპებს, რომლებსაც მეცნიერები ისტორიულ-შეადარებითი ენათმეცნიერებისათვის სრულიად შეუთავსებად ფაქტებად მიიჩნევენ, დღის სინათლეზე გამოაქვთ პირველი სამწერლობო ენის მთელი რიგი თვისებები, გვთავაზობენ შუმერულის (და არა მხოლოდ შუმერულის) ახლებურ ხედვას, აფართოებენ ენათმეცნიერების სფეროს და ხვენენ მის მეთოდოლოგიურ აპარატს.



გუბე – gub

სტატიაში განიხილება ორი ომონიმური შუმერული სიტყვა. ერთ-ერთი მათგანია **gub** (Akk. *luzzu*) მნიშვნელობით „დგომა“, რომლის ლოგოგრამაა , ხოლო მეორე წარმოდგენილია სრულიად განსხვავებული ლოგოგრამით , მაგრამ იდენტური გამოთქმით **gub**. ამიტომ პირველს აღვნიშნავთ როგორც **gub₁**, მეორეს კი – **gub₂**.

gub₁, **ugula**-ს მსგავსად, ფრიად მაღალი სიხშირითა (5043 შემთხვევა, ePSD) და გამოყენების ხანგრძლივობით გამოირჩევა. იგი გვხვდება ადრედინასტიური III (ძვ.წ. 2500-2340) პერიოდიდან ძველბაბილონურის ჩათვლით (ძვ.წ. ≈ 2000-1600), მაშინ, როდესაც **gub₂** აბსოლუტური ანტიპოდია, ვინაიდან შემორჩენილია მისი გამოყენების მხოლოდ ოთხი შემთხვევა. აქედან ერთი ადრედინასტიური III პერიოდით არის დათარიღებული, ხოლო დანარჩენი სამი – ძველბაბილონურით. დაფიქსირებულია **gub₂**-ის რამდენიმე მნიშვნელობა: „ბანაობა, დაბანა“; „(იყო) განწმენდილი, სუფთა“. ფონეტიკური მსგავსების გამო, საანალიზო ლექსემებს ომონიმებად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, ქართველური მასალა საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ მათ შორის არსებული კავშირები და მოვახდინოთ შესასწავლი ომონიმური წყვილის შესახებ არსებული ცოდნის კორექტირება.

ქართველურ ენებში შუმერული წევრის ბგერითი ანალოგი არის სიტყვა **გუბ-ე**, რომელიც, სხვათა შორის, არც სემანტიკურად დგას მისგან შორს. მიუხედავად ამისა, საბოლოო დასკვნის გამოტანამდე, დეტალური ლინგვისტური და, შეძლებისდაგვარად, კულტუროლოგიური ანალიზის ჩატარება აუცილებელია. ამგვარი კვლევის პირველ საფე-



ხურს წარმოადგენს ქართველურ ენებში დაფიქსირებული **გუბ-ე** ლექსემის ყოველმხრივი შესწავლა, რის შემდეგაც უნდა მოხდეს მისი და შუემერული წყვილის შედარებითი ანალიზი. **გუბ** ძირთან დაკავშირებული ერთეულების შერჩევამ მოითხოვა კვლევის სფეროში სხვა, ფონეტიკურად თუ სემანტიკურად მსგავსი ლექსემების ჩართვაც. ესენია **გობ-**, **გუბუ**, **გებ**, **გიბე**, რომლებიც აქამდე **გუბ**-თან კავშირში არ განიხილებოდნენ:

ძველი ქართული:

1. **გუბ**-ი „თეფში, გობი“ (აბულაძე, 1973:98);
2. **გობ**-ი „მღვიმე, ორმო, თხრილი“ (იქვე, 92);
3. **გუბ-ე** „ფოსო, გინა წყლის ტბორე“ (საბა, 1991:174);
4. **გუბ**-ი „მთხრებელი“ (იქვე, 174).

ახალი ქართული:

5. **გუბ-ე** „მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი, – ტბორი, წუმპე“;
6. **გუბ-დ-ებ-ა** „გუბედ დგება, გუბედ იქცევა“ (წყალი; ქეგლი, 1951:1491).

მეგრული

7. **გუბ-ირ-ი** (გობირს) „დაგუბული“;
8. **გუბ-უ-ა** (გუბუას) „დაგუბება, დაგუბვა“; აგრეთვე **ი-გუბ-ე^რ** „შეიძლება დაგუბება“; **მა-გუბ-ალ-ი** „და^ამგუბებელი“; **ო-გუბ-ალ-ი** „და^ასაგუბებელი“; **ნა-გუბ-ა** „და^ანაგუბი“, **უ-გუბ-უ**, **უ-დუ-გუბ-უ** „და^აუგუბებელი“ (ქაჯაია, 2001:410).

ლაზური

9. **გუბ**-ი „გუბე“ (კალანდია, 2005:21).

სვანური

10. **გობ** იგივეა, რაც **გუბ** (თოფურია, ქალდანი, 2000:174);
11. **გუბ** ბზ., ლნტ., **გობ**, ლშხ. „გობი“ (იქვე, 180);
12. **გუბ** „გუბე“ (ნიჟარაძე, 2007:84);
13. **ლი-გუბ-აჟი** „გუბება“ (იქვე);
14. **(ჩუ) ლი-გუბჟ** „გაჩერება, დაყენება“ (საცხოვრებლად; დონდუა, 2001:63);
15. **ლი-გებ** „დასვრა“ (იქვე, 60);



16. **გიბ-ე** (ონგებ, უნგიბ; უნგებ ბზ., ანგუბ, ანგიბ; ანგებ ლნტ.), **გგბე** (ონგებ, ანგიბ; ანგბე) ლშხ., „სვრის, თითხნის“ (თოფურია, ქალდანი, 2000:172).

ქართული დიალექტური მასალა

17. **გუბ-ი** (მოხ.) „მდინარის ღრმა ან ჩაგუბებული ადგილი“ (ღლონტი, 1984:161);
18. **გუბ-ი გუბ-ე, გუბ-ილ-ა, გუბ-გუბ-ი** „გუბებები; შდრ.: აგრეთვე და-ა-გუბ-ებ-ს, ნა-გუბ-არ-ი, სა-გუბ-რ-ად“ (ჭინჭარაული, 2005:229);
19. **გობა** „გობი, ძაღლის და სხვა პირუტყვის სალაფავის ჩასასხმელი ჭურჭელი“ (იქვე, 223);
20. **გობ-ი** (ქიზიყ.) „ფიცრისაგანაა შეკრული, საკალატოზო საქმეში იხმარება კირის მოსატანად“ (მენტეშაშვილი, 1943:40).

ციტირებული ლექსემების მნიშვნელობებში აშკარად იკვეთება აქცენტირებული სემები, რომელთაგან აღსანიშნავია სამი: **ღრუ**, **წყალ-ი** და **ჭუჭყ-ი**. საერთო სემების არსებობა მათ საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს, რისი გამოვლენაც შერჩეული ლექსემების კომპონენტური ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. ვიყენებთ ე.წ. **დეფინიციური ანალიზის** მეთოდს (Karaylov, 1981:22), რომლის დროსაც სიტყვის განსაზღვრაში გამოყენებული ყოველი სრულმნიშვნელოვანი ერთეული სემანტიკურ მამრავლთან არის გატოლებული (გრამატიკული ფორმა მხედველობაში არ მიიღება). ამ მეთოდის საფუძველზე გამოყოფილ იქნა 27 სიტყვა (**გობი, თეფში, წყალი, წუმბე, ადგილი, ტბორი, ფოსო, დგომა, მცირე, ჩაღრმავებული, მღვიმე, ორმო, თხრილი, სალაფავი, ჭურჭელი, ძაღლი, პირუტყვი, ფიცარი, შეკრული, კალატოზი, საქმე, კირი, მოტანა, მდინარე, ღრმა, გაჩერება, დაყენება**), რომლებიც სისხირის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დავყავით:

პირველ ჯგუფში გაერთიანდა **ღრუ-ს** სემის მქონე 10 ერთეული, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება მასალით, დანიშნულებით თუ სხვა ნიშნით. ჯგუფი აერთიანებს რვა არსებით (**გობი, თეფში, ადგილი, ფოსო, მღვიმე, ორმო, თხრილი, ჭურჭელი**) და ორ ზედსართავ (**ჩაღრმავებული, შეკრული**) სახელს.



მეორე ჯგუფში შევიდა სითხის შემცველი სემის 6 ერთეული (*წყალი, მდინარე, წუმპე, ტბორი, სალაფავი, კირი*),¹ რომელთა შორის სხვაობა განისაზღვრება წყლის სხეულის ფორმით, დანიშნულებით და ა.შ.

მესამე ჯგუფი მოიცავს **უძრაობის** შემცველ სამ სემას (*დგომა, გაჩერება, დაყენება*), რომლებსაც პირველი (**ღრუ**) და მეორე (**სითხე**) ჯგუფის სემები თავისთავად მოიაზრებენ.

მეოთხე მნიშვნელოვანი სემა **უარყოფითობის**, როგორც წესი, **უსუფთაობის** ცნებასთან არის დაკავშირებული. იგი სხვადასხვა სიტყვის მნიშვნელობის შემადგენელი კომპონენტია. ეს სემებია: *წუმპე, ტბორი, სალაფავი*; შესაძლოა აქვე *ძალი* და *პირუტყვიც* გავაერთიანოთ.

მეხუთე ჯგუფში ზომის სემები (*სიმცირე, ღრმა*) თავსდება, ხოლო **ღრუ**-ს გასაკვეთებელი მასალა (*მინა, კლდე, ფიცარი*) შედარებით უფრო მარგინალურ (მეექვსე) ჯგუფში განთავსდა.

სემები *კალატოზი, მოტანა, საქმე*, რომლებიც მხოლოდ ერთ ლექსემაშია მოცემული (ქიზიყურ **გობ**-თან), სტრუქტურის უკიდურეს (მეშვიდე) ჯგუფს განეკუთვნება.


წარმოდგენილი სემური სქემა მოხაზავს არა მხოლოდ მათ სტრუქტურულ ორგანიზაციას, არამედ იმ შინაარსობრივ სივრცეს, რომელიც **გობ-გუბ** ძირის ყველა რეალიზებული და პოტენციური მნიშვნელობის წყაროა.

თუ აღწერილ სემურ კონფიგურაციას წრიული სტრუქტურით გამოვსახავთ, მივიღებთ კონცენტრული წრეებისაგან შემდგარ სისტემას, რომლის ცენტრში მოქცეულია **ღრმულის** გამომხატველი ლექსემები, ხოლო ცენტრიდანულ ვექტორზე განლაგებული ყოველი შემდგომი სარტყელი ცენტრთან კავშირის ინტენსივობის კლებას შეესაბამება:

¹ „კირი“ აღნიშნულ ჯგუფში შეტანილ იქნა იმის გამო, რომ, როგორც წესი, კალატოზები კირის, ქვიშისა და წყლის არეულ მასას იყენებენ.



სქემა 1 სემების სტრუქტურული ორგანიზაცია





ლექსემების დაჯგუფება ფონეტიკური და სემური („ღრუ, წყალი, დგომა, ჭუჭყი“) თანმიმდევრობის მიხედვით შემდეგ სტრუქტურად ყალიბდება:

სქემა 2
გუბ ლექსემის სემური კონფიგურაცია²

		ღრუ	წყალი	დგომა	მოსვრა
1	გუბი (ძვ. ქართ)	+			
2	გუბე (საბა)	+	+		+
3	გუბე (ქეგლი)	+	+	+	+
4	გუბი (ლაზ.)	+	+	+	
5	გობ/გოებ (სვან.)	+	+		
6	გობი (სვან.)	+	+		
7	გუბი (მოს.)	+	+	+	
8	გუბი (ხევს.)	+	+		
9	გუბილა (ხევს.)	+	+		
10	ნაგუბარი (ხევს.)	+	+	+	
11	გუბირი (მეგრ.)	+	+	+	
12	გუბუა (მეგრ.)	+	+	+	
13	მაგუბალი (მეგრ.)	+	+	+	
14	ოგუბალი (მეგრ.)	+	+	+	
15	ლიგობაჭი (სვან.)	+	+	+	
16	(ჩუ) ლი-გობაჭი (სვან.)			+	
17	ლიგებ (სვან.)				+
18	გიბე (ონგებ, ანგიბ. ანგბე ბზ., ანგუბ, ანგიბ; ანგბე ლნტ.), გბე (ონგებ, ანგიბ; ანგბე ლშხ.)				+

სქემების საფუძველზე ირკვევა, რომ ღრუ-ს სემა თხუთმეტი (1-15) ერთეულის სემანტიკაშია, ზოგში ექვლიციტურად (№ 1, 2, 3, 10, 11), ზოგშიც იმპლიციტურად (№ 4, 5, 6, 7, 8, 9, 12, 13, 14, 15). ღრუ-ს ექსპლიციტური და მისთვის დამახასიათებელი შემოსაზღვრულობის იმპ-


² სქემაში მხოლოდ პირველი ოთხი ჯგუფის მონაცემებია გათვალისწინებული.



ლიციტური სემები **წყლის** სემასთან შერწყმისას (№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15) წარმოქმნიან **გუბ-**ის ლექსემას, რომლის სემანტიკა კვლავ ღრუსთვის დამახასიათებელი **მინის**, **ჭუჭყის** სემით – უარყოფითი მნიშვნელობით მდიდრდება. ნათქვამის საფუძველზე ქართველური მასალა ასე ლაგდება:

სქემა 3

გობ – გუბ – გიბ ლექსემების სემური კავშირები³



მოყვანილი ჯაჭვი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად და ქრონოლოგიურად. ნათელი ხდება, რომ **ღრუ-**ს სემის შემცველი ერთეული (**გუბ-**) საწყის საფეხურზე **ო** ძირისეული ხმოვნით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რასაც ქართული და სვანური მასალა გვიჩვენებს (**გობ**), თუმცა იგივე სვანური მასალა უკვე ძირისეული ხმოვნის ცვლილებაზეც მიუთითებს (**გუბე**). უმლაუტის შედეგად ვლენბულობით **ტი**'ს, ხოლო დელაბიალიზაცია გვაძლევს **ი**-ნიან ან **ე**-ნიან ვარიანტებს (**გიბ/გებ** < **გუბე** < **გუბ** < **გობ**). ცვლილებების პროცესი ამით არ სრულდება; იწყება ხმოვნების შესუსტება და ანაპტიქსური გ-სკენ მოძრაობა, რომლის უკიდურესი საფეხური ხმოვნის ამოვარდნა ან სრული გაქრობაა (**ანგბე** < **ანგბე** < **ანგიბე** < ***ანგუბე** < **ანგუბე**). შესასწავლ ლექსემებში ძირისეული ხმოვნის მოძრაობის საერთო ტენდენციის მიმართულებაა: **უკანა რიგის ხმოვანი > ცენტრა-**

³ ცხრილიდან ამოწერილი საილუსტრაციო მასალა შემოკლებით არის წარმოდგენილი.



ლური ან წინა რიგის ხმოვანი > ანაპტიქსური ხმოვანი > სრული გაქრობა.

გამოვლენილი ფონეტიკური ცვლილებების, შესასწავლი ლექსემების სემანტიკური განვითარებისა და კულტუროლოგიური გამოცდილების შედარებითმა ანალიზმა გამოამჟღავნა მათ შორის არსებული ჰარმონიული კავშირები. გობ ლექსემის საწყისი მნიშვნელობა ბუნებაში არსებული **ღრუ**-ს („ფოსო“, „თხრილი“ და ა.შ.) გაგება უნდა ყოფილიყო, რაც ამ სემის („ღრუ“) გამოყენების სინშირიითაც დგინდება. ბუნებასა და ყოველდღიურ საქმიანობაში **ღრუსა** და **წყლის** ხშირი ასოციაციების საფუძველზე **გობ**-ის სემანტიკური სფერო გაფართოვდა, რაც ლინგვისტურად **წყლისა** და **დგომის** სემების მიერთებაში გამოიხატა (იხ. ზევით); ვფიქრობთ, პარალელურად ფონეტიკური ცვლილებებიც – ძირისეული ხმოვნის ცვლა – მოდიან მოქმედებაში. ექსტრალინგვისტური ფაქტორების (მინის თხრილი, მასში მდგარი ბინძური წყალი) ზემოქმედების შედეგად **გობ**-ის სემანტიკური განვრცობა კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს; სიტყვის სემანტიკაში ხდება **ჭუჭყის** სემის იმპლიციტური და ექსპლიციტური დაფიქსირება. ასე მაგალითად, ქართულ **გუბე**-ში აღნიშნული სემა მარგინალური, გამოუხატავი სემის „სტატუსით“ შევიდა, სვანურში კი ცალკე ლექსემას დაედო ნომინაციის საფუძვლად (**გიბე** „სვრის“). შესაბამისად, გაჩნდა საწყისი **გობ**-ის ფონეტიკურად მსგავსი ახალი სიტყვა **გიბე**. აღწერილი პროცესები ნათელს ფენენ ძირისეული ხმოვნის არამდგრადობას, რომელიც ყოველი ახალი სემის მიმატებისას აქტიურდება; შდრ. **გობ**-ი (**ღრუ**) > **გუბე** (**წყალი+დგომა**) > **გიბე** (**ჭუჭყი**). სხვაგვარად, ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნა და სემანტიკური გავრცობის პროცესი ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია, რის საფუძველზეც ახალწარმოქმნილი ლექსემების ენობრივი კავშირები საწყის მორფემასთან ჯერ სუსტდება, შემდეგ კი ქრება.

აღნიშნული ცვლილებების განზოგადების საფუძველზე შესასწავლი ქართველური მასალის განვითარება სამ საფეხურად ყალიბდება: I – **გუბ** = **ღრუ**, II – **გუბ** = **წყალი** და III – **გიბ** = **ჭუჭყი**. თუ მიღებულ სქემას შუმერულ **gub₁** და **gub₂** ომონიმებს შევადარებთ, მივიღებთ ადრე განხილული შუმერული და ქართველური ენობრივი მასალის (**კაკალი**,



კაკაბი, უგულო) შედარებითი კვლევისას გამოტანილი დასკვნების ანალოგიურ სურათს. შუმერული (**gub₁**) მნიშვნელობით **დგომა**, **გაჩერება** ქართველური **გუბ**-ის განვითარების მეორე საფეხურს შეესაბამება, ანუ დროს, როდესაც ქართველურმა ლექსემამ შეიძინა **წყლის** ექსპლიციტური და **დგომის** იმპლიციტურად გამოხატული სემები. განსხვავება ქართველურსა და შუმერულ წევრებს შორის მხოლოდ სემების აქცენტირებაზეა, ვინაიდან იმპლიციტური სემა (**დგომა**) ქართველურში შუმერული **gub₁**-ის ნომინაციის საფუძველი გახდა.

პროცესების აღწერილ განვითარებას ადასტურებს გასხვავებული ლოგოგრამით, მაგრამ იდენტური ფონეტიკური შედგენილობით გამოხატული **gub₂**, რომლის სემანტიკის (**ბანაობა**, **განწმენდა**) კავშირი ქართველური **გუბ**-ის **წყლის** სემასთან აშკარაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შუმერულში მოხდა ქართველური არქეტიპის სემანტიკის „დაშლა“ ორ „შინაარსობრივ მამრავლად“: **გაჩერება** და **წყალი**. ეს პროცესი ძვ.წ. 2500 წლისათვის დასრულებულია, ვინაიდან **gub₁** და **gub₂** განსხვავებული ლოგოგრამებით გადმოიცემა. უფრო მეტიც, **gub₂** განსხვავებულ ეპოქაში ჩნდება: ერთხელ იგი **gub₁**-ის პარალელურად არის გამოყენებული ადრედინასტიურ III ეპოქაში, ხოლო სამჯერ – ძველბაბილონურში. **gub₁**-ისა და **gub₂**-ის გამოყენების ასეთი დაბალი სიხშირე მათ პროტოშუმერულ (წაიკითხე ქართველურ) წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს, ხოლო იმავე **gub₂**-ის ხელახალი გამოჩენა ძველბაბილონურ ხანაში, 500 წლის შემდეგ, მხოლოდ იმისთვის, რომ სამჯერ გამოყენების მერე კვლავ გაუჩინარდეს, რბილად რომ ვთქვათ, **gub₂**-ის მეტად უცნაურ ენობრივ „საქციელზე“ და მიჩქმალულ მიზეზებზე მიუთითებს.

ასეა თუ ისე, შუმერული მასალის თარიღი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ქართველური **გუბ**-ის განვითარებაში გამოყოფილი საფეხურების მიახლოებითი ქრონოლოგია. ესაა II საფეხური, რომელიც ადრედინასტიური III ეპოქით (ძვ.წ. 2500) უნდა დავათარილოთ, დრო, რომელიც შუმერულმა თავისი ორი ლექსემის სანარმოებლად გამოიყენა. სტაბილობა, რომელსაც მეორე საფეხურის ქართველური ლექსემა ამჟღავნებს, ანუ 4500 წელი (ძვ.წ.



2500 წლიდან დღემდე) უპრეცედენტოა ისტორიული ენათმეცნიერების პრაქტიკაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინა სტატიებში აღწერილ ქართველურ-შუმერული ენობრივი მსგავსებების სხვა შემთხვევებს. უფრო მეტიც, ქართველური **გობ = ღრუ**, რომელიც პირველი საფეხურის ლექსებაა, კიდევ უფრო მაღალი ხარისხის ენობრივი მდგრადობის მატარებელია, ვინაიდან მისი არსებობა ძვ.წ. 2500 წლის წინ უნდა ვიგულისხმოთ.

ქართველური **გუბ**-ისა და შუმერული **gub** მორფემების შედარებითი კვლევა შეიძლება დამთავრებულად ჩაგვეთვალა, ერთი გარემოება რომ არაა. შუმერული **gub₁**-ის აქადურ ეკვივალენტად მიჩნეულია **lzuzzu** (ePSD; Black, George, 2000:138), ხოლო **gub₂**-ისა – **ramāku** (ePSD; იქვე, 297). ქართველური არქეტიპიდან წარმოქმნილი შუმერული ლექსემების განსხვავებული აქადური ერთეულების ფიქსირება იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც იგივე ლექსიკონი ვერ ამჩნევს **gub₁**-სა და **gub₂**-თან დაკავშირებულ ახალასურულ და ახალბაბილონურ ლექსემას „**gubbu** – „cistern“ NA, NB; „water cistern“; <Aram.? (იქვე, 95), ანუ „ცისტერნა“, „წყლის ცისტერნა“ აზუსტებს ლექსიკონი, რომელსაც სიტყვა სავარაუდოდ არამეული წარმოშობისად მიაჩნია. ჩატარებული ანალიზის ფონზე ასურულ-ბაბილონური **gubbu**-ს ქართველურ წარმომავლობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ვინაიდან იგი ზუსტად იმეორებს **ღრუსა** და **წყლის** სემების ერთობლიობაზე დამყარებული ქართველური **გუბ**-ისა თუ ორი შუმერული **gub**-ის საერთო სემანტიკას და სრულად ინარჩუნებს არქეტიპული ენების (შუმერული < ქართველური) ბგერით შედგენილობას.

შევაჯამოთ კვლევის პროცესში გამოტანილი დასკვნები: უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ის, რომ ცოცხალ ქართველურსა და მკვდარ იზოლირებულ ენად მიჩნეულ შუმერულს შორის არსებობენ იდენტური ფონეტიკური და სემანტიკური შედგენილობის ლექსემები, რომლებსაც სწორედ ამ თვისების გამო უარყოფს ისტორიული ენათმეცნიერება.

ქართველურ-შუმერული ნათესაობის მიმართ ტრადიციული უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, **გობ** – **გუბ** ლექსემების ანალიზი გვთავაზობს მეტად საინტერესო ინფორმაციას არა მხოლოდ ცალკეული შუმერული



მორფემების, არამედ ენის შინაგანი მამოძრავებელი მექანიზმის შესახებ. ფარდა ეხდება ათასწლეულობით დაშორებულ ორ ენას შორის არსებულ როგორც დაფარულ, ისე საოცარი ურთიერთკავშირითა და ურთიერთგანპირობებულობით აღბეჭდილ სიღრმისეულ კავშირებს. შედარებით-შეპირისპირებითი ძიების დროს ქართველური კვლავ ამტკიცებს თავის უპირატესობას შუმერულ ნევრთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ახდენს სემიტურ ასურულსა და ბაბილონურში დაფიქსირებული ანალოგიური ჟღერადობის ლექსემების გაერთიანებასა და სუბორდინაციას, რასაც აღნიშნული ენობრივი სისტემები ვერ ახერხებს.

კვლევის დასკვნები ერთსულოვნად ეხმიანება წინა სტატიებში მიღებულ შედეგებს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მსგავსი კვლევების ჩატარების აუცილებლობას, თუნდაც ძველი ისტორიის, ჩვენი ცივილიზაციის განვითარების სწორი და ობიექტური სურათის დასახატავად, ქართველებისათვის კი – საკუთარი, დაუწერელი, უძველესი თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებული ისტორიის ამოსაკითხავად.

კარი – kar

ქართველურ-შუმერული კარ-ი–kar წყვილის ზედაპირული, ანუ ბგერითი მსგავსების უკან ფრიად საინტერესო და საკმაოდ ჩახლართული ურთიერთობები იკვეთება, რომელთა გამოვლენა ორივე ლექსემის დეტალური განხილვის შედეგად არის შესაძლებელი. დავიწყოთ შუმერული წყვილით, რომელიც სამი kar ლექსემითა და მათი აღმნიშვნელი ოთხი ლოგოგრამით გადმოიცემა. ერთ-ერთ ლექსემას ორი ნიშანი აქვს. ესენია და . პირველი ნიშნის სახელი და გამოთქმა ერთმანეთს ემთხვევა; ესაა **kan₄** და **kar** (შემოკლებული ფორმა **ka₂**, Laba, 1976:97; ePSD); მეორე ლოგოგრამის სახელწოდება კი, რომლის წაკითხვა პირველი ნიშნის იდენტურია, არის **KA**. ლექსემის მნიშვნელობები ePSD-ში შემდეგნაირად არის დაფიქსირებული: **kan** [GATE] (436x: ED IIIb, Old Akkadian, Lagash II, Ur III, Early Old Babylonian) wr. kan₄; KA "gate, door" Akk. *Bābu. kan₄ / kar* ლექსემა ძვ.წ. 2500 წლიდან ძველბაბილონური ხანის ჩათვლით გამოიყენებოდა და კარ-ს, კარიბჭე-ს ნიშნავდა.

მეორე იდენტური (ომონიმური) kar მორფემის ლოგოგრამაა ; მისი მნიშვნელობებია „ნავსადგური“ (harbor) და „დოკი“ (quay „ზღვის გასწვრივ აგებული წყლის შემაკავებელი ჯებირი“); აქადურში მას შესატყვისება **Kāru**. აღნიშნული ლექსემაც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებოდა: ადრედინასტიური III-დან (ძვ.წ. 2600 წ.) ძველბაბილონური ხანის ჩათვლით (ძვ.წ. 2000-1600) მისი 251 გამოყენებაა დაფიქსირებული.

იყო მესამე ლექსემაც **kar**, რომელიც გამოისახებოდა ერთი ან გაორმაგებული ნიშნით და გამოიყენებო-



და ურის მესამე დინასტიიდან (ძვ.წ. 2114 წ.) ძველბაბილონური ხანის ჩათვლით. იგი პოლისემანტიური ლექსემაა და გააჩნია სამი განსხვავებული მნიშვნელობა: **ბერვა** (უბერავს); **განათება, ნათება; ამოსვლა, ზე წამოწევა** (ePSD).¹

წარმოდგენილ შუმერულ ომონიმებს (სემანტიკურად დაუკავშირებელ, მაგრამ იდენტური ფონეტიკური სახის ერთეულებს) ქართველურში იდენტური ბგერითი შედგენილობის მორფემა შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ შუმერული და ქართველური ლექსემების ბგერითი და სემანტიკური იგივეობა, განსაკუთრებით პირველ ორ შემთხვევაში (**kan₄/kar**), ნათელია, ტრადიციული ენათმეცნიერებისათვის სწორედ ეს თვისებაა მიუღებელი. ამიტომ, ბუნებრივია, გასაანალიზებელი ერთეულების დეტალური ანალიზი არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. ვინაიდან შუმერული ერთეულები, სამწუხაროდ, გარდა ციტირებულისა, სხვა ენობრივ ინფორმაციას არ გვთავაზობენ (სტრუქტურა, მორფემული შედგენილობა და სხვ.), ბუნებრივია, კვლევა დავიწყოთ ქართველურ ენებში დაფიქსირებული მასალით, ხოლო შემდეგ შედარებითი მეთოდის საფუძველზე ვცადოთ შუმერული ლექსემების ლინგვისტური ანალიზი.

ქართველური მორფემა „კარ“

კარ-ი ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით „ბჭე, სამეფო კარი“; „კარსე“ ძველ ქართულში უკვე დაფიქსირებული ერთეულია (აბულაძე, 1973:192). *სიტყვის კონაში კარი* ეწოდება „გასაღებსა და მისაგდებსა, ხოლო შესავალსა **ბჭე**“ (საბა, 1991:354). ახალ ქართულში **კარ**-ს გასაღებისა და მისაგდების მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს: „შემოზღუდული ადგილის ანდა შენობის, ოთახის (რაიმე სათავსოს) შესასვლელის დასახური (ხისა, რკინისა)“ (ქეგელი, 1955:1068).

მეგრულში გვაქვს ქართულის იდენტური ფონეტიკურ-სემანტიკური **კარ**-ი, რომელიც ქართულიდანვე ჩანს შეთვისებული,² ხოლო სვანურში **კარ**-ის მნიშვნელობით გვხვდება ლექსემა **ყორ** (თოფურია, ქალდანი, 2000:805)

¹ სტატიაში განხილულია მხოლოდ პირველი მნიშვნელობა („ბერვა“).

² რეგულარული ბგერათმესატყვისობების საფუძველზე უნდა იყოს **კორ**.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში საანალიზო ძირის შესახებ ოდნავ განსხვავებული ინფორმაციაა მოწოდებული:

კარ-/კრ-

ქართ. კარ-ი; მე-კარ-ე/მე-კრ-ე;

სვან. ლი-კრ-ე „გაღება“; ა-კრ-ე „აღებს“; ჩუად-კარ-ე „გა-აღო“; მგ-კრ-ე „გამღები“; ლა-კრ-ჰრ „გასაღები“; ქართულ კარ-/კრ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური კარ-/კრ-.

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიამ (თოფურია, 1979:268), ხოლო მეგრული და ლაზური შესატყვისობები ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.³

წარმოდგენილი მასალა ფრიად საინტერესო მონაცემებს გვთავაზობს ანალიზისათვის. თვალშისაცემია ზმნურ (კარ > კრ) და სახელად (ყორ) ფორმებს შორის არსებული განსხვავება სვანურში, რითიც ირკვევა, რომ ქართველური კარ ძირი ზმნისაგან წაწარმოებ ფორმებში ფიქსირდება (ლი-კრ-ე, ა-კრ-ე, ჩუად-კარ-ე, მგ-კრ-ე...). ქართულსა და სვანურ მასალას შორის არსებული ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურად ჩანს, ვინაიდან აღნიშნული სვანური ლექსემა (კარ/კრ), ვფიქრობთ, უკავშირდება ქართულ ზმნას კარ-/კრ-, რომელიც არსებითი სახელის (კარ) შესაბამისი ზმნური ფორმა უნდა იყოს:

***კარ-/კრ-**

ქართ. კრ-ვ-ა; ვ-კრ-ავ; და-ვ-კარ-ი...

ლაზ. ო-კორ-უ/ო-ნკორ-უ „დარტყმა“; გა-ო-კირ-უ „დაარტყა“; ვ-კირ-უფ „ვარტყამ“; ე-კორ-უ „დარტყმა (ზემოდან ქვემოთკენ)“.

ქართულ კარ-/კრ- ძირს შეესატყვისება ლაზური კორ-(ნკორ- ფორმაში ნ განვითარებულია; კირ- < *კურ- < კორ-).

ქართული და ლაზური ენების მონაცემები შეაპირისპირეს მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert, 1895:242) და გ. კლიმოვმა (Klimov, 1998:86; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:264).

³ კარ-ის ლაზური ფორმებია ნენა, ეენა (ინფორმაცია მოგვანოდა ნ. ბანაშმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხეუნებთ).



მოყვანილ მასალაში ქართული და ლაზური ლექსებში ზმნური ფორმებია, რომლებშიც ჩანს მეტონიმური (საგანი და მასზე ქმედება) გადატანა არსებითი სახელიდან (**კარ-ი**) ზმნაზე **კარ-** (მაგ. „ფეხი ვ-**კარ-ი კარ-ს**“). მიგვაჩნია, რომ სვანური **კარ-/კრ-**ც („გაღება“) ზმნურ ფორმებთან უნდა ფიგურირებდეს, ხოლო თვით ზმნა **კარ-/კრ-** უნდა გაერთიანდეს არსებით სახელთან (**კარ**), როგორც მისი ზმნური ფორმა. ამ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდება არა მხოლოდ ფონეტიკურად და სემანტიკურად დაკავშირებული ძირები, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოხდება ექსტრალინგვისტიკაში რეალურად არსებული **საგნისა და მასთან დაკავშირებული მოქმედების** ენობრივი ასახვაც. მეტიც, აღმოჩნდება, რომ ლაზურში ქართული **კარ-**ის შესატყვისი **კორ-** ზმნურ ფორმაშია დაფიქსირებული. მივიღებთ შემდეგ სალექსიკონო ბუდეს:

სქემა 1

	ქართული	ლაზური	მეგრული	სვანური
არსებითი	კარ-/კრ-	–	კარ-	ყორ
ზმნა	კარ-/კრ-	კორ-/კირ-	–	კარ-/კრ-

სქემა ნათლად წარმოაჩენს ქართველურ ენებში არათანაბრად გადანაწილებულ სახელურ და ზმნურ ფორმებს, რაც კვლევას გამოვლენილი „ხარვეზების“ შესავსებად წარმართავს. ძიებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სიცარიელის შევსება შესაძლებელია. ასე მაგალითად, მეგრულში გვხვდება სიტყვა **კილა, კვლა, კია** „გასაღები“ (ქაჯაია, 2002:140), **კილუა, კვლუა** სახელი **კილანს** ზმნისა – **კეტვა** (იქვე, 142), **კილერ-ი, კვლერ-ი** მიმლ. ვნებ. წარს. **კილანს** ზმნისა – „დაკეტილი“ (იქვე); **კილმონთხუ** „ურდული“ (იქვე), **კილო**, „კილო“; „ღილების შესაკრავი“ (იქვე). აქვე მივუთითებთ თხზული სიტყვების არსებობას, რომლებიც **კარ-** და **კილ-** ძირების პარალელურ არსებობაზე მიუთითებენ: **კარკილერ-ი** („კარგამოკეტილი“), **კარმინოლუ** („შესასვლელი კარი“), **კარნოხორილ-ი, კარნოხორი-ი** („ნასახლარი“; ქაჯაია, 2002:111). მოყვანილი მაგალითებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **კარკილერ-ი**, სადაც



ერთმანეთის გვერდით ორივე ძირი – კარ და კილ (>კირ) არის დაფიქსირებული.⁴ თუ გამოვლენილ მეგრულ მასალას სქემაში შევიტანთ, მივიღებთ შემდეგ სტრუქტურას:

სქემა 2

	ქართული	ლაზური	მეგრული	სვანური
არსებითი	კარ-/კრ-	–	კარ-/კილ-/კვლ	ყორ
ზმნა	კარ-/კრ-	კორ-/კირ-	კილ=(კირ)	კარ-/კრ-

ნათელია, რომ ქართველურ ენებში ვარირებას განიცდის არა მხოლოდ ხმოვნები (ო, ი, გ), არამედ თავიკიდური და ბოლოკიდური თანხმოვნებიც (ყ, ლ). თუ ო ხმოვანი ქართული ა-ს რეგულარული შესატყვისია მეგრულში, ხოლო რ > ლ ნარნარა ბგერების ერთმანეში გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა, ა – ი და კ – ყ ბგერების გამოჩენა დადგენილი ბგერათშესატყვისობების ჩარჩოში არ ჯდება (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:14); კ – ყ მონაცვლეობა კი, რომელიც დაფიქსირებულია როგორც ენებს შორის, ისე უშუალოდ სვანურის შიგნით, ლაზურის თვისებად არის მიჩნეული (იქვე).

როგორ მოვიქცეთ?

უარვეყოთ გამოვლენილი „შეუსაბამო“ მასალა?

იქნებ შემთხვევითობად გამოვაცხადოთ და არ შევისნავლოთ?

ვფიქრობ, სჯობს ფაქტების უზენაესობის აღიარება, რათა ვცადოთ „შეუსაბამობათა“ ახსნა.

უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ რამდენად სანდოა კ – ყ თანხმოვნების მიმართება სვანურში დაფიქსირებულ და სემანტიკურად აშკარად დაკავშირებულ ყორ (კარი) და კარ- (აკრე = გაღება) ძირებში (ლი-კრ-ე „გაღება“, ჩუად-კარ-ე „გა-ალო“, მგ-კრ-ე „გამღები“, ანუ „მეკარე“). უნდა აღინიშნოს, რომ კარ-ყორ-ის მსგავსი შესაბამისობა იშვია-

⁴ წარმოდგენილი მასალა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართული კლიტ-ის ბერძნულ-ლათინურ წარმომავლობას (ძიძიგური, 1982:164), მით უმეტეს, რომ ანალოგიური ლექსემა *killt* თურქულშიც გვხვდება (Akdikmen, 1986:235). ამიტომ, ხელახლა უნდა გადაისინჯოს კლიტ-ის ძირის ქართველურ-ბერძნულ-თურქული მიმართებები.



თი, მაგრამ მაინც სვანურის დამახასიათებელი თვისებაა. უფრო მეტიც, ანალოგიური ფონეტიკური მოდელი ქართველური ენების თვისებადაც მოჩანს. ასე მაგალითად, იგივე ქართ. **კარ** – სვან. **ყორ**; მეგრ. **კა** („ნანილი“, „ნილი“, „ცალი“) – სვან. **ყა** („კენტი“, „ცალი“);⁵ ქართ. **ყალიბი** – სვან. **კალიბ**; ქართ. **ყივილი** – სვან. **კილ** (ბზ., ნიჟარაძე, 2007:200). გამოვლენილი ბგერათმიმართება მნიშვნელოვანი ფაქტია, ვინაიდან მისი სიმცირე მის **სანდამშულობაზე** მეტყველებს და არა მის უმნიშვნელო ფუნქციაზე, რის გამოც, ალბათ, იგი ბგერათშესატყვისობის მოდელად არ კვალიფიცირდება. რომ **კ – ყ** ფორმულა ქართველურ ენათა მთელი ოჯახისთვის იყო დამახასიათებელი და ნარჩენების სახით ჯერაც გვხვდება, დასტურდება ქართულსა და მეგრულში არსებული იდენტური **ყორ-** ლექსემის მეშვეობითაც:


***ყორ-**

ქართ. **ყორ-ე**; ალ-**ყორ-ვ-ა**; მეგრ., ლაზ. **ყორ-უ-ა** „ქვის კედლის აშენება“; **ყორ-ან-ს** „ააშენებს“; დო-**ყორ-უ** „ააშენა“...; სვან. **ყორ** „კარი“; „ეზო“... ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა; ხოლო ქართულისა და სვანურისა – ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:542-43).

ციტირებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ სწორედ სვანური **ყორ** ძირის მეშვეობით ხდება ქართველური **კარ-** და **ყორ-** ძირების დაკავშირება არა მხოლოდ ფონეტიკურად, არამედ სემანტიკურადაც:

სქემა 3

კარ- და **ყორ-** ლექსემების ფონეტიკური კავშირები



⁵ ლაზურში **ყა** „ტოტ“-ს ნიშნავს (კალანდია, 2005:78).

ხდება ომონიმურ ერთეულებად აღქმულ ლექსემებს შორის გაფერმკრთალებული სემანტიკური კავშირების აღდგენა და ერთ რთულ (**კარ-ყორ**) სიტყვად გაერთიანება, რაც გამოვლენილი რთული ლექსემის სემანტიკურ გაფართოებაშიც აისახება (**კედელი, ზღუდე, შენება, შეკვრა**). აღწერილი ენობრივი პროცესების მოქმედებას მხარს უჭერს სხვა ქართველური მონაცემებიც:

ყურე, ყორე „კუთხე“, „თემი“, „ქუჩა“ (აბულაძე, 1973:470);

ყორე „უტალახოდ ლიტონის ქვით ნაშენები სკირა თიჭითა და ქვით ნაგები; კედელი კირითა და ქვით ნაგები. ზღუდე, ძელყორე“ (საბა, 1993:270);

ყორე 1. „ქვისა და მისთ. გროვა“. 2. „უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი“ (ქეგელი, 1962:568);

ყორე „იგივეა, რაც **ყორე** შეშის ან ქვის ზვინი“ (ქაჯაია, 2002:213);

ყორე (ფშაური) „მშრალად, უდულაბოდ ნაგები ქვის კედელი“ (ცოცანიძე, 1978:238).

რთული **კარ-ყორ** ლექსემის გაფართოება თავის ორბიტაში ჩართავს კიდევ ერთ ომონიმურ **კარ-/კრ-** მორფემას. ესაა შეკვრის მნიშვნელობის მატარებელი ლექსემა, რომელიც **ყორე-**ს სემანტიკის ერთ-ერთი ცენტრალური სემაა:

ქართ. ვ-**კრ-**ავ; შე-ვ-**კარ**; **კრ-**ვ-ა; **კრ-**ულ-ი...;

მეგრ. დო-**კირ-**უ „შეკრა“; **კირ-**უნ-ს „კრავს“; **კირ-**უ-ა/**კვრ-**უ-ა „კვრა“; **კირ-**ილ-ი „შეკრული“; ო-**კირ-**ალ-ი „შეკვრა (ფუთა“)“...;

ლაზ. ო-**კორ-**უ „შეკვრა“; ბ-**კორ-**უმ „კვრავ“; დო-**კირ-**უ „შეკრა“; დო-**კორ-**უმ-ან „შეკრავენ“; ნ-ო-**კორ-**ს/ნ-ო-**კირ-**ს „აბია“; ქო-გვ-ა-**კირ-**უ „შემოეხვია“; **კორ-**ელ-ი „შეკრული“...;

კარ-/კრ- ძირისაგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც...;

ქართულ **კარ-/კრ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **კორ-** (ხოფური დიალექტის **კირ-** < ***კურ-** < **კორ-**) და მეგრული **კირ-** (< ***კურ-** < ***კორ-**, იხ. ჩიქობავა, 1938:295).

ამ ძირის სარწმუნო ეკვივალენტი გამოვლენილი არაა (შდრ.: Klimov, 1998:86).

ქართულისა და მეგრულის მონაცემები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია, 1895, XII:106); ლაზურისა და ქართული-



სა – გ. დეეტერსმა (Deeters, 1930:125). გ. კლიმოვი ***კარ-კრ-** არქეტიპს ადრე აღადგენდა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (ЭСКЯ, 106), მაგრამ უკანასკნელ ხანებში მან იგივე არქეტიპი აღადგინა საერთოქართველური ერთიანობის ეპოქაშიც (Klimov, 1998:86).

შესასწავლი ჯგუფის ასეთი გავრცობა (ხუთი ლექსემა), ომონიმური მორფემების კავშირების გამოვლენა (**კარ-კრ-**), განსხვავებულ მორფემათა იდენტიფიკაციის აღმოჩენა (**კარ-ყორ**) და სემანტიკური დიაპაზონის გაშლა ავტომატურად მოითხოვს მათი სემური კონფიგურაციის დადგენას, რომელმაც უნდა გამოავლინოს მნიშვნელობებისა და პარალელური ფონეტიკური ვარიანტების ურთიერთმიმართება:

ცხრილი 1

კარ- და ყორ- ძირების სემური შედგენილობა

		არსებითი სახელი	ზმნა
ქართ.	კარ-	ბჭე (შესავალი)	
სვან.	კარ-კრ	სამეფო კარი (ადამიანთა ჯგუფი)	
		კარსე (ზღურბლი)	
		გასაღები	
		მისაგდები (კლიტე)	
ქართ.	კარ-კრ-		კვრა (ხელის)
ლაზ.	კორ-		კვრით გაღება
სვან.	აკრე		გაღება
ქართ.	ყორ	კარი	
მეგრ.	ყორ-ე	ეზო (იმპლიცურად, შეზღუდული)	
სვან.	ყორ	კედელი	აშენება
ფშ.	ყორე		
		ზღუდე	
		ქვა	
		გროვა	
		ფუთა	
ქართ.	კარ-კრ-		შეკვრა



ლაზ.	კორ- /კირ	გროვა	
მეგრ.	კირ-/კვრ	ქუჩა (იმპლიციტურად, შემოსაზღვრული)	
ქართ.	კირ-	კირქვისაგან მიღებული საშენი ნივთიერება	

მოყვანილი მასალა მრავალმხრივ არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, იკვეთება არსებით სახელებში ექსპლიციტურად (ბჭე, კარსე, კარი, კედელი, ზღუდე, გროვა) და იმპლიციტურად (ეზო, ქუჩა) დაფიქსირებული **ზღუდის** სემა, რაც არსებითი სახელის პირველადობასა და ზმნის მეორადობაზე მიუთითებს. არსებითი სახელების კუთვნილ სემებში ორი ქვეჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი:

- 1) ზღუდე (მაგ. კედელი), რომელიც გააზრებული სააღმშენებლო პრინციპების გათვალისწინებით იგება;
- 2) ქვის (შეშის) გროვისაგან შექმნილი ზღუდე (ყორე), რომელიც ქვაკირით შენების უფრო მარტივ და, მასადაამე, სააღმშენებლო საქმის განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე მიუთითებს.

ყ და **კ** თანხმოვნებიანი ვარიანტებიც აღნიშნულ განსხვავებაზე მიუთითებენ: აშენებული ზღუდეები და მათთან დაკავშირებული მოქმედებანი („გალება, დაკეტვა“) **კ**'ანიანი ფონემებით გადმოიცემა, ხოლო ქვის (ხის) გროვით გაკეთებული ზღუდე და მასთან დაკავშირებული მოქმედება („აშენება“) – **ყ**'ით. მეტიც, მეგრულ-ლაზური **კირ** და **კილ** მორფემები გვთავაზობს **კირ**-ის, როგორც მშენებლობაში გამოყენებული უძველესი შემაკავშირებელი ნივთიერების, ჩართვის აუცილებლობას, რაც ხელოვნური ზღუდის აღმართვის მთელ ჯაჭვს ასრულებს: **კირი** (ნივთიერება) > **კირ-კილ-კორ** (ჩაკეტვა, შეკვრა) > **კარ** (ზღუდე); მოგვიანებით ვითარდება ზმნური ფორმებიც („შევ-კარ-ი, ვ-კარ-ი“ და ა.შ.).

ანალოგიური ჯაჭვის არსებობა დასტურდება **ყ**'იან ლექსემებთანაც (**ყარ-ყორ**), რომელმაც ფონემათა ლოგიკური შესაბამისობის საფუძველზე (**კირ-ყირ**) **ყირ** მორფემის ანალიზი მოითხოვა. იგი ძლიერ ძველი ჩანს. სულხან-საბას მიხედვით, მისი მნიშვნელობაა „ცხოველთ თავზე შემართვა ალას“ (საბა, 1993:267), ანუ ჩვეული, ნორმალური საპირისპირო მდგომარეობაში ყოფნა. ფშაურში **ყირ-აობა** „კოტრიალს“, „გორაობას“ ნიშნავს (ცოცანიძე, 1978:238). ანალოგიური სემანტიკაა შემორჩენილი როგორც



დამოუკიდებელ **ყირ-** ძირში (შდრ.: „ყირაზე დადგა“, „ამოყირავენა“, „ყირაობა“ და ა.შ.), ისევე მის კომპოზიციებში. ასეთებია **ყარნი-ყორნა** და **კირნი-კორნა** (ყურადღება მიექცევიტ **ყ - კ** და **ყარ-ყორ - კირ-კორ** შესაბამისობას), რომლებიც „ყირამალა გადასვლა“-ს აღნიშნავს (ღლონტი, 1984:611). შემადგენელი ელემენტებისა და ლექსემების მეშვეობით **კირ-/კორ** („შემკვრელი ნივთიერება, შეკვრა, გროვა“) ადამიანთა ისეთ ერთობლიობაზე მიუთითებს, რომელიც მიწის მიმართ არა მატო ნორმალურის საპირისპირო მდგომარეობაშია, არამედ ერთმანეთზე „დაყრილი“ ადამიანებით აღშენებულ კედელს მოგვაგონებს.

ანალოგიური ურთიერთობაა დაფიქსირებული **კირნი-კორნა**-ს სინონიმურ **ყარნი-ყორნა**-ში, სადაც **ყარ-** „დაყარ-ა-ზე“ (და-ყარ-ა) მიუთითებს, ხოლო **ყორ** დაყრის შედეგად მიღებულ შედეგზე („ყორ-ე = ზღუდე“). როგორც ვხედავთ, აქაც მინიშნება კეთდება ადამიანსა და მიწას შორის დარღვეულ ნორმალურ მიმართებაზე.⁶ მიღებულ დასკვნებს ამაგრებს ხევსურული **ყირა** რედუბლიკაციურ **ყონდი-ყირა**-ში (ჭინჭარაული, 2005:942), სადაც **ყონდი**-ი არის „დაჭრილი და ერთმანეთზე კედელივით დაწყობილი შეშა, – აყარი“ (იქვე, 943),⁷ **ყონდიყირა** კი ნიშნავს „ზედახორას, ყირამალას“ (იქვე). შესაბამისად, **კირნი-კორნასა** და **ყორნი-ყორას** მსგავსად, **ყონდიყირას** კომპონენტები მიუთითებენ მიწის (**ყირა**) მიმართ ადამიანების, ცხოველებისა თუ საგნებისაგან უკუმიმართულებით აღმართულ ზღუდეზე (**ყონდი**). ამგვარი მიმართებების გამოვლენა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ გარკვეული მოდელი: **ყირ** (მიწა) > **ყარ** (და-ყარ-ა) > **ყორ** (ზღუდე). ფორმულის რეალურობას ადასტურებს კ'იანი ფორმებიც: **კირ** (კირი = კირქვა) > **კორ** (შეკავშირება) > **კარ** (ზღუდე; სქემა 2, გვ. 105).

როგორც ვხედავთ, ქართველური **ყრ** და **კრ** კომპლექსები და მათი შესაბამისი აბლაუტიანი(?) ძირები (**ყირ-ყარ-ყორ**, **კირ-კარ-კორ**) ქმნიან ფრიად რთულ მიკროსტრუქტურას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი კონტაქტების დანახვა და, შესაბამისად, საერთო ძირების განსაზღვრა მხოლოდ რეგულარული ბგერათშესატყვისობების გათვალისწინებით

⁶ -წა ნაწილაკ-მორფემოიდი უნდა იყოს (შდრ.: თუშურში გავრცელებული -წა = „აკი“, „ხომ“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:460).

⁷ **აყარ**-ი პრეფიქსი **ა-** მიუთითებს ზევით მიმართულ მოქმედებას (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:8).

შეუძლებელია. ამიტომაც კარ-ის („ბჭე“) მეგრულ-ლაზური შესატყვისობა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:263), კარ-ის („შეკვრა“) სარწმუნო ეკვივალენტი (იქვე) და ერთი და იმავე სისტემის განშტოებული სემანტიკის ომონიმებად გაბნეული ერთეულები მხედველობის არიდან უსხლტება მკვლევარს. ენაში, უფრო სწორად, ენის სიღრმისეულ ფენებში კი, ისინი არათუ არსებობენ, არამედ ქმნიან საინტერესო ფონეტიკურ-სემანტიკური სიმწყობრით ნაგებ სტრუქტურებს, რომლებიც ზღუდეების გაკეთება-აგების მთელ პროცესს მოიცავენ. ყ'იანი ფორმები განვითარების ადრეულ საფეხურს აღწერენ და ამიტომ უფრო ძველია, კ'იანები უფრო ახალგაზრდაა, ვინაიდან თავიანთი სემანტიკით სააღმშენებლო საქმის უფრო მაღალ საფეხურს შეესაბამება.

სქემა 2

ქართველური ყორ- და კარ-ის მოდელები



წარმოდგენილი კვლევის შემდეგ შესაძლებელია ჩავატაროთ შუმერული **kar** და ქართველური **კარ-** მორფემების შედარებითი ანალიზი.



შუმერული **kar** და ქართველური **კარი-ყორე**


ითქვა, რომ შუმერული იკითხება ორგვარად: **kan₄/ka₂**. ეს უკანასკნელი წარმოადგენს **kar** ძირის შემოკლებულ ვარიანტს შუმერულში **CVC** ტიპის ლექსემებში ბოლოკიდური თანხმოვნის ამოვარდნის გათვალისწინებით.⁸ ორი შუმერული ვარიანტიდან (**kan₄/kar**) ქართველური თვალთახედვა სწორ ვარიანტად მიიჩნევს **kar**-ს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სონორი ბგერების ურთიერთჩანაცვლება (**n > r**) საკმაოდ ხშირი ფონეტიკური მოვლენაა და ქართველური და


⁸ ლოგოგრამების შემოკლებას გერმანული ასირიოლოგიური სკოლა მიჰყვება, ჩვენ კი, ასირიოლოგთა უმრავლესობის მსგავსად, სრულ ფორმებს ვაძგობინებთ.



შუმერული ლექსემების გაიგივებას ვერ აფერხებს. სემანტიკურად შუმერული **kar** ქართველური **კარ**-ის იდენტურობა, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ლექსემებს ათასწლეულები კი არ თიშავს, არამედ პირიქით აახლოებს. შუმერული წვერი ადრედინასტიურ III (ძვ.წ. 2500) ხანაშია დაფიქსირებული, რაც ქართველურ **კარ**-საც ანალოგიური ხნოვანებით განსაზღვრავს. თუ გავიხსენებთ **ყორ** და **კარ** მორფემათა ქრონოლოგიურ მიმართებას, ნათელი ხდება, რომ **ყორ** ქართველურ-შუმერულ **კარ**—**kar**-ზე უფრო ადრეული სიტყვაა.

ყურადღებას იქცევს თვით ლოგოგრამის აგებულებაც. შუმერულში არსებობდა მარტივი, ანუ ძირეული და რთული ლოგოგრამები, რომლებიც რამდენიმე ლოგოგრამის შეერთების საფუძველზე წარმოიქმნებოდა (Langdon, 1911:21-25). **kar** რთული ლოგოგრამაა და შედგება სახლისა  და ოთხი ე.წ. „შეშიგის“  ნიშნისაგან, რომლებიც კარის ხინჯების შთაბეჭდილებას ქმნიან.

მეორე **KA**  ლოგოგრამის გამოყენება იმავე ბგერითი (**კარ**) თუ სემანტიკური („კარი“, „კარიბჭე“) კონფიგურაციით, ადვილად იხსნება ერთ-ერთი მნიშვნელობით. ესაა **პირი**, რომელიც მეტაფორული გადატანის საფუძველზე (**ლიობი > კარი > პირი**) ხსნის ორი განსხვავებული ლოგოგრამის ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოყენებას.

მეორე **kar** ლოგოგრამის  მნიშვნელობაა **ნავსადგური** („harbor“) და **დოკი** („quay“). ეს უკანასკნელი წარმოადგენს **ქვისგან აშენებულ მყარ კედელს** წყლისგან ნაპირის დასაცავად. თავისთავად, **ნავსადგურისა** და **კარის** მნიშვნელობები ერთმანეთისგან შორს არ დგანან და მეტაფორული გადააზრების შედეგად **ზღვის კარის** გაიგივება **ნავსადგურთან** ბუნებრივი და ლოგიკური პროცესია.⁹ მიუხედავად ამისა, **ქვისაგან ნაგები კედლის** მნიშვნელობა, ბუნებრივია, შუმერული **kar**-ის ქართველური **ყორე**-დან წარმომავლობას უფრო გვაგვარაუდებინებს. მით უმეტეს, რომ **ყიანი** და **კიანი** ფორმები ერთი მიკროსისტემის წევ-

⁹ ბასკების თვითსახელწოდებაზე (**ეესკალდუნაკი**, **ეესკარიელები**) მსჯელობისას მ. მიქელაძე ახსენებს ქართულ „კარ“-ს. ავტორის აზრით, გამოიყოფა ძირი **კარ**, რომელიც მცირეაზიელ **კარიელებთან** კავშირში უნდა განვიხილოთ და ქართველური წარმომავლობისად მივიჩნიოთ (მიქელაძე, 2001:53-54).



რება. ამ შემთხვევაში ორი განსხვავებული ბგერის ცვლილებაა ასახნელი: ძირისეული **o > a** და გლოტალური **y > k**.

ასირიოლოგები შუმერული **o** ხმოვნის არსებობა-არარსებობის საკითხს თითქმის საუკუნეა, რაც უშუალოდ განიხილავენ. ანალოგიური მდგომარეობაა შუმერული ენის ფონეტიკური თუ ფონოლოგიური სისტემის დადგენაშიც, რომლის მოკლე ისტორიის წარმოჩენა სტატიის ნამოჭრილი საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია. დავინწყით იმით, რომ შუმერული ენის ბგერითი ინვენტარის დაუდგენლობა მრავალი და მრავალფეროვანი მიზეზით არის გამოწვეული. ერთ-ერთი მათგანია ფონეტიკის უკუმიმართული, ანუ აქადური ენის ბგერით რეპერტუარზე დაყრდნობილი კვლევა, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ XIX საუკუნეში განისაზღვრა არაბული ენის მიხედვით. ვინაიდან არაბულში მხოლოდ **a, i, u** გვაქვს, თავდაპირველად შუმერულშიც სამი ხმოვანი ივარაუდებოდა, თუმცა ასირიოლოგებმა იმთავითვე იგრძნეს გარკვეული უკმარისობა და მეოთხე **e** ფონემაც დაამატეს.

ნაკლები ცოდნა შუმერული ენის ფონოლოგიის შესახებ გამოწვეულია იმითაც, რომ ამ სისტემის ისტორიული განვითარების შესახებ არაფერი ვიცით. ასირიოლოგების აზრით, ურის III დინასტიის შუმერული, რომელიც ძველბაბილონური აქადური ენის (ძვ.წ. 2000-1600) ფონოლოგიაზე დაყრდნობით განისაზღვრა, ძლიერ განსხვავდებოდა იმ შუმერულისაგან, რომელიც თიხის ფირფიტებზე ურის III დინასტიამდე სულ ცოტა 700 წლის მანძილზე იწერებოდა. არც ის უნდა დაგვაზიწყდეს, რომ თვით აქადური ენის ფონოლოგიური სისტემაც არ არის ზუსტად დადგენილი. აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით არ არის გასაკვირი, რომ შუმერული ენის ფონოლოგიურ სისტემაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაოდენობის ხმოვნებს გამოყოფდნენ. ს. ლენგდონი (*Sumerian Grammar*, 1911:36), რომელიც სხვადასხვა მკვლევრის (F. Lenormant, A. Sayce, Paul Haupt, F. Hommel და ა.შ.) ნაშრომებს ეყრდნობა, გვთავაზობს 18 (7x2 გრძელი და მოკლე ხმოვანი, ორი ნახევრადხმოვანი, ორი უმლაუტიანი **ö, ü**) მონოფთონგისა და ოთხი დიფთონგისაგან შემდგარ სისტემას. ავტორის მიხედვით, ხმო-



ვანთა ადრეული სისტემის კომპონენტებია გრძელი (**ū, ō, ā, ē, ī, ū, ō**) ხმოვნები, რომელთაც თავიანთი მოკლე ვარიანტებიც გააჩნდა და რომელთა შორის არსებული განსხვავების გამოკვეთა შუემრული დეფექტური წერის სისტემას არ შეეძლო. ამიტომ ორივე ტიპის მონოფთონგი ერთი და იმავე ნიშნით გამოისახებოდა, რის გამოც ასირიოლოგები მათ (გრძელ და მოკლე ხმოვნებს) ბერძნულის მსგავსად რაოდენობრივი მახასიათებლის მიხედვით განასხვავებდნენ: ღია მარცვალში – გრძლად, ხოლო დახურულში – მოკლედ (Langdon, 1911:34). დიფთონგები **aj, ja, au, ua** ინარმოებოდა **i, u** ნახევარხმოვნების **a** და **u** ბგერებთან შეერთებით: **a+i, i+a, a+u** და **u+a**. მათაც, ისევე როგორც სრულ მონოფთონგებს, ცალკე ნიშნები არ გააჩნდათ. უფრო მეტიც, ს. ლენგდონის აზრით, **a** და **i** ნიშნების მეშვეობით ხდებოდა **ō** და **ū** ბგერების გადმოცემაც, რომლებსაც ურის მესამე დინასტიამდე (ძვ.წ. 2114-2004) განასხვავებდნენ, შემდეგ კი იკარგებიან. ხმოვანთა ეს სიმრავლე (18 ბგერა) ოთხი (**ē, ī, ā, ū**) ნიშნით გადმოიცემოდა, რის გამოც ერთ ნიშანს რამდენიმე ხმოვნის ფონეტიკური ღირებულება მიენერებოდა; ასე მაგალითად, **a**-ს შეესაბამებოდა 4 ბგერა (**ā, ā, ō, ō**), ხოლო **i**-ს სამი: **ī, ī, ū**. ნათელია, რომ თავიდანვე შუემრული ფონეტიკური სისტემა შორს იყო სრულყოფისაგან. ესაა ფაქტორი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია, ართულებს მის კვლევას.

ცხრილი 2

ს. ლენგდონის შუემრული ენის ხმოვანთა სისტემა

	მაღალი	საშუალი	დაბალი
ველარი	ū, ū	ō (?)გამოხატული ასო-ნიშნით ā	ā
პალატო-ველარი		ē, ě და ō გამოხატული ასო-ნიშნებით – e ან e – a	ě
წინა პალატალური	ī და ū გამოხატული ასო-ნიშნებით u – e ან i		ī

ასირიოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობა შუმერული ენის ფონოლოგიაზე დღესაც „ძალაშია“. ო. ეძარდი გამოყოფს 8 მონოფთონგს – ოთხ გრძელ და ოთხ მოკლე ხმოვანს და მიაჩნია, რომ შუმერულში მოკლე და გრძელ **o** ხმოვანსაც უნდა ეარსება. მის მიერ შემოთავაზებული სისტემა ასეთია: **a-ā, e-ē, i-ī, u-ū, (o-ō), i** და **e** ხმოვნების წაკითხვა ხშირად კვლავ გაურკვეველია. განარჩევენ ღია და დახურულ მარცვლებს (Edzard, 2003:13-14).

დღეს მკვლევართა უმრავლესობა ოთხ ხმოვანს გამოყოფს (**a, e, u, i**), ვინაიდან ტექსტებში მხოლოდ მათი დადასტურება ხერხდება (Thomsen, 1984:38; Michalowski, 2005:28). მოიაზრება შესაბამისი გრძელი ხმოვნების არსებობა ორი ხმოვნის ერთ CV+V მარცვალში. სახელდება სხვა მიზეზებიც, როგორცაა კონტრაქცია ან თანხმოვანთა ამოვარდნა, მაშინ, როდესაც ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ხმოვნის სიგრძეს ფონოლოგიური მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა (Michalowski, 2005:29). უშვებენ უძველესი ფონემების არსებობასაც (**ē, ū, ō, ā**, Hayes, 2000:24), ზოგს კი მიაჩნია, რომ შუმერულს ნაზალური ხმოვნებიც (1, 2 ან 3) ჰქონდა, თუმცა უკანასკნელმა გამოკვლევებმა (Claude Boisson, 1989) დაადასტურეს ამ შეხედულების უსაფუძვლობა. არასაკმარისი ფაქტების გამო, ვერც დიფთონგების დადგენა ხერხდება (Michalowski, 2005:28). კვლავ ღიად რჩება უკანა რიგის **o** ხმოვნის არსებობა-არარსებობის საკითხიც, რომელიც ასირიოლოგებს შორის ყველაზე სადავო პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. ჯერ კიდევ 1931 წელს ა. პიობელმა გამოყო ღია (**a, ē, ō**) და დახურული (**e, i, u**) ხმოვნები, რომლებშიც იგი **o**-საც ასახელებდა (Thomsen, 1988:39). ამ საკითხს შეეხო რუსი ასირიოლოგი ი. დიაკონოვიც (Diakonoff I., A review of A.R. Bomhard, 1995. *Indo-European and the Nostratic Hypothesis*, Charleston, South Carolina), ხოლო 1979 წელს ს. ლიბერმანმა ძველბაბილონურში შუმერულიდან ნასესხები სიტყვების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკულად ქართული ხუთხმოვნიანი სისტემა (**a, e, o, i, u**) აღადგინა (Lieberman, 1977).

როგორც ვხედავთ, შუმერულ ხმოვანთა სისტემაში დღესაც ბევრი რამ გაურკვეველი და გადაუწყვეტელია: გრძელი და მოკლე ხმოვნების პრობლემა, სიგრძის ფონო-



ლოგიური რელევანტობა, ხმოვანთა ტიპები და მათი რაოდენობა და ა.შ. შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემის მრავალმოდულიანობა ასირიოლოგებს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის იმედსაც კი უკარგავს: „ენის ფონოლოგია კარგად არ გვესმის და სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ მის სრულყოფილ რეკონსტრუქციას ვერასდროს შევძლებთ“ (Michalowski, 2005:27). დავეთანხმები ავტორს და დავამატებ, რომ ჩვენი არცოდნის მიზეზი შესაძარბელი ენის არქონაა, ენისა, რომელიც „შიგნიდან“, შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით ახსნიდა შუმერულის ფონემურ მექანიზმს და რომლის ფუნქციას, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით წინა სტატიებში ანალოგიური საკითხების განხილვისას, ქართველური ენები ასრულებენ.

ვინაიდან საქმე ეხება ისეთ სერიოზულ საკითხს, როგორცაა შუმერულში **ო** ხმოვნის დადგენა, ვფიქრობთ, ერთგვარად უნდა შევაჯამოთ და უფრო ზუსტად განვსაზღვროთ შესაძარბელი ენის რაობა და ის პირობები, რომლებსაც ასეთი სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს. დავიწყოთ იმით, რომ ასირიოლოგია იცნობს მრავალ ნაშრომს, რომელშიც მკვლევრები რომელიმე ენას შუმერულთან აკავშირებენ. ლინგვისტური ანალიზი, რა თქმა უნდა, ისტორიული ენათმეცნიერების პრინციპებს ემორჩილება და მიზნად ისახავს გამოავლინოს ბგერათა რეგულარული შესატყვისობები მორფემების ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსების მეშვეობით. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი შუმერულია და სხვა ენების წყვილთა ანალიზიდან:

1) შუმერული და აქადური (ePSD)

შუმერული	აქადური
manhara ლუდის სასმელი, ეტლის ნანილი	namharu ლუდის სასმელი, ეტლის ნანილი
gara ₂ ნალები	garû ნალები

2) შუმერული და ურალ-ალთაური (S. Parpola, 2009:42).¹⁰

შუმ.	ფინ.	ლაპ.	ვოგ.	პერმ.	ობ-უნგრ.	სამ.
šeš ძმა	setä, seti ბიძა	čæcce id.	čiče სიძე, ბიძა	čož ბიძა (დე- დის ძმა)	šăš ბიძა (მამის ძმა)	čičă ბიძა
um.ma მოხუ- ცი ქალი	ämmä მოხუ- ცი ქალი	ibme ბი- ცო- ლა			imi, ima მოხუცი ქალი	ima, ëma მოხუცი ქალი

3) შუმერული და ტიბეტურ-ბირმული (Broun, 2004:16)

შუმერული	ტიბეტურ-ბირმული
sum წვერი	c'om წვერი
dug ₃ მუხლი	r-dog ფეხის ტერფი

4) შუმერული და ქართველური (წერეთელი, 1912:100-101)

შუმერული	ქართული
gan, gana ყანა	ყანა, ცონა
gid გრძელი, კიდე, გვერდი	კიდ-ე, კედ-ელ-ი

ნათელია, რომ შუმერული და სხვა რომელიმე ენის მონაცემთა ფონეტიკურ-სემანტიკური სიახლოვე წარმოადგენს იმ აუცილებელ მინიმუმს, რომელსაც შესადარებელი ენა უნდა აკმაყოფილებდეს. მეტს ვერც მოვითხოვთ, ვინაიდან ენათმეცნიერული კვლევის ისტორიას სხვაგვარი პრეცედენტი ან გამოცდილება არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, ქართველური ენები არა თუ ფლობენ შესადარებელი ენის მინიმუმს,

¹⁰ შუმ.=შუმერული, ფინ.=ფინური, ლაპ.=ლაპლანდიური, ვოგ.=ვოგულური, პერმ.=პერმიული,ობ-უნგრ.=ობ-უნგრული, სამ.=სამოიედური.



არამედ ამა თუ იმ შუმერულ ერთეულზე პრაქტიკულად ამომწურავ ენობრივ ინფორმაციას იძლევიან:

- 1) აზუსტებენ ან ადასტურებენ არსებულ ფონეტიკურ შედგენილობას;
- 2) მიუთითებენ შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემის ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტაზე;
- 3) ხსნიან დაწერილობის თავისებურებებს;
- 4) ახდენენ სიტყვის მორფემულ დანაწილებას ძირისეულ და აფიქსურ ელემენტებად;
- 5) ააშკარავენ სიტყვის სტრუქტურულ ფორმულას;
- 6) ხსნიან აფიქსალური ელემენტების სემანტიკას, მათ დერივაციულ თუ გრამატიკულ რაობას;
- 7) ააშკარავენ გაფერმკრთალებულ თუ დაკარგულ კავშირებს თვით შუმერულ და ხშირად აქადურ სიტყვებს შორის;
- 8) ახდენენ სიტყვების კლასიფიკაციასა და დაჯგუფებას მეტყველების ნაწილებისა თუ დერივაციული ბუდეების მიხედვით.

მსგავსი ინფორმაციის ამოღების პრეცედენტი ენების კვლევის ისტორიამ არ იცის. ეს მით უფრო გამართლებულია მკვდარი შუმერულისა და ცოცხალი ქართველურის კვლევისას.


დავუბრუნდეთ შუმერულ **kar**-სა („დოკი“) და ქართველურ **ყორ**-ს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, **kar** ზღვის ნაპირზე აგებული ქვის ჯებირია. ამგვარ ნაგებობებს, როგორც წესი, დიდი ლოდებისგან აწყობდნენ, რაც ქართველური **ყორ**-ის სემანტიკის იდენტურია. შუმერული ენის ხმოვანი ფონემების, კერძოდ **o** ბგერის შესახებ არსებული ნაკლები ცოდნა და **kar** სიტყვის სემანტიკური ასპექტი საშუალებას გვაძლევს შუმერული ლექსემა ქართველური **ყორ**-ის ძირისეული ხმოვნის მიხედვით გავასწოროთ. შედეგად მივიღებთ შუმერულ **qor**-ს, რომელიც ქართველურ ჯგუფთან ერთად რთულ ენობრივ ბადეს წარმოქმნის (სქემა 4, გვ. 113).

შუმერული **kar**-ი ქართველური **ყარ-კარ** რთული ლექსემის მიკროსისტემაში ძლიერ ბუნებრივად, სტრუქტურის შინაგანი კავშირების დარღვევის გარეშე „ჯდება“. მეტიც, ირკვევა შუმერული ნევრის როგორც უშუალო (**kar-ყორ**),

ისე გაშუალებული ურთიერთობები (**ყორ-კარ-kar**) და ზედაპირზე ამოდის ქართველური წევრით მართული დაფარულ-ჩახლართული კავშირები: პირველ ეტაპზე ხდება შუმერული **kar**-ისა და ქართველური **კარ**-ის ბგერითი გაიგივება; ეს ის ეტაპია, როდესაც ენობრივი მსგავსება-იგივეობა ზედაპირზე დევს და, რომლის შემჩნევა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. სწორედ ამ ეტაპზე ხდება გასაანალიზებელ ლექსემებს შორის აღმოჩენილი მსგავსება-იდენტურობის „შემთხვევითობად“ მონათვლა ტემპორალური და გეოგრაფიული დისტანციის გამო. ამის შემდეგ ქართველურ-შუმერული ნათესაობის უარყოფა ძლიერი იოლია. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე შეჩერება მეცნიერული კვლევის წყვეტაა, ვინაიდან ჭეშმარიტმა მეცნიერებამ სწორედ ასეთ რთულ საკითხებს უნდა გასცეს პასუხი, უნდა ეძიოს და ჩხრიკოს მანამ, სანამ არ გამოიკვლევს ამ ანომალიური მოვლენის – ათასწლეულებით დაშორებული ენების ჰარმონიული შეერთების – გამომწვევ მიზეზებს.

სქემა 4

ქართველური **კარ-ყორ**-ისა და შუმერული **kar**-ის ფონეტიკურ-სემანტიკური კავშირის მექანიზმი



კვლევის გაგრძელებას გავყავართ მეორე ეტაპზე, როდესაც ხდება ქართული **კარ**-ის, სვანური **ყორ**-ისა და მეგრული **ყორ**-ის დაკავშირება-გაიგივება სემანტიკური და



ფონეტიკური იდენტურობის საფუძველზე. სირთულები აქაც იკვეთება, რადგან **კ – ყ** ბგერათშესატყვისობა ქართულს, სვანურსა და მეგრულს შორის უარყოფილია და **კარ-** და **ყორ-** ლექსემები ცალკე და დაუკავშირებელ ელემენტებად ფიქსირდება ლექსიკონებში. თუ დადგინილი ბგერათშესატყვისობების უზენაესობა ვალიარეთ, ქართველური და შუმერული **კარ–kar-**ის გაიგივება არ მოხდება და შუმერულ-ქართველური ნათესაობის კვლევის ერთ კონკრეტულ მაგალითს წერტილი დაესმება, მაგრამ თუ ეს წინააღმდეგობაც გადავლახეთ, ძიების შემდეგ ეტაპზე გადავალთ, როდესაც ანალიზის სფეროში **ყარ-** ძირთან დაკავშირებული სხვა მორფემებიც შემოვა. ამ ეტაპზე გაფართოებული ჯგუფის ლექსემები ისეთ ურთიერთობებს ავლენენ, როდესაც მათი ფონეტიკური და სემანტიკური ასპექტები, ჩვეული მნიშვნელობების გარდა, ისტორიულ, ანუ კულტურულ ინფორმაციასაც გვთავაზობენ. ირკვევა, რომ ქართველურ ენებში **ყ – კ** თანხმოვნების მეშვეობით დაკავშირებული ორი მწკრივი იმალება: **ყირ–ყარ–ყორ** და **კირ–კარ–კორ**, რომლებშიც ქართველთა **საალმშენებლო კულტურის განვითარებაა ასახული**. აღნიშნულ გაიგივებას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი კრავს სქემაში მოცემულ სამკუთხედს და გამოკვეთს შუმერულსა და ქართველურ ერთეულებს შორის დამალულ კავშირებს. ფარდა ეხდება შუმერული **kar-**ის ფონეტიკური აგებულებისა და წარმომავლობის წყაროს – **ყორ** ლექსემას. არქეტიპის მეშვეობით დასტურდება ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება შუმერულში **o** ხმოვნის არსებობის თაობაზე. მეტიც, სწორედ ქართველური **ყორ–ყარ-**ის სემანტიკაა აღწერილი ერთ-ერთ შუმერულ მითში, რომელშიც ნინურტამ **კურ-**ის (ქვესკნელის) თავზე **ქვების გროვა დააწყო** და შუმერის წინ ქვესკნელიდან მჩქეფარე წყლის შესაჩერებლად **კედელი ალყორა** („heaped them up like a great wall“ Kramer, 1971:151-152). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველური ენების მიერ გამოვლენილი შესადაარებელი ენის ფუნქცია ხსნის ა. დეიმელის მიერ 1950 წელს გამოცემული შუმერული ენის ლექსიკონში დაფიქსირებული **kar₂-**ის (> **ყორ**) ერთ-ერთ მნიშვნელობასაც „binden“ ანუ **შეკვრა, შეკავშირება** (Deimel, 1950:142).

კვლევის შემდგომ საფეხურზე უნდა გაირკვეს ძირისეული ფარინგალური ყ-ს კ-ში (**kar**) გადასვლის პირობები თუ მექანიზმი, რისთვისაც თანხმოვანთა სისტემის მოკლე მიმოხილვას უნდა მივმართოთ.

შუმერულ თანხმოვან ფონემათა სისტემა მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია. მასში გამოიყოფთ ორ ქვეჯგუფს: სტაბილურს, რომელსაც ასირიოლოგთა უმრავლესობა ეთანხმება, და სავარაუდოს, რომელსაც მხოლოდ ცალკეული მკვლევრები გამოყოფენ (ცხრილი 3, გვ. 116):

ძირითადი თანხმოვნების ჯგუფი. ამ ჯგუფში გაერთიანებული თანხმოვნები ასირიოლოგიის განვითარების ყველა ეტაპზე გამოიყოფოდა. ცვლილება განიცადა მათ შესახებ არსებულმა მოსაზრებებმა. ეს განსაკუთრებით **აბრუბტივებს** (მსკდომ თანხმოვნებს) ეხება. ეს კლასი ყველაზე მრავალრიცხოვანია. მასში განასხვავებენ ბინარული ოპოზიციის სამ წყვილს: **b – p, d – t, g – k**. მათი ურთიერთმიმართების გარკვევა არც თუ ისე ადვილია, ვინაიდან უადრეს აქადურ ნერილობით ძველებში მათ შორის განსხვავება არ ჩანს. მკვლევრების აზრით, შუმერულშიც ანალოგიური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო (Thomsen, 1984:43). ძველბაბილონური პერიოდის წინ, შუმერული **b, d, g** აღინიშნებოდა როგორც **p, t, k**, ხოლო ძველბაბილონური პერიოდის შემდგომ, შუმერული მჟღერი თანხმოვნები (**b, d, g**) აქადურში უცვლელად გადმოჰქონდათ (**b, d, g**). ამ მოვლენას სხვადასხვანაირად ხსნიან. ი. გელბის მიხედვით მჟღერი, **b, d, g, z** მარცვლებში **BA, DA, GA, ZA** გამოსატავდნენ ორ (მჟღერ და ყრუ) თანხმოვანს, ე.ი. **b/p, d/t, g/k, z/s**. რაც შეეხება ყრუ თანხმოვნებს მარცვლებში **PA, TA, KA, SA**, მათ **ალბათ** ასპირაციული **p^h, t^h, k^h** ბგერების ღირებულება გააჩნდათ (იქვე). არსებობდა აგრეთვე შეხედულება თანხმოვანთა გადაწევის შესახებ, რომელიც ჯ. რენჯერმა გააბათილა. მისი აზრით, ძველბაბილონურ ხანაში, როდესაც შუმერული უკვე აღარ წარმოადგენდა საკომუნიკაციო ენას, ფონეტიკურ ცვლილებებზე მსჯელობა არ შეიძლება (იქვე). „აღნიშნულ რეკონსტრუქციებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ“ (Rubio, 1999, 141), რის გამოც „ამჟამად ყველაზე მიზანშეწონილია ტრადიციული შეხედულების გაზიარება და მჟღერი და ყრუ თანხმოვნების განსხვავების აღიარება“ (Michalowski, 2005:28).



ცხრილი 3
შუმერული ენის თანხმოვანთა სისტემა

ძირითადი ბგერები		ქვეტიპები	Langdon, Edzard, Thomsen, Michalowski, Hayes
1	აბრუპტივები	ბილაბიალური მჟღერი	b
2		ბილაბიალური ყრუ	p
3		დენტალი მჟღერი	d
4		დენტალი ყრუ	t
5		ველარული მჟღერი	g
6		ველარული ყრუ	k
7	სონორები	ბილაბიალური	m
8		ნარნარა	n
9		ალვეოლარული	l
10		ვიბრანტი	r
11	ფრიკატივები	მჟღერი	z
12		სისინა	s
13		შიშინა	š
14		ველარული სპირანტი, ყრუ	h
დამატებითი ბგერები			
1	ფშვინვიერი	ბილაბიალური ყრუ	p^h
2		დენტალი ყრუ	t^h
4		ველარული მსკდომი	k^h
5		ნაზალური მსკდომი	g
6			d^r

სიბილანტების ჯგუფში სამი თანხმოვანია გაერთიანებული: **z, s, ʒ**, რომელთა ფონეტიკური ღირებულება ტრადიციული სიბილანტური ბგერებისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ასე მაგალითად, ს. ბოისონის (Boisson, 1989) მიხედვით, მათი ნამდვილი ღირებულებაა: **z – ts, s – s, ʒ – θ** (Hayes, 2000:26), თომსენის აზრით კი, ამ თანხმოვნების ზუსტი ბუნება ნათელი არ არის (Thomsen, 1984:46).

r – ბგერის ბუნება გაურკვეველია (Hayes, 2000:26).

l – გაურკვეველია აგრეთვე **l** თანხმოვნის ზუსტი გამოთქმა, ვინაიდან ვარაუდობენ მის ლატერალურსა (**l**) და ველარულ (**ʎ**) სახეობას (Michalowski, 2005:28; Hayes, 2000:26).

h – იგივე ითქმის **h** თანხმოვნის შესახებაც (Thomsen, 1984:46).

დამატებითი თანხმოვნების ჯგუფი. ამ ჯგუფში გაერთიანებულ თანხმოვნებზე საერთო კონსენსუსი მეცნიერებს შორის არ არსებობს. ამიტომ ტრადიციულ ტრანსლიტერაციასში მათ, როგორც **ნესი**, არ აღნიშნავენ.

ŋ – ველარული ნაზალი ადვილად დასადგენი ბგერა არ არის. ძირითადად ვარაუდობენ ორი ვარიანტის არსებობას **ŋ** და **ŋ^w**, ანუ პალატალურ ცხვირისმიერ თუ კომპლექსურ თანხმოვანს. მას აღნიშნავენ ხოლმე **ǰ** ნიშნითაც, რომელიც შეიძლება სამიდან (**m, n, g**) ერთ ბგერას მიემართებოდეს (Hayes, 2000:25).

dr – ყველაზე ფართო განხილვის საგანია თანამედროვე შუმეროლოგიაში. მას გამოსახავენ როგორც **dʳ, dr, ř**. იგი განსხვავდებოდა როგორც **d**-სგან, ისე **t**-სა და **r**-სგან (იქვე). შემოთავაზებულია აგრეთვე სრულიად განსხვავებული **tsⁿ** ნაკითხვაც, რომელიც საკმაოდ ადრე გაუჩინარდა, მაგრამ თავისი კვალი დატოვა დამწერლობაში (Michalowski, 2005:29).

ʷ, w, y, ʏ – აღნიშნულ ოთხ თანხმოვანს ცალკეული მკვლევრები გამოყოფენ, რის გამოც თანხმოვანთა სტანდარტულ ინვენტარში არ შეჰყავთ. 'ფონოლოგიური გლოტალური მსკდომის არსებობა დადასტურებული არ არის და მისი გამოყოფა უფრო შუმეროლოგთა თანხმობის შედეგია, ვიდრე ფონოლოგიური მოთხოვნებისა (იქვე). აქვეა გაერთიანებული პრენაზალური **m^b**-ც და ლაბიალიზებული **g^w** (Hayes, 2000:26). ამ თანხმოვნების არსებობა შუმერულში მეტად სათუთა, ვინაიდან ისინი აქადურ ფონეტიკურ სისტემაში არ



ფიგურირებენ. ამიტომ მათი ჩართვა შუმერულ ტრანსლიტერაციის ცალკეულ მეცნიერთა პრიორიტეტებს უფრო ასახავს, ვიდრე რეალურ ბგერით სიტუაციას.

ცხადია, რომ დღეისათვის არსებული შუმერული თანხმოვანის სტემა ფრიად არაზუსტი და არამყარია. მეტიც, ფაქტობრივად არც ერთი თანხმოვანის ნამდვილი ფონეტიკური ღირებულება ცნობილი არ არის. საქმეს ართულებს ისიც, რომ შუმერულში განსხვავებული ფონოლოგიური ღირებულების თანხმოვნებიც მოიაზრება, თუმცა კონკრეტული ბგერების დასახელება ჭირს. შუმერული **kar**-ის ქართველური **ყორ**- არქეტიპი შუმერული ფონემური სისტემის ერთ-ერთ სპეციფიკურ თანხმოვანს ასახელებს. ესაა ფარინგალური მსკდომი **ყ**, რომლის აღდგენა **k** აბრუპტივის ნაცვლად არავითარ ლინგვისტურ წინააღმდეგობას არ აწყდება. პირიქით, შუმერული წყვილი ორგანულად ერწყმის **კ** და **ყ** თანხმოვნების პარალელურ ჯაჭვს: ქართველური **ყირ-ყარ-ყორ//კირ-კარ-კორ**. საინტერესოა შუმერული წვერის ქართველურ მწკრივში ინტეგრირების პროცესიც, რადგან ღიად დაფიქსირებული ფორმა **kar** კ'იან მწკრივს ეკუთვნის, მაშინ, როდესაც სემანტიკური მხარე **ყ**'იანი სერიის კუთვნილებაზე მიუთითებს: შუმერული **kar < kor < ყორ** მათ სემანტიკურ ერთიანობაში გადაიზრდება: **ყორ** „ქვით ნაგები კედელი, ზღუდე“ = **qor** „ქვით ნაგები ჯებირი, ზღუდე“.

რამდენად სარწმუნოა წარმოდგენილი ლინგვისტური გამოკვლევის შედეგი?

წამოჭრილ კითხვას პასუხობს პროფესიული გადამწერების მომზადებაში გამოყენებული მეთოდიკა, რომლის აღწერა **Proto-Ea**-ს ლექსიკური სიის წინასიტყვაობაშია მოცემული: „**Proto-Ea**-ს ფირფიტები გადამწერთა სავარჯიშობებია, რომლებსაც (ენობრივი ერთეულების) ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური ურთიერთობების **დასაზღვირებლად** ქმნიდნენ. გამოიყენებოდა (მოდელი) ნიშანი **S** იკითხება როგორც **R**, როდესაც იგი ნიშნავს **M**-ს. მასწავლებელი **R**-სა და **M**-ს **წარმოთქვამდა**, მოსწავლე-გადამწერი კი წერდა. **R**-ს (გამოთქმის) წერილობითი ვარიანტებიდან ირკვევა, რომ მის სიზუსტეს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და დაიშვებოდა ყველა ვარიანტი, რომე-

ლიც გარკვეულ გრაფიკულ თუ ფონეტიკურ საზღვრებში თავსდება. 1.1.6-ის კატალოგში დაფიქსირებული ფორმების უმრავლესობა მხოლოდ გრაფიკულად, ფონოლოგიური მნიშვნელობის გარეშეა წარმოდგენილი. ეს ეწინააღმდეგება შეხედულებას, რომლის მიხედვით ყოველი სვეტისთვის მხოლოდ ერთი დასაშვები ფორმულირება არსებობდა; ფაქტებით ეს არ დასტურდება; რეალურად დიდი ვარიანტულობა დაიშვებოდა, რომელთა დამახსოვრება **ზეპირი გზით ხდებოდა**“ (Civil, 1979:15-16; ხაზგასმა ჩვენია, ა.მ.).

ზეპირობის აღწერილი ხერხი, რომელიც პედაგოგიკაში გამოყენებული მეთოდების პირველი ნიმუშია, სწავლების თვალსაზრისით ფრიად არაეფექტურია. მით უფრო არაეფექტური უნდა ყოფილიყო იგი რთული ფონეტიკური აგებულების მქონე შუმერული ენის სრულყოფილი დაუფლების თვალსაზრისით, რასაც გადამწერთა მომზადებისთვის საჭირო ხანგრძლივი პერიოდიც ადასტურებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქადელი გადამწერების მშობლიური ენა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა შუმერულისგან და საუკეთესო მეთოდების გამოყენების შემთხვევაშიც კი რთულ ბგერებს საკუთარი, გაცილებით უფრო მარტივი ფონეტიკური მატრიცით გადმოიტანდნენ. მსგავსი ბგერითი ჩანაცვლებების „პრაქტიკა“ იმდენად გავრცელებულია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი, რომ უცხო ენის სწავლების პირადი გამოცდილებიდან საილუსტრაციო მასალის მოყვანის საჭიროება, ვფიქრობ, არ არსებობს. აღწერილი ვითარება კიდევ უფრო გართულდებოდა შუმერული ენის მიერ სამეტყველო ფუნქციის დაკარგვის შემდეგ (ძვ.წ. 2000 წ.), როდესაც ერთი და იმავე გრაფიკულ ნიშანთან დაკავშირებული განსხვავებული გამოთქმებისა და მათი მნიშვნელობების ერთმანეთში აღრევის არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა. მიზეზიც ბევრი იქნებოდა: გამოყენების სიხშირე, სემანტიკური სიანხლოვე, რთულად გამოსათქმელი ბგერა, მსგავსი ფონემების აღრევა, მშობლიური ბგერით ჩანაცვლების ბუნებრივი ტენდენცია, ზეპირობის მეთოდი და ა.შ.¹¹ აღწერილ

¹¹ სიტუაცია შუმერში იქნებოდა დაახლოებით ისეთივე, როგორც უცხოელების მიერ ქართული ენის შესწავლისას გვაქვს. ჩემ მიერ ჩატარებული ფონეტიკური ექსპერიმენტის მიხედვით, სპეციფიკური ქართული თანხმოვ-



ვითარებაში ძნელადგამოსათქმელი შუმერული ბგერების დაკარგვა ან იოლი ფონემებით ჩანაცვლება, რაზეც არაერთხელ მიუთითებენ ასირიოლოგები, სავსებით ლოგიკური პროცესია.

ნათქვამიდან გამომდინარე, ჩატარებული ანალიზის შედეგებს, და კერძოდ ფარინგალური ხშულის აღდგენას, შუმერული ფონეტიკური (ფონოლოგიური) სისტემის კვლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დასტურდება არა მხოლოდ **ვარაუდი** შუმერულში განსხვავებული თანხმოვნების არსებობის შესახებ, არამედ, რაც უფრო მთავარია, ხდება ერთ-ერთი კონკრეტული თანხმოვნის დასახელება. ეს ფაქტი სრულიად ახალი კუთხით აშუქებს შუმერულ ფონოლოგიურ სისტემას, ვინაიდან ფარინგალური ხშულის გამოვლენა ხდება არა უკუმიმართულებით (აქადურზე დაყრდნობით), როგორც ეს აქამდე იყო, არამედ არქეტიპულ ფორმაზე დაყრდნობით, ანუ შინაგანი რეკონსტრუქციის გზით. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ქართველური მონაცემების დომინანტური ფუნქცია შუმერულ-ქართველური ურთიერთობების განსაზღვრაში, მათი მამოძრავებელი და მაორგანიზებელი ძალა არა მხოლოდ ენობრივ (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სემანტიკური), არამედ კულტურულ მახასიათებლებთან მიმართებაშიც, ვინაიდან შუმერული **kar** და **kar-qor (ყორ)** მათი ქართველური ნყვილების მსგავსად საალმშენებლო საქმის განვითარების ისტორიასაც გადმოგვცემენ – **qor-ყორ**, როგორც შედარებით მარ-

ნები დღესაც გადაულახავი საარტიკულაციო ბარიერია მრავალი უცხოელისთვის (მესხი, 2002), რის შედეგადაც მსგავსი და განსხვავებული თანხმოვნების მქონე სიტყვები ხშირად იდენტურ ფონეტიკურ გაფორმებას იღებენ. ნიშნულად შეიძლება მოვიყვანოთ როგორც გაანალიზებული ერთეულები (**კარ-ი**, **ყორ-ე**, **ქარ-ი**), ისე **ღარ-ი**, **ჭარ-ი**, **ძალ-ი**, **წყალ-ი** და მრავალი სხვა, რომლებიც მეტ-ნაკლები ფლაქტუაციით **kar** მორფემის სახეს მიიღებენ. შუმერულის შემთხვევაში დროთა განმავლობაში ლექსემებს შორის არსებული ფონეტიკური განსხვავება ჯერ აირეოდა, შემდეგ კი დავიწყებთ მიეცემოდა. დარჩებოდა ექვსივე ლექსემის **იდენტური გამოთქმა** და მათი **განსხვავებული წარმომავლობის** დამადასტურებელი სემანტიკა და გრაფიკული გამონატულება. აღნიშნულ პროცესებს საგრძნობლად დააჩქარებდა სწავლების არასწორი მეთოდიკა და შუმერული ენის მიერ საკომუნიკაციო ფუნქციის დაკარგვა.

ტივი, და **kar**, როგორც კულტურის შედარებით მაღალი ეტაპი.

ქართველურ ენათა დიდი შესაძლებლობები შუმერული მასალის ახსნა-განმარტებასა და მის ორგანიზაციაში ნათლად ჩანს **kar** ლოგოგრამის დაწერილობის დეშიფრირებაშიც. **𐌕𐌀𐌖** ზევით განხილული ნიშნების მსგავსად, რთული სიმბოლოა. იგი ორი ლოგოგრამისაგან შედგება, რომელთაგან პირველია **𐌕** მნიშვნელობით „ახლოს ყოფნა, მიახლოება“, ხოლო მეორე „წყლის“ **𐌀** ლოგოგრამაა. პირველი იკითხება როგორც **teḡ** (პალატალური ველარული ფრიკატივით; აქად. **tehu**) და გამოიყენებოდა ადრედინასტიური III ხანიდან ძველბაბილონური პერიოდის ჩათვლით. მეორე **𐌀** წყლის ლოგოგრამა ათას წელიწადზე მეტ ხანს იხმარებოდა (ძვ.წ. 2600-1600) და მაღალი სიხშირითაც ხასიათდებოდა. იგი ერთი ა ხმოვნით გამოითქმოდა. ლოგოგრამების ურთიერთგანლაგება აჩვენებს, რომ **kar**-ის „ნავსადგურის“, „დოკის“, „ჯებირის“ ან „კედლის“ მნიშვნელობანი ორი სიმბოლოს მნიშვნელობათა ჯამია: „**ახლოს ყოფნა, მიახლოება + წყალი**“. ეს სავსებით ლოგიკურია და თანამედროვე თხზვის არქეტიპულ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, აქადური **tehu**-ს ქართველური ენობრივი სისტემით განხილვა კიდევ უფრო აზუსტებს და აკონკრეტებს **kar** რთული ლოგოგრამის სტრუქტურასა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს. საქმე ისაა, რომ აქად. **tehu** ქართველური ტევვა ზმნის იდენტურია, რომელიც ყველა ქართველურ ენაში არსებობს:

ქართ. ვ-ტევ; გან-ტევ-ა; ნა-ტევ-ი; სა-ტევ-ი...;

მეგრ. ტახ-უ-ა/გო-ტახ-უ-ა „გატეხა, დამტვრევა“...;

ლაზ. ო-ტახ-უ „ტეხა; სიმინდის აღება“...;

სვან. ლა-ტხ-ი „სატეხი; წერაქვი“¹² და აგრეთვე ლი-ტევ „დაბრუნება“.


ქართულისა და მეგრულის მონაცემები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია, 1895:XII 103; 1918:339); ლა-

¹² ვფიქრობთ, ქართული ლახტი მეტათეზის საშუალებით არის მიღებული ლატნიდან. ეს უკანასკნელი სვანურიდან უნდა იყოს ქართულში ნასესხები. ლატნი-ს სვანური სტრუქტურა (ლა- – -ი) პროფესორმა ი. ჩანტლაძემ მომანოდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.



ზური ეკვივალენტი ნ. მარმა გამოავლინა (Mapp, 1936:63; იხ. აგრეთვე Deeters 1930:125); სვანური კი – კ. ჰ. შმიდტმა (Schmidt, 1962:135). გ. კლიმოვი *ტეხ-არქეტიპს აღადგენდა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის, მაგრამ შემდეგ ეს აზრი შეიცვალა (ЗКМЯ, 180; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:295; Klimov, 1998:187; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:433).

ქართველური ტეხ ძირისა და აქადური tehu-ს გაიგივებას მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვანი უშლის ხელს და ისიც სავსებით შესაძლებელია რომელიმე მეგრულ-ლაზური ფორმიდან ყოფილიყო შესული.¹³ აქადური tehu-ს ქართველურ არქეტიპზე მიუთითებს ტეხ- ძირის სემანტიკაც და kar-ის (> ყორ), როგორც წყლის დამცავი ჯებირის დანიშნულებაც, ვინაიდან მისი ძირითადი ფუნქცია მოხეტქილი ტალღის დამანგრეველი ძალის გა-ტეხ-ასა და მის უკუქცევასა და მიბრუნებაში მდგომარეობდა. შესაბამისად, არა მხოლოდ რთული ქიქ ლოგოგრამის წაკითხვა და სემანტიკა ზუსტდება ქართველური კარ-ყორ ძირის მეშვეობით, არამედ მისი შემადგენელი ერთ-ერთი ლოგოგრამისაც. teḡ ლექსემაში ბოლო თანხმოვნი (ḡ) აღნიშნავდა არა პალატალიზებულ ველარულ ფრიკატივს (რბილი ღ), არამედ ყრუ ველარულ ფრიკატივს (ქართული ხ, რომელიც შუმერული თანხმოვნების სტაბილური ჯგუფის წარმომადგენელია h). ამრიგად, შუმერული kar = ყორ-ის „ქვით ნაგები კედლის“ მნიშვნელობა ჩადებულია თვით ქიქ ლოგოგრამის შემადგენელ ელემენტებში: ყორე = ტეხა+წყალი. წარმოდგენილი ფონეტიკურ-სემანტიკური, დამწერლობითი და ეტიმოლოგიური ჰარმონია უპრეცედენტოა ასირიოლოგიურ კვლევებში. რამდენადაც უჩვეულო ან მოულოდნელი არ უნდა იყოს შედეგი, მეცნიერთა ვალია, სერიოზულად მიიღონ ასეთი, თუნდაც ერთი მაგალითი და ამ მიმართულებით გაგრძელდეს ქართველური და შუმერული ენობრივი მასალის შედარებითი ლინგვისტური და კულტუროლოგიური კვლევა.

მესამე kar  ლოგოგრამა სამ განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავდა: ქროლვა (ქრის); განათება, ნათება;

¹³ შევასხენებთ მკითხველს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველურ ენათა მასალის ბოლოკიდური ხმოვანი შუმერულში, აქადურსა თუ ეგვიპტურში u ბგერით არის წარმოდგენილი.

ამოსვლა, ზე ნამონევა (ePSD), რომელთაგან ჩვენს ნაშრომში მხოლოდ პირველი მნიშვნელობა იქნება დეტალურად განხილული. შუმერული **kar** სიტყვის ფონეტიკური და სემანტიკური („ბერვა“) ასპექტების ქართველურ „ქარ“-თან გაიგივება მარტივია. გამჭვირვალეა, აგრეთვე, არსებითი სახელის ზმნურ ფორმად გადატანაც.

ძვ. ქართ. ქარ-ი „სული“, „ჰაერი“ (აბულაძე, 1973:451);

ძვ. ქართ. ქროლა „ბერვა“ (აბულაძე, 1973:456);

ძვ. ქართ. ქროლება „ნქრევა“ (იქვე);

მეგრ. ქარ-ი იგივეა, რაც ბორია (ქაჯაია, 2002:127).¹⁴

ცხადია, რომ ქართველური მასალა არ ღალატობს თავის როლს და კიდევ ერთხელ კისრულობს შესადარებელი ენის ფუნქციას: შუმერული სანყისი ყრუ აბრუპტივის (**k**) ნაცვლად ასპირაციული **ქ** უნდა გვქონდეს. **kar**-ის ფონეტიკურ ასპექტში შეტანილი მოდიფიკაცია უაღრესად მნიშვნელოვანია შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემის დასაზუსტებლად. არაერთხელ იყო მითითებული იმაზე, რომ შუმერულში აბრუპტივების მხოლოდ სამ წყვილს და ორ ოპოზიციას განასხვავებენ (დაპირისპირება მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: **b – p, d – t, g – k** ან ყრუ აბრუპტივების დაპირისპირება ასპირაციის მიხედვით: **p – p^h, k – k^h, t – t^h**). ქართველური მასალა აჩვენებს, რომ უნდა არსებულიყო ორივე სახის ოპოზიცია, როგორც მჟღერობა-სიყრუის, ისე ასპირაციის მიხედვით. მეტიც, შესაძლოა **kar-ქარ**-ის წყვილი შუმერულში სამწევრა ოპოზიციური წევრების არსებობაზე მიუთითებს.

ქართველური მონაცემების მიერ შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შუმერული თანხმოვანთა სისტემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

შუმერული თანხმოვან ფონემების სისტემა

აბრუპტივები ფარინგალური მსკდომი

b – *p^h – p

q

d – *t^h – t

g – k^h – k

¹⁴ ბორიო, ბორია (გურ.) „ნელი ქარი“, „სიო“ (კიკვაძე, 1932:257).



გამოტანილი დასკვნის სისწორეზე მეტყველებს **kar > qor** ქართული ლოგოგრამის ომონიმური ლექსემა **kar** მნიშვნელობებით: „to flee; to take away (by force), remove; to deprive; to save“ (Akk. *ekēmu; etēru; maša'u; nērubu*; ePSD), ანუ „გაქცევა“, „წართმევა“, „მოცილება“, „წაღება“, „შენახვა“. აღნიშნული მნიშვნელობათა ქართველური ლექსემა, რომელიც შუმერული **kar**-ის ფონეტიკური მსგავსებით ხასიათდება, არის ძირი **ქარ-/ქრ-**. იგი ასეა წარმოდგენილ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:485-486):

ქართ. გან-ა-ქარ-ვ-ა; გან-ქარ-ვ-ებ-ა; გან-ნ-ქრ-ევ-ა; გან-მა-ქარ-ვ-ებ-ელ-ი...;

მეგრ. გო-ნქირ-აფ-ა „გაქრობა“; გომ-კო-ნქირ-გ; „უეცრად გაქრა“...;

სვან. ად-ქარ-ჰ-ე „დაკარგა“; ხუ-ა-ქრ-ჰ-ი „ვკარგავ“; ხუ-ი-ქრ-ჰ-ი „ვიკარგები“; ჩუათ-ქარ-ჰ-ან „დაიკარგა“;

ლი-ქრ-აჰ-ი „დაკარგვა“...;

ლაზურში შესატყვისი ძირი არ ჩანს (შდრ.: თოფურია, 1930:300; ჩიქობავა, 1938:308; Schmidt, 1962:137; ЭСКЯ, 196);

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიამ (თოფურია, 1930:300).

ცხრილში მოცემულია შუმერული **kar > k'ar**-ის ქართველური მნიშვნელობები:

ცხრილი 4

შუმერული **kar**-ისა და ქართველური **ქარ/ქრ** ლექსემების სემანტიკა

შუმერული მნიშვნელობები	ქართული თარგმანი	ქართველური შესატყვისობა
to flee	გაქცევა, თავის დაღწევა	გაქრობა
to take away (by force)	წართმევა	
remove	მოცილება	განქარვება
to deprive	წაღება, ჩამორთმევა	დაკარგვა
to save	შენახვა	—

მნიშვნელობათა იდენტურობა შუმერულ **kar**-ს კვლავ **ქარ**-ად კითხულობს, რაც აბრუბტივების ჯგუფში ასპირაციული ყრუ მსკდომის არსებობას (ქ) ადასტურებს. ბგერითი თუ სემანტიკური მხარეები ისე სრულად შეესატყვისება ერთმანეთს, რომ შემთხვევითობა სრულიად გამორიცხულია. უფრო მეტიც, ქართველური **კარ–ყორ**-ისა და შუმერული **kar < qor**-ის (𒊕𒀗) ანალიზის შედეგების შედარება შუმერულ **kar**-თან „ქროლვა (ქრის)“ 𒊕 ნათელს ჰყვენს იმ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა **კარ** და **ქარ** ლექსემების ბგერით იდენტიფიკაციაში. ირკვევა, რომ **ქარ** („განქარვება“) ლექსემის (𒊕) მნიშვნელობა მიენერა სრულიად განსხვავებულ **ყორ** ლოგოგრამას 𒊕𒀗, რომელიც საარტიკულაციო თუ სხვა სირთულეების გამო (გავიხსენოთ გადამწერთა სწავლების ზეპირი მეთოდი), თავის მხრივ, ქართველურ **კარ** მორფემასთან იქნა გაიგივებული. გასაანალიზებელი სიტყვები კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა მათი დაუკავშირებლობის შემთხვევაში, არამედ ერთი სისტემის ერთეულების მსგავსად ერთიანდება. ისინი ერთამენთს ავსებენ, ადასტურებენ, ხსნიან, ერწყმიან და რთულ შუმერულ-ქართველურ ერთეულებად გადაიქცევიან, რომლებსაც განვლილმა ათასწლეულებმა განვითარების კვალი ვერ დაამჩნია. მიზეზი სხვადასხვაა: შუმერულმა „სიკვდილით“ შეინარჩუნა სისტემის სტაბილურობა, ქართველურმა კი შინაგანი მექანიზმის სიცოცხლისუნარიანობით.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გავბედოთ და ქართველურ ენებში მოვიძიოთ **kar** 𒊕 ლოგოგრამის სხვა მნიშვნელობებიც: „განათება“, „ნათება“. ვფიქრობთ, გასათვალსინინებელია მეგრული **კარკანტ**-ი, რომელიც **კარკარ**-ტ-იდან უნდა მომდინარეობდეს ძირის გაორმაგებით (**კარკარ** > **კარკან**), რასაც მისი მნიშვნელობებიც ადასტურებენ: „კაშკაში“, „ლაპლაპი“, „ლუდლუდი“ (**კარკანტია** – „ლაპლაპა“, „კაშკაშა“ (ქაჯაია, 2002:110). ანალოგიური მასალაა დადასტურებული სვანურშიც: **ა-კრ-გნ-ე** (ზს.), **ლი-კგრ-ე, კგრე** (ბზ.), **ლი-კრ-გნ-ე, კგრ-ე** (ბქ.) მნიშვნელობით „ლაპლაპი“, „პრიალი“, „კრიალი“. ¹⁵ ლოგიკას არ უნდა იყოს

¹⁵ მაღლიერებით აღვნიშნავთ, რომ სვანური მასალა მოგვანოდა ქ. მარგიანმა-სუბარმა.



მოკლებული ქართველურ კარ-/კრ-ში „დარტყმის“ (დავ-კარ-ი) მნიშვნელობა გვევარაუდა და ნათებისა და სიკაშკაშის სემანტიკა სამჭედლოში გრდემლის დაკვრასა თუ გავარვარებული ლითონის სინითლესთან დაგვეკავშირებინა. ამ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ქართველური მნიშვნელობების რედუქლიკაციური ძირები (კარკანტი, კაშკაში, ლაპლაპი, ღუდღუდი), მაგრამ ამ მოსაზრებას, ვფიქრობ, დამატებითი კვლევა სჭირდება.

დავასკვნით: ქართველურის სახით არსებობენ ენები, რომლებსაც, თავისი მდგრადობის გამო, შესწევთ უნარი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვანოდონ უძველესი მკვდარი ენების შესახებ. მეტიც, გაანალიზებულ მასალაში ისინი თვითონ ჩანან შუმერულ ენაზე უფრო ხანდაზმულნი, ვინაიდან ლექსემები იხსნება არა უკუმიმართულებით, როგორც აქამდე კეთდება ასირიოლოგიაში აქადური ენის მეშვეობით, არამედ შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, არქეტიპული სტატუსისა და მასზე დამყარებული შესადარებელი ენის სტანდარტის დამკვიდრებით. ამით ქართველურ ენათა სისტემა პროტოშუმერულის რანგში ადის, რის გამოც მისი გათვალისწინება შუმერული ენის კვლევაში არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

დასკვნა

შუმერულ და ქართველურ ენათა მონაცემების შედარებითი კვლევის შედეგებმა საეჭვო გახადა იმ თეორიის უსაფუძვლობა, რომელმაც მათ შორის არსებული გენეტიკური კავშირები უარყო. როგორც ჩანს, ქართველურსა და შუმერულს შორის არსებული მსგავსებანი მოიცავს ენის სტრუქტურის თითქმის ყველა დონეს: ფონოლოგიურს, მორფემულს (რომელშიც გამოიყოფა როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ქვეჯგუფები), სტრუქტურულსა და ფრაზულსაც კი. აღნიშნული ენები ისე ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს, თითქოს ხდება განყოფილი სისტემების ხელახალი გამთლიანება. უფრო მეტიც, ქართველური მასალა ქრონოლოგიურადაც უფრო ადრეული ჩანს. კერძოდ, რიგ შემთხვევებში იგი ურუკ-IV-III დონემდე არათუ აღწევს, არამედ ზოგჯერ წინ უსწრებს კიდევ, რის გამოც ქართველური ენები შესაძარებელი და პროტოშუმერული ენის სტატუსს იძენენ.

ფონეტიკა-ფონოლოგია

ხმოვნები. ქართველური და შუმერული ენების ფონეტიკურ-ფონოლოგიური მსგავსებანი ეხება როგორც ხმოვნებს, ისე თანხმოვნებს. ყველაზე მეტად აღსანიშნავია **o** ხმოვნის დადასტურება ქართველური ენების მეშვეობით, ვინაიდან ეს საკითხი პრაქტიკულად ასირიოლოგიის დაბადებიდან დღემდე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის. აღნიშნული ხმოვნის ფონოლოგიური სტატუსის შესახებ შუმერულში საინტერესო გახლავთ ის, რომ, თუ მის არსებობას მკვლევრები სხვადასხვა ხერხით ადასტურებენ, ქართველურის ჩართვით **o** ხმოვანი შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით იმტკიცებს თავს. მაგალითად, ი. დიაკონოვისათვის ამოსავალია ხმოვანთა სიმეტრია: თუ არსებობდა **e**, უნდა ეარსება **o**-საც. ს. ლიბერმანი **o** ხმოვნის დადასტურებას ახერხებს მხოლოდ აქადური ლექსიკის ანალიზის საფუძველზე, ქართველური ენები კი მას ფონეტიკურად და სემანტიკურად მსგავს ლექსემაში ადასტურებენ. აღნიშნული ხმოვნის აღდგენით შუმერული ააშკარავებს არა მარტო ქართული ენის ხუთხმოვიანი სისტემას, არამედ,

რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩნდება შესაძლებლობა, აღვადგინოთ შუმერული ენის ხმოვანთა სისტემა რეალურ ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით.

თანხმოვნები. ანალოგიური ფონოლოგიური „ბარომეტრის“ როლში გამოდის თანხმოვანთა ქართველური სისტემაც. ისევე, როგორც ხმოვანი ფონემების ანალიზის შემთხვევაში, ქართველური ლექსემები აქაც შესადარებელ სტანდარტს გვთავაზობენ, რომლის მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ მჟღერი აბრუპტივების (**ბ, დ, გ**), ყრუ მსკდომი გლოტალური თანხმოვნებისა (**პ, ტ, კ**) და ყრუ ფშვინვიერი გლოტალური მსკდომის (**ქ**) არსებობა შუმერულში. ქართველურისათვის დამახასიათებელი სამწევრა მსკდომების გამოვლენა (**ფ, თ, ქ**) შუმერულშიც მიანიშნებს დანარჩენი ფშვინვიერების (**თ, ფ**) არსებობაზე, რისთვისაც ქართველურ ენობრივ მასალასთან კონტაქტში კვლევა ამ მიმართულებითაც უნდა წარმოებდეს.

ფრიად მნიშვნელოვანია ქართველური მასალის მიერ აქადური ბგერითი სისტემის მიერთებაც. გამოძილავნდა ამ ორ ენას შორის არსებული ბგერითი შესაბამისობა: ა) ქართ. **k** – შუმ. **k** – აქად. **k**; ბ) ქართ. **b** – შუმ. **b** – აქად. **p**.

ყრუ ფშვინვიერი აბრუპტივის გარდა, შუმერულში ქართველურმა მასალამ გამოავლინა ყრუ ფარინგალური მსკდომიც (**ყ**). აღნიშნული ბგერის არსებობაზე ამ უძველეს ენაში მინიშნებაც კი არ არსებობს, მაშინ, როდესაც ქართველური მასალის პრიზმაში გატარებული **kar** ლექსემის ყოველმხრივი ანალიზი უეჭველს ხდის ამ ფონემის ვარაუდს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართველური მასალა შესადარებელი ენის ფუნქციას შუმერული ენის ფონოლოგიური სისტემის დადგენისათვის შემდეგი საშუალებებით განახორციელებს:

- ადასტურებს გამოყოფილი ბგერების არსებობას (ხმოვნები **ა, უ, ი, ე**, თანხმოვნები **კ, ბ, გ, ხ**);
- ასწორებს ვარაუდის დონეზე გამოთქმულ მოსაზრებებს (ხმოვანი **ო**, თანხმოვანი **ქ**);
- ააშკარავებს აქამდე გამოუძილავნებელი ფონემების არსებობას (თანხმოვანი **ყ**).

სემანტიკა

ფონეტიკური იდენტურობის გვერდით უნდა აღინიშნოს გაანალიზებული შუმერული და ქართველური ლექსემების სემანტიკური იდენტურობაც. ისინი კულტუროლოგიური სიტყვებია, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს უკავშირდება: **კა-ka**, **კაკ-kak** და **კაკა-ლი-kakkala** სამეურნეო ლექსიკას განეკუთვნება და ავტომატურად მოიაზრებს კაკლისა და კაკლის ხის გამოყენებას სხვადასხვა დარგში (საკვები, სამშენებლო სფერო, ავეჯი, მედიცინა, საღებავების დამზადება), **კაკაბი-kabkab** კვების რაციონში ნანადირევის, განსაკუთრებით, ქათმის ჯიშის ფრინველის არსებობაზე მიუთითებს. **უგულო-ugula** საზოგადოებრივი დიფერენციაციის არსებობას ადასტურებს, **კარი-kar** და **ყორე-qor** მშენებლობის წინსვლაზე მიუთითებენ და ა.შ. აღნიშნული კულტუროლოგიური სიტყვებიდან შორს არც **გუბე-gub** ლექსემა დგას (მნიშვნელობით „განბანა, გასუფთავება“), რომელსაც ქართველურ-შუმერული ლექსიკის ერთიან სემანტიკაში რელიგიური სპექტრი შემოჰყავს.

სტრუქტურა

ქართველური მასალის როლი, როგორც შესადარებელი ენისა, გამოიხატება არა მხოლოდ ფონეტიკური და ლექსიკური იდენტურობა-მსგავსებების აღმოჩენაში, არამედ, რაც მეტად მნიშვნელოვანია შუმერული ენის ბუნების გასაგებად, მისი ერთეულების სტრუქტურული ფორმულების გამომჟღავნებასა და მორფემულ დაშლაში. შუმერული ენის კვლევის ისტორიაში ასეთი ლოგიკური, ნათელი და მკვეთრად გამოხატული მორფემული სეგმენტაცია ჯერ არც ერთ ენას არ განუხორციელებია. აღსანიშნავია ისიც, რომ შუმერული და ქართველური მასალის შედარებითმა ანალიზმა მოითხოვა ქართველური მასალის უფრო სიღრმისეული კვლევა, რის შედეგადაც განსხვავებულად წარმოჩნდა ქართველური ლექსემების ურთიერთკავშირი, მათი მორფემული შედგენილობა და სტრუქტურული მოდელები. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ სიტყვათწარმოების მნკრივები და მათში შემავალი ლექსემური საფეხურები: **კა > კაკა > კაკ > კაკ-ალ-ი**, **გობ > გუბ > გიბ**, **კაბ/ყაბ > კაბ-კაბ > კა-კაბ-ი**, **კარ-ყარ** ძირების კავშირი და ა.შ.

გაანალიზებულ შუმერულ მასალაში გამოიყო მორფემა-თა შემდეგი კატეგორიები: ძირეული მორფემებიდან აღსანიშნავია **ka, kak, gul, kab, kar, qor, k'ar, gub**. აფიქსებიდან უნდა აღინიშნოს როგორც სუფიქსების, ისე პრეფიქსების არსებობა. სუფიქსებიდან უნდა გამოვყოთ, ერთი მხრივ, გრამატიკული ელემენტები, ხოლო მეორე მხრივ, დერივაციული სუფიქსები. პირველს მიეკუთვნება ტერმინატიული ბრუნვის ნიშანი **-ši/-še** (<-ში/-შე) და კინობითობის მანარმოებელი ელემენტი **-a** < ა (**kakkala**), ხოლო მეორეს – მქონებლობის მანარმოებელი დერივაციული სუფიქსი **-a** < -ა (**ugula**), უარყოფითობის პრეფიქსი **u** < უ და სუფიქსი **(-a)|** < -(ა)ლ.

ქართველური ენების, როგორც შესადარებელი სტანდარტის როლი, მტკიცდება შუმერულ ლექსემებზე ქართველური სტრუქტურული ფორმულების გავლენითაც. ასე მაგალითად, **u-gul-a**, როგორც რთული (**u – a**) აფიქსით ნანარმოები სიტყვა, **kabkab**, როგორც რედუპლიკაციური თხზვა და **kak-ka-l-a**, როგორც გამარტივებული თხზული ფუძის (**ka+ka > kak**) ხელახალი გაორმაგებისა (**kak+ka**) და დერივაციული სუფიქსის –**l**-მეშვეობით ნარმოებელი კინობითი ფორმა (**kak+ka+l+a**). სხვაგვარად რომ ვთქვათ, შუმერულ **kakkala**-ში ნარმოდგენილია არა მხოლოდ ქართველური მორფემები, არამედ სიტყვათნარმოების ექვსი საფეხური.

ქართველური ენების შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქცია ერთმანეთთან გაცილებით უფრო ახლოს მდგომი ენების – შუმერულისა და აქადურის ლექსემათა ორგანიზაცია-კლასიფიცირებაში მდგომარეობს. აქ უნდა აღინიშნოს ისეთი ლექსემების ურთიერთდამოკიდებულების გამომზეურება, როგორიცაა შუმერული **ka, kak, kakkala, gul, ugula, SI KAK GIŠ, šag** და აქად. **kullu** („გული თხილის ან კაკლის“), **gakkul**, რომლებსაც ქართველური **კა, კაკ, კაკალ-ი, გულ-ი, შიგ** ერთმანეთთან აკავშირებს, შუმერული **kabkab** და აქად. **kappa** („ფრთა“), როგორც ქართველური **კაბ-ა-დან** მომავალი ერთეულები, აქადური **kappu** („ლაგამი“) და ქართველური **კაბ-ყაბ-ყბა**, რომელიც უჩვენებს მათ განსხვავებას შუმერული და აქადური სიტყვებისაგან (**kabkab, kappa**); აქვე უნდა აღინიშნოს ორი შუმერული **gub** ძირის („დგომა“; „განბანა“) ერთ ლექსემად დაჯგუფება და მათი კავშირი აქადურ **gubbu**-სთან („ცისტერნა“) და ა.შ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართველური ენები ზოგიერთი ლოგოგრამის შინაგან ბუნებასაც ჰყენს ნათელს. ეს არის ლოგოგრამა **kar** მნიშვნელობით „ნავსადგური“, „დოკი“. მის აგებულებაში დევს ტალღის შემაჩერებელი ჯებირის არა მხოლოდ ქართველური სემანტიკა („ყორე“), არამედ აქადური დასახელების მეშვეობით (**tehu-ტენ-ვ-ა**) სინათლეზე გამოდის „წყლის მტეხი ყორის“ დანიშნულება-მნიშვნელობა.

ქართველური ენები

გაანალიზებულ მასალაში ქართველური ენები ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც უსწრებენ შუმერულს. ყველა შესწავლილი შუმერული ერთეული ქართველური არქეტიპის განვითარების რომელიღაც უფრო გვიან ეტაპზე ჩნდება, რის გამოც იგი ბუნებრივად „ჯდება“ ქართველურ დიაქრონიულ მწკრივში და მთელისა (ქართველურის) და ნაწილის (შუმერულის) დამოკიდებულებით მიემართება მას. ამგვარი ურთიერთობანი მთელის პირველადობასა და ნაწილის მეორადობაზე მიუთითებს, რაც არაერთხელ გამომჟღავნდა ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა საფეხურზე. ასეთ ქრონოლოგიურ სიღრმეში ჩემთვის ცნობილი არც ერთი ცოცხალი ენა არ ჩადის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა **კა** და **კაკ** ძირები, რომლებიც მსოფლიოს პირველ წერილობით სისტემაში – წინარე ლურსმულ ეპოქაშია დაფიქსირებული (ურუკი IV-III, ძვ.წ. 3300-3000). ქართველურისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც ეს ხანა ენობრივი ფაქტების განვითარების ეპოქაა, თანამედროვე ენებისათვის რეკონსტრუქციების პერიოდია. სწორედ ქრონოლოგიური უწინარესობა, განვითარებული ენობრივი სისტემა და ჩამოყალიბებული ფონოლოგიური სტრუქტურა აძლევს ქართველურს ძალას „შიგნიდან“ ახსნას შუმერული ლექსემები და შეასრულოს შესაძარებელი ენის ფუნქცია. ეს არის მიზეზი იმისაც, რომ ქართველურ-შუმერულ ურთიერთობათა დიაპაზონი შორდება ენათა ნათესაობის განმსაზღვრელ რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობებს და პრობლემა ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს – შესაძარებელი ერთეულების არა მხოლოდ ბგერით-სემანტიკური, არამედ სტრუქტურუ-

ლი, მორფემული, დერივაციული და გრამატიკული ურთი-
ერთიმმართებების დონეზე.

თქმულის გათვალისწინებით, შუმერულ-ქართველური
ენობრივი მასალის შედარებითი კვლევის ამ ძალზე ადრე-
ულ ეტაპზე, ყურადღების გამახვილება უნდა მოხდეს არა
რეგულარული შესატყვისობების გამოვლენის მიზნით დი-
დი მოცულობის მასალის გაანალიზებაზე (რაც მსგავსი
კვლევების ერთ-ერთი მიზანია), არამედ შეძლებისდაგვა-
რად მრავალმხრივი ენობრივი ინფორმაციის (ფონეტიკურ-
ფონოლოგიური, გრამატიკული, ლექსიკური, დერივაციუ-
ლი, სტრუქტურული და ა.შ.) ამოღებაზე, რაც შესაძლებ-
ლობას მოგვცემს უკეთ გავიგოთ დღეისათვის ჯერ კიდევ
ამოუცნობი შუმერული ენის ბუნება. სხვაგვარად, შუმერუ-
ლისა და ქართველურის ისტორიულ-შედარებითი კვლევი-
სას უნდა მოხდეს აქცენტების გადაადგილება. მთავარი ამა
თუ იმ ბგერათა შესატყვისობების მქონე სიტყვების მაქსი-
მალურად დიდი რაოდენობის გამოვლენა კი არ არის,
არამედ ცალკეული ერთეულების სიღრმისეული ლინგვო-
კულტუროლოგიური ანალიზი, თუ იგი წერილობით „დო-
კუმენტებში“ დაფიქსირებული პირველი ენის შესახებ არ-
სებულ ცოდნას ოდნავ მაინც სრულყოფს და ავსებს.

ამის შესაძლებლობას საუკუნის წინ უარყოფილი და
დღესაც არაპერსპექტიულად მიჩნეული ქართველური ენო-
ბრივი მასალა და კულტურა იძლევა. ამ მიზნით ქართვე-
ლური ენების გამოუყენებლობა მეცნიერული უპასუხის-
მგებლობა, გულგრილობა და ახალი გამოწვევების წინაშე
უკან დახევვა. თუ ქართველურ ენებში დევს მსოფლიო ცი-
ვილიზაციის ენის – შუმერულის – გასაღები, მისი სააშკა-
რაოზე გამოტანა მხოლოდ დროის ამბავია.

ქართველური ფოლკლორი გვასწავლის:

უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,
სამი დღე-ღამე უარეს, ვერ იპოვეს კარი მისი,
სადაც რო მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა – მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გაიღო, იქ შეება კარი მისი.

Summary

The results of the comparative study of Sumerian and Kartvelian language evidence demonstrate the groundlessness of the theory which rejects their genetic relations; they have elucidated the fact that Kartvelian and Sumerian similarities do exist and encompass all language levels: phonological, morphemic (with its two sublevels – lexical and grammatical), structural, and even syntagmatic. The harmonious complementariness displayed by the items under study is more like a reunion of two separated systems than the relations of disconnected languages. Moreover, on numerous occasions, the Kartvelian evidence reveals itself to be even chronologically prior over its Sumerian counterpart. It reaches down to Uruk IV-III levels elevating the Kartvelian languages to the rank of proto-Sumerian or the standard of a comparable language.

Phonetics/Phonology

Vowels. Phonetic and phonological similarities of Kartvelian and Sumerian languages concern both vowels and consonants, and, therefore, could be highly useful in determining the phonological inventory of Sumerian. A good case in point is the confirmation of the existence of the phoneme **o** through Kartvelian languages, for this problem has been unresolved since the birth of Assyriology. It is even more noteworthy that the phonological status of **o** is established through internal reconstruction, as it were, which strengthens the validity of other scholarly attempts directed towards proving the existence of the sound by various means. For instance, I. Diakonoff assumes vowel symmetry to be the foundation of a phonological system: if there is **e**, there should exist **o**, too. S. Lieberman analyzes Sumerian borrowings in Akkadian and infers the existence of **o**. In case of the Kartvelian material the same conclusion is reached on the basis of comparing phonetically and semantically similar lexemes. Reconstructing the phoneme (**o**), the Sumerian sound system configures a five vowel structure typical of Kartuli (Georgian). More importantly, the introduction of Kartvelian languages in Near Eastern studies, and Sumerology in particular, opens up vast possibilities of examining the Sumerian phonological system through real language data.

Consonants. The Kartvelian evidence functions as a similar “barometer” with regard to Sumerian consonants. Here, too, Kartvelian lexemes offer the standard of a comparable language and verify Sumerian

sounds in different ways: confirm the existence of identified sounds, e.g. voiced stops (**b, d, g**), reestablish the voiceless glottal stops (**p, t, k**), and support the existence of the aspirated voiceless glottal stop (**k^h**) in Sumerian sound inventory. Uncovering the aspirated voiceless stop (**k^h**) may indicate the existence of a three-member stop series (**p^h, t^h, k^h**) found in Kartvelian, a fact, reinforcing the above suggested view on the fruitfulness of comparative linguistic analysis encompassing Kartvelian and Sumerian data.

Interestingly, the Kartvelian material incorporates the Akkadian sound system, too, revealing sound correspondences between all languages concerned: a) Kart. **k** – Sum. **k** – Akk. **k**; b) Kart. **b** – Sum. **b** – Akk. **p**.

Another function of Kartvelian as the standard of comparable material consists in the identification of sounds unidentified so far. The newly determined consonant phoneme is a pharyngeal stop (**q**). There is no reference to this sound either in source or secondary literature. Nevertheless, a detailed analysis of the Kartvelian (**qor**) and Sumerian lexemes (**kar**) makes its linguistic status in Sumerian certain. It follows that as demonstrated by Kartvelian languages, the standard of a comparable language should be able to perform the following procedures:

- Verify the existence of traditionally singled out sounds (vowels: **a, e, i, u**; consonants **k, b, g, h**);
- Confirm suggestions regarding certain sounds (vowel **o**) or identify new phonemes (consonant **k^h**);
- Reveal the existence of sounds not suspected before (consonant **q**).

Semantics

Phonetic similarity is enhanced by the semantic aspect of analyzed lexemes. They are culture words connected with different spheres of life. Kartvelian and Sumerian **ka–ka, kak–kak**, and **kakali–kakkala** belong to the agricultural vocabulary whose lexical meanings encompass the use of walnut and walnut tree in various fields (food, construction, furniture, medicine, chemical dyes); **kakabi–kabkab** demonstrates the inclusion of game in the diet of Early Dynastic Sumerians; the development of construction is revealed by the lexemes **kari–kar** and **qore < qor** and so on. The **gube–gub** lexeme is still another culture-pair that brings the religious aspect („bathe, purify“) into the common semantics of the Sumero-Kartvelian group.

Structure

The role of Kartvelian languages as the standard of comparison is not limited to the discovery of phonetic and lexical similarities only; its scope is much wider and includes the determination of structural formulas as well as morphemic separation into immediate constituents. The latter helps understand not only Sumerian patterns of word-formation but also the **nature** of the language through such logical, clear, and transparent morphemic segmentations which have no analogues in the history of Sumerian studies.

It has to be emphatically stressed that in a number of cases the carried out comparative study demanded a deeper and more detailed examination of the Kartvelian material which, not infrequently, resulted in the reinterpretation of accepted interrelations, morphemic constitution, and structural models of Kartvelian lexemes. A good case in point is a derivative series of: **ka > kaka > kak > kak-al-i, gob > gub > gib, kab/qab > kab-kab > ka-kab-i, kar/qor** root sequences.

The analysis of Kartvelian and Sumerian material identified the following types of morphemes: root morphemes **ka, kak, gul, kab, kar, qor, k^har, gub**; affixes with a further subdivision into suffixes and prefixes. Suffixes include both grammatical and derivational elements. The first group consists of the Terminative case ending **-ši/-še**, and the formant of the diminutive category **-a (kakkal-a)**. Derivational affixes include a negative prefix **u-**, the suffix **-(a)l**, and the suffix denoting possession **-a (ugul-a)**.

The role of Kartvelian languages as the standard of comparison is further attested in structural formulas of Sumerian lexemes. For example, as a derived word **u-gul-a** consists of a complex affix (**u – a**), **kabkab** is a reduplicated compound of **kab**, **kak-ka-l-a** is a compound derivative (**ka+ka > kak+(a)l+a**) and so on. Differently put, the Sumerian **kakkala** is represented not only by Kartvelian morphemes but also by five steps of word-formation identical with similar processes in Kartvelian. The next significant function of Kartvelian languages consists in organizing and classifying Sumerian and Akkadian language data despite the standard theory stating much closer relations between Sumerian and Akkadian than Kartvelian. Nevertheless, it is the Kartvelian **ka, kak, kakal-i, gul-i**, and **šig** that unite Sumerian **ka, kak, kakkala, SI KAK GIŠ, gul, ugula, šag**, and Akkadian **kullu** („nut kernel“), **gakkul**, and **gubbu** („cistern“); then come Kartvelian **kab-a** and **kab-qab-qba** that bring together Sumerian

kabkab, and Akkadian **kappa, kappu**; Kartvelian **gub** groups together Sumerian **gub** („stand“, „bathe“), and Akkadian **gubbu** („cistern“).

The ability of Kartvelian languages to throw light on some inner characteristics of logograms deserves special mention. It is not only the logogram **kar** („quay“, „dock“) that is identical with the semantics of the Kartvelian **qor-e**, but also the Akkadian **tehu** which originates from the Kartvelian **tekva** („break“) revealing a harmonious linguistic „collaboration“ between all the three languages under discussion.

Kartvelian languages

The analyzed material elucidates a chronologically prior date of Kartvelian languages to that of Sumerian. All Sumerian items appear on later stages of archetypes' development and fit into the niches of Kartvelian diachronic series as parts of the Kartvelian chains. In part-and-whole relations the whole is considered prior to the part, the tenet, confirmed on numerous occasions in the course of the analysis of the material. One of the illustrative examples is the morphemes **ka** and **kak** that reach down to the times of pre-cuneiform script – Uruk IV-III c. 3300-3000 BC. None of the languages known to me so far can penetrate into such depths. The period which for most living languages is the time of reconstruction, for Kartvelian it is the epoch of development.

Chronological priority, a developed language system, and a well-formed and precise phonetic structure give Kartvelian evidence the power to explain Sumerian lexemes from the „inside“, i.e. through internal reconstruction by using really existing language forms. The same reasons account for the depth of Kartvelian and Sumerian relations that go beyond regular sound correspondences (the only recognized criterion of genetic relations), and elevate the whole issue of Kartvelian and Sumerian language similarities to a qualitatively higher level. The latter, in addition to sound and lexical similarities, encompasses structural, morphemic, derivational, and grammatical sublevels.

This early stage of the comparative analysis of Sumerian and Kartvelian language evidence requires a re-orientation of linguistic tactics. Focus should be placed not on the study of huge material with the aim of determining a maximum number of sound correspondences (which is one of the ultimate aims of any comparative research), but on retrieving **maximum multi-aspectual linguistic information** (phonetic-phonological, grammatical, lexical, derivational, structural, and so on.) offered by items such as under present study. Such an approach will enable us

to better understand the nature of the still mysterious Sumerian language and increase our **linguistic** knowledge of the first language documented in writing.

Kartvelian languages rejected and blocked from Near Eastern Studies about a century ago, and still considered non-promising in this respect, offer huge possibilities. Neglecting them and their culture in Sumerology is tantamount to scientific irresponsibility, indifference, and retreat in the face of new challenges. If the key of the Sumerian language is hidden in Kartvelian languages, its revelation is only a matter of time.

Georgian folklore teaches:

A tower was seen atop the mountain, built of crystal stone,
Walking around for three days 'd nights, revealed no door,
Behold, where the sun-ray fell, and Amiran struck his wolfy knee,
There opened the tower, and the door hooked on hinges.

მიითივაული ლიტერატურა

ძართულად

აბულაძე ი., 1973. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მეცნიერება*, თბილისი.

ახუაშვილი ი., 1991. *ქართული გვარ-სახელები, განათლება*, თბილისი.

დონდუა ვ., 2001. *სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბილისი.

თოფურია ვ., ქალდანი მ., 2000. *სვანური ლექსიკონი, ქართული ენა*, თბილისი.

თოფურია ვ., 2008. *სვანური ენის სახელმძღვანელო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბილისი.

კალანდია თ., 2005. *ლაზური სიტყვა, სალექსიკონო მასალა, არტანუჯი*, თბილისი.

კიკვაძე თ., 1932. *ეგ. ნინოშვილის ლექსიკონი; ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, მეოთხე გამოცემა, სიმონ ხუნდაძის რედაქციითა და შენიშვნებით, ფედერაცია, ტ. I, გვ. 255-277; ტ. II, გვ. 273-290, ტფილისი.*

ლომთათიძე ქ., 1977. *აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I*, თბილისი.

მარგიანი-სუბარი ქ., 2009. *მირთვა და თანდებულებანი ფორმები კოდორისა და ენგურის ხეობათა სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X*, თბილისი.

მასხარაშვილი ს., 2006. *მატიანე ქართველთა, ელფის გამომცემლობა*, თბილისი.

მენტეშაშვილი ს., 1943. *ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, თბილისი.

მესხი ა., 1990. სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების სემანტიკური და ფუნქციური თავისებურებანი მხატვრულ ტექსტში, ამერიკული და ინგლისური მხატვრული ტექსტების მასალაზე, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.

—— 2002. ფონოლოგიის როლი უცხო ენის ათვისებაში, ERIC ED466632, www.eric.ed.gov

—— ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია, მზადდება დასაბეჭდად.

მიქელაძე, მ., 2001. კავკასია-ხმელთაშუა ზღვა-პირენეები, ტოტემი და ძველი სამყარო, ნეკერი, თბილისი.

ნიჟარაძე ბ., 2007. ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი, უნივერსალი, თბილისი.

ორბელიანი სულხან საბა, 1991. ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

—— 1993. ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

სარჯველაძე ზ., 1997. ძველი ქართული ენა, სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი.

ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., 2000. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია ო., 2001, 2002. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, II, III, ნეკერი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1951, II, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი (ქეგლი).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1955, IV, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი (ქეგლი).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1962, VII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი (ქეგლი).

ლლონტი ალ., 1984. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, განათლება, თბილისი.

—— 1986. ქართველური საკუთარი სახელები, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

ყიფშიძე ი., 1994. რჩეული თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე ა., 1973. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

—— 1976. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

—— 1980. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი.

ჩანტლაძე ი., 1974. ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში, თსუ შრომები №151-152, თბილისი.

—— 1998. ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ცოცანიძე გ., 1978. ფშური დიალექტი, მეცნიერება, თბილისი.

ძიძიგური შ., 1982. საენათმეცნიერო საუბრები, ნაკადული, თბილისი.

წერეთელი მის., 1912. სუმერული და ქართული, გვირგვინი, თბილისი.

ჭინჭარაული ალ., 2005. ხევსურული ლექსიკონი, ქართული ენა, თბილისი.

ჯავახიშვილი ივ., 1986. საქართველოს ეკონომიური ისტორია, V, მეცნიერება, თბილისი.

ჯაფარიძე ო., 1991. საქართველოს არქეოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

—— 2006. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, არტანუჯი, თბილისი.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., 1988. *ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი.*

ინგლისურად

Akdikmen R., 1986. *Standard Turkish Dictionary, English-Turkish, Turkish-English, Langenscheidt*, New York, Berlin, Munich, Vienna, Zurich.

Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament, 1955. Edited by Pritchard J. B., Second Edition, *Princeton University Press*, Princeton, New Jersey (ANET).

Annus A., 2001. *The Standard Babylonian Epic of Anzu. State Archives of Assyria Cuneiform Texts*, Vol. III, *The Neo-Assyrian Text Corpus Project*, Helsinki.

Black J., George A., 2000. *A Concise Dictionary of Akkadian*, 2nd corrected printing, Harrassowitz Verlag, Wiesbaden.

Black J., Green A., 2003. *Gods, Demons and Symbols, University of Texas Press*, Austin.

Broun Jan, 2004. *Sumerian and Tibeto-Burman, Agade*, Warszawa.

Civil M., 1979. MSL XIV, Edited by Miguel Civil with the collaboration of Margaret W. Green and Wilfred G. Lambert, *Pontificium Institutum Biblicum*, Roma.

Diakonoff I., A review of A. R. Bomhard, 1995. *Indo-European and the Nostratic Hypothesis*, Charleston, South Carolina.

Edzard D. O., 2003. *Sumerian Grammar, Brill*, Leiden _ Boston.

Frayne D. R., 2008. *Presargonic Period (1700-2350 BC), The Royal Inscriptions of Mesopotamia, Early Periods | Volume 1, University of Toronto Press*, Toronto, Buffalo, London.

Gabashvili R., 2001. *Contribution of the Caucasian Race to World Civilization*, Translated and published in English and Georgian by A. Meskhi, Tbilisi.

-
- Gilbert A. S., 1995. *The Flora and Fauna of the Ancient Near East*, In: *Civilization of the Ancient Near East*, Editor in Chief Jack M. Sasson, Hendrickson Publishers, pp. 153-174.
- Gragg G., 1973. *Sumerian Dimensional Infixes*, Verlag Butzon & Bercker Kevelaer, Neukirchener Verlag Neukirchen-Vluyn.
- Hayes J. L., 2000. *A Manual of Sumerian Grammar and Texts*, Second revised and expanded edition, *Udena Publications*, Malibu.
- Kramer S. N., 1971. *The Sumerians, Their History, Culture, and Character*, *The University of Chicago Press*, Chicago & London.
- Kramer S. N., Maier J., 1989. *Myths of Enki, the Crafty God*, *Oxford University Press*, New York _ Oxford.
- Langdon St., 1911. *A Sumerian Grammar and Chrestomathy with a Vocabulary of the Principal Roots in Sumerian and a List of the most Important Syllabic and Vowel Transcriptions*, Paris.
- Lieberman S., 1977. *The Sumerian Loanwords in Old-Babylonian Akkadian*, Harvard Semitic Museum, Harvard Semitic Studies, *Scholars Press*, Missoula, Montana.
- Michalowski P., 2005. *Sumerian*, In: *The Cambridge Encyclopedia of the World's Ancient Languages*, Edited by Roger D. Woodard, *Cambridge University Press*, Cambridge.
- Renfrew J. M., 1995. *Vegetables in the Ancient Near Eastern Diet*, In: *Civilization of the Ancient Near East*, Editor in Chief Jack M. Sasson, Hendrickson Publishers, pp. 191-202.
- Rubio G., 1999. *Sumerian Morphology*, In: *Morphologies of Asia and Africa*, Eisenbrouns, Edited by A. S. Kaye, USA.
- Ruhlen M., 1994. *The Origin of Language, Tracing the Evolution of the Mother Tongue*, John Wiley & Sons, Inc., New York, USA.
- Parpola S., 2009. *Sumerian: A Uralic Language*, Proceedings of RAI-53. In print.
- Samsonia N., 2004. *Sumerian and Georgian Lexical Parallels*, In: *Bulletin of the AGIBAS*, Tbilisi State University – Cornell University.

Thomsen M., 1984. *The Sumerian Language, An introduction to its history and grammatical structure*, Vol. 10, Copenhagen Studies in Assyriology, Akademisk Forlag, Copenhagen.

Zaborski A., 1990. *Preliminary Remarks on Case Morphemes in Omotic*, In: *Omotic Language Studies*, edited by Richard J. Hayward, London: School of Oriental and African Studies.

გერმანულად

Deimel P. A., 1950. *Sumerisches Lexikon*, S. I., Rome.

ფრანგულად

Laba R., 1976. *Manuel D'Épigraphie Akkadiene*, Librairie Orientaliste Paul Geuthner, S. A., Paris.

რუსულად

Бердзенишвили Н., Джавахишвили И., Джанашия С., 1946. *История Грузии, Государственное Издательство Грузинской ССР*, Тбилиси.

Джохадзе Л., 1977. *Стилистическое использование многозначного слова в художественном тексте по матерьялам английской поэзии и прозы*, Канд. дисс., Москва.

Караулов Ю. Н., 1981. *Лингвистическое конструирование и тезаурус литературного языка*, Наука, Москва.

Климов Г., 1994. *Древнейшие индоевропеизмы картвельских языков*. Институт языкознания Академии Наук, Москва.

Март Н., 1908. *Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка*, Съ предварительнымъ сообщениемъ о родствѣ грузинского языка съ семитическими, Типография Императорской Академии Наук, С.-Петербургъ.

ელექტრონული წყაროები

ePSD <http://psd.museum.upenn.edu>

Michalowski P., 2005. The Life and Death of the Sumerian Language in Comparative Perspective, <http://www-personal.umich.edu> (*Acta Sumerologica*, in press).





dcclt <http://cdl.museum.upenn.edu>








cdli <http://cdli.ucla.edu>

დამატება

1. ქართველური წარმომავლობის მესოპოტამიური ენობრივი ერთეულები

	ნიშანი	თარიღი ძვ.წ.-ით	შუმერუ ლი	მნიშვნელობა	აქა- დური	ქართველური	მნიშვნელობა
1		2600	kakkala	მცენარე/ებ-ი		კაკალ-ი	ნიგოზი, მარცვალი, სიმრგვალე, ცალი, წილი, ერთეული, ცენტრი, დაწვრილებით საუბარი, მოგროვება, თვალების გაფართოვება, ცრემლების ჩამოყრა.
2		3300	KAK	ხე, შეშა		კაკ / გაკ	„—“
3		3300	ka	ხე, შეშა		კა / ყა	ცალი, ერთი, მარცვალი
4			SI KAK GIŠ	კაკ მცენარის მოლტი			კაკლის საბერტყი ჯოხი
5	-a					-ა	კნინობითობის სუფიქსი
6	-l-					-ლ-	დერივაციული სუფიქსი
7		2600	kabkab	ფრინველი	kap kappu	კაკაბი	გარეული ქათამი
8			*kab		kappa	კაბა	ბუმბული, სამოსი, ფრთა

9		2114	kab	ლაგამის ნანილი	kappu	ყაბა, ყბა, კაბჷ, ყაბ ^რ ჷ	ქვედა ყბა, წვერი
10		3000	ugula	ზედამხე- დველი მრჩეველი ნინაპარი		უგულო	
11			Gula	საკუთარი სახელი		გულა	კეთილი, კარგი გულის მქონე
12			-a			-ა	მქონებლობის სუფიქსი
13		2000		გული (მცე- ნარის)	gakkul gak kul	კაკლის გუ- ლი, თვალის კაკალი, გაკ/კაკ გულ-ი	
14		1000		კაკლის, თხილის გული	kullu	გული	ადამიანის, მცენარის (კაკლის, თხილის) გული
15		2600	šag	გული; შიგ- ნით		შიგ, სქა/სკა, ისგ/ისკ	შიგნით
16		2000 წლამ- დედა შემდ- გომ	-ši-/-še / -š -eše	ტერმინა- ტიული ბრუნვის მარკერები		-ში -შე -ს ესე	ადგილის თანდებული, განყოფილებითი ბრუნვა, მიცემითი ბრუნვა, ჩვენებითი ნაცვალსახელი

17		2500	gub	დგომა		გუბე	ღრმულში ჩამდგარი წყალი
18		2500	gub	დაბანა განწმენდა სუფთა		გუბე	„—“
19				წყლის ცის- ტერნა	gubbu	გუბე	
20		2500	kan ₄ kar	კარი კარიბჭე		კარი	
21		2600	kar	ნავსადგური დოკი	kāru	ყორე	ქვის კედელი
22		2114	kar	ბერვა ნათება წამონევა		ქარი ქროლვა ბერვა	
23			kar	გაქცევა, თა- ვის დაღწევა; წართმევა; მოცილება; წაღება, ჩამორთმევა; შენახვა.		განქარვება	განქარვება დაკარგვა გაქრობა
24		2500	teḡ	ახლოს ყოფნა, მი- ახლოება	teḡu	ტეხვა, ტყ- დომა	

2. შუმერული ფონოლოგია

	დადასტურებული ბგერები	გამოვლენილი ბგერები
1	ხმოვნები: a e i u	ხმოვნები: o
2	თანხმოვნები <ul style="list-style-type: none"> • აბრუპტივები: კ გ ბ • სიბილანტები: შ • ველარული ფრიკატივი: ხ • სონორები: ლ რ 	თანხმოვნები <ul style="list-style-type: none"> • ფარინგალური ხშული: ყ

3. ქართველურ-შუმერულ-აქადური ბგერათმომართებები

ქართველური		შუმერული		აქადური
k	–	k	–	k
b	–	b	–	k

4. გამოვლენილი ბგერათშესატყვისობა ქართველურში

ძველი ბგერათშესატყვისობა: ქართ. კ მეგრ. კ სვან. ყ

5. ქართველური ეტიმონები

	მიღებული არქეტიპი საერთოქართველურისთვის	შემოთავაზებული არქეტიპი
1	*კაკაბ	*კაბკაბ
2	*ყბა	*ყაბ

ინდექსი

ინდექსი

ა

ანაპტიქსური (ხმოვანი) 91
ანლაუტი 64
ანომალიური 113
არქეტიპი 22, 40, 42, 44, 45, 49, 50, 53, 54, 58, 60, 61, 62, 65, 66, 69, 70, 79, 80, 81, 82, 83, 92, 93, 101, 114, 121, 123, 126
ასიმულაცია 55, 65, 72
აუსლაუტი 55, 61

არამეული 93
ასურული 66, 67, 70, 82, 83, 93, 94.
აქადური 19, 40, 42, 44, 45, 48, 50, 51, 53, 54, 57, 58, 65, 68, 69, 73, 75, 93, 95, 101, 110, 112, 116, 121, 123, 127

აბზუ 47
ანზუ 46, 47, 48, 49, 50, 53
ასაგუ 46, 47

ბ

ბოლოსდებული 75, 76
ბუმბული 44, 45, 46, 47, 48, 50, 53, 56, 57
ბაბილონი 42, 46, 52, 60, 64, 65, 66, 67, 70, 82, 83, 84, 92, 93, 94, 95, 96, 107, 109, 116, 121

გ

გიბ 86, 89, 90, 91
გობ-ი 85, 86, 87, 89, 90, 91, 93
გურ-ი 62
გუ- 62
გლოტალური 15, 20, 107, 118

დ

დგომა 84, 86, 87, 89, 90, 91, 92
დერივაცია 22, 25, 26, 39, 58, 59, 64, 112
დიფტონგი 109

ე

ექსპლიციტური 89, 91, 103
ესე 79, 80, 81, 82
ეტიმოლოგიური 15, 54, 97, 124

ეა 47, 48

ენქი 47, 51, 52, 53
ენლილი 46, 47, 48, 49
ექური 47

ვ

ველარული 15, 118, 122, 123

ი

იმპლიციტური 89, 91, 92, 103
ინდოევროპული 37, 41
ისგ 71, 72, 73
ისკ 71, 72, 73

კ

კა 15, 16, 17, 21, 22, 23, 24, 25, 26
კაბ 42, 43, 44, 45, 50, 52, 56, 57, 58, 59
კაბამ-ი 42
კაბა¹ 42, 43, 54, 55, 56
კაბა² 42, 43
კაბა 43, 54
კაბაჲ 43
კაკაბი 37, 39, 40, 41, 42, 44, 46, 50, 58, 59
კომპონენტური ანალიზი 86
კონტრაქცია 109

ლ

ლატერალური 118
ლოგოგრამა 20, 27, 39, 70, 84, 95, 122, 123, 126

ნ

ნომინაცია 55, 57, 58, 91, 92

ნინგირსუ 46
ნინმუ 51
ნინკურა 51
ნინურტა 46
ნინსურსაგ 51

ო

ომონიმური 42, 43, 59, 69, 84, 95, 101, 102, 125
ონომასტიკა 62, 68, 69
ოპოზიცია 20, 116, 124

პ

პროტოშუმერული 51, 92, 127

ს

სემა 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 101, 102, 103
სემანტიკური ველი 43
სემანტიკური მამრავლი 86
სკა-სკას 71, 72, 73, 82

ტ

ტეხ-ვა 123

უ

უმლაუტიანი 107, 109
უგულო 60, 61, 64

უთოუ 51, 52, 53

ფ

ფარინგალური 115, 119, 121, 124
ფლექსიური 49
ფრთა 42, 44, 47, 48, 49, 50, 53, 57, 58

ქ

ქარ-ქერ- 123, 124, 125, 126

ღ

ღრუ 86, 87, 88, 89, 90, 91, 93

ყ

ყაბ^რუ 56, 57, 58
ყბა 54, 55, 56, 57, 58
ყორე 96, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 112, 113, 114,
119, 121, 123

შ

შიგ/შიგან 70, 71, 72, 73, 81, 82, 83
შესადარებელი ენა 20, 61, 110, 112, 114, 124, 127
შქა-შქას 71, 72, 73, 82

ჭ

ჭუჭყ-ი 86, 89, 90, 91

A

ana 48, 49

E

ešè 74, 77, 79, 80, 81

G

gakkul 64, 65, 66, 82

Gula 68, 69, 70, 89

Gulate 69

gubbu 93

K

kab 42, 46, 50, 52, 53, 54, 57, 58

kapkappu 39, 40, 44, 46

kappa 48, 53, 54, 57, 58, 59

kappu 53, 54, 57, 58, 59

k^har 125

kullu 66, 67

Š

šag 70, 71, 72, 73

-šé 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81

-ši 73, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81

T

te^hu 122, 123

Q

qor 112, 113, 114, 122, 125, 126